ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№230 (289) 30 ივლისი – 6 აგვისტო 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“ნაბუქოს” “გარდაცვალება” და საქართველოს ევროატლანტიკური ილუზიები...



Realpolitik-ის სუსხიანი გაკვეთილები ***იუჯინ კოგენისაგან***

“ნაკლები უნდა იფიქროთ ნატო-სა და ევროკავშირის მიერ საქართველოს სასწაულებრივ გადარჩენაზე”

ალბათ გახსოვთ ის დრო, როდესაც აწ უკვე ყოფილი მთავრობა ყოველ მეორე დღეს შესაშური გულმოდგინებით გვიმტკიცებდა, რომ გაზსადენ ***“ნაბუქოს”*** *აშენებით ჩვენს ქვეყანას საბოლოოდ ეშველებოდა, თავად აშენებას კი წინ არაფერი ედგა. ჰოდა, ერთი კვირის წინ ოპერის სეხნია* ***“ნაბუქოს” “დრამა”*** *საბოლოოდ დასრულდა – ერთ დროს გრანდიოზულ პროექტს მასშტაბების გვარიანად შემცირებამ და* ***“ნაბუქო ვესტ”****-ად გადაქცევამაც ვერ უშველა. აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის კონსორციუმმა გადაწყვიტა, რომ* ***“ნაბუქოს”*** *მაგივრად გაზს ევროპაში ტრანსადრიატიკული გაზსადენი* ***(TAP)*** *გაიტანს, “ნაბუქო” კი ამ გადაწყვეტილებით პრაქტიკულად საბოლოოდ “დასამარდა”.* ***“ნაბუქო”*** *-ს აღსასრულსა და ზოგადად საქართველოს ევროატლანტიკურ მომავალზე კავკასიის საკითხების მკვლევართა შორის ალბათ ყველაზე დიდ სკეპტიკოსს, დოქტორ* ***იუჯინ კოგენს*** *ვესაუბრეთ.*

– როგორ მოხდა, რომ “ნაბუქოს” პროექტმა, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ელოლიავებოდა ევროკავშირი, საბოლოოდ გაცილებით მოკრძალებულ (TAP)-თან დათმო პოზიციები?

– **“ნაბუქოზე”** დიდ იმედს ამყარებდნენ, მაგრამ არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც ეს პროექტი ჩანასახშივე განწირული იყო: პირველი – მასში მონაწილეობდა რვა მხარე, რომლებიც ვერ რიგდებოდნენ ერთმანეთში. მეორე: მოკინკლავე მხარეებმა ვერ მოახერხეს ამ მასშტაბის პროექტისათვის საჭირო ფინანსების მოძიება. ვერ შეთანხმდნენ, ვის რამდენი უნდა დაედო და, ზოგადად, რისი მიღწევა სურდათ. ასე რომ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ეფემერულ **“ნაბუქოს”** შაჰ-დენიზის კონსორციუმმა მოკრძალებული, მაგრამ რეალური და სანდო (TAP)-ი ამჯობინა.

– დიდი მოლოდინით იყო გამსჭვალული ქართული საზოგადოებაც, მით უმეტეს, რომ წინა ხელისუფლებამ პროექტი ლამის ქვეყნის ყველა სატკივრის პანაცეად შერაცხა. რამდენად გაზვიადებული იყო ჩვენი მოლოდინი და რეალურად რა დავკარგეთ “ნაბუქოს” “გარდაცვალებით”?

– აშკარად გაზვიადებული იყო როგორც ხალხის, ასევე მთავრობის მოლოდინიც, მაგრამ მთავრობამ ხალხს **“მიჰყიდა”** იდეა, რომ **ა)** პროექტი აუცილებლად განხორციელდებოდა და **ბ)** რომ ეს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას შეგძენდათ. არ უარყოფ, ეს პროექტი ფინანსურად გახეირებდათ და შეგმატებდათ სტრატეგიულ დირებულებასაც, მაგრამ არა ისეთს, როგორიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტმა შეგძინათ. თუმცა **(TAP)**-ის გამარჯვებით სტრატეგიული როლი კიდევ უფრო კნინდება, რადგან მისი ბენეფიციარები არიან არა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები – რუმინეთი და ბულგარეთი, არამედ საბერძნეთი, ალბანეთი, მაკედონია და იტალია. რუმინეთს, ბულგარეთს და, საზოგადოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას კი რუსული **“სამხრეთის ნაკადი”** ჩაიგდებს ხელში...

– რამდენად დიდია რუსეთის დამსახურება “ნაბუქოს” დასამარებაში?

– რუსეთს ამ პროექტის თვით იდეაც კი აღიზიანებდა, რადგან მასში **“სამხრეთის ნაკადის”** პოტენციურ მეტოქეს ხედავდა. კრემლს სურდა, ძირი გამოეთხარა ამ პროექტისათვის და ამისთვის არაფერს იშურებდა. რუსეთისთვის **“ნაბუქოს”** თავდაპირველი, გრანდიოზული ვერსიის განხორციელება სტრატეგიული კოშმარი იქნებოდა, რადგან რუსეთს მოუწევდა, ბუნებრივი აირის მეშვეობით აღმოსავლეთ ევროპის მანიპულირებაზე ნაწილობრივ მაინც ეთქვა უარი. მეორე მხრივ, მოსკოვი ყოველთვის მისდევდა შემდეგ პრინციპს: **“ნუ მივცემთ აზერბაიჯანს ბუნებრივი აირის გაყიდვის საშუალებას და თუ მაინც არ მოისვენებს, ჩვენვე ვიყიდოთ იაფად, შემდეგ კი სამჯერ ძვირად გავყიდოთ”**. ასე რომ, მოსკოვიდან გამუდმებული ზეწოლა იყო ალიევზე, რათა **“ნაბუქო”** არ შემდგარიყო. ევროკავშირი კი ამის გაუნებლობაზე თავს მაინცდამაინც არ იწუხებდა, რადგან მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა – გერმანია მშვენივრად გრძნობდა თავს რუსეთთან ენერგოპარტნიორობისა და შედავათიან ფასებში მიწოდებული ბუნებრივი აირის ხარჯზე.

ასე რომ, **“ნაბუქო”** საბოლოოდ ბრიუსელში ინტერესთა დაპირისპირებას შეეწირა.

– ამ ყველაფრის ფონზე, რამდენად რეალურად გეჩვენებათ საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში? თუ ყველაფერს ეკონომიკური ბერკეტები წყვეტს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პერსპექტივა ბევრად შორეულია, ვიდრე ჩვენი წინა თუ ამჟამინდელი ხელისუფლება გვრწმუნებს.

– როდესაც ევროკავშირზეა ლაპარაკი, ორი რამ უნდა გვახსოვდეს: ევროკავშირმა 30 წლის წინ თქვა უარი ყოფილიყო **Hard Power**, ანუ სამხედრო ძალა და გარდაიქმნა **Soft Power**-ად, ანუ რბილ ეკონომიკასა და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ ძალად. დემოკრატიული პრინციპები მისწრებაა თავისუფალი ბაზრისათვის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად და აბეზარი მთხოვნელებისა თუ სტუმრების მოსაგერიებლად. ასე რომ, ევროკავშირმა კიდევაც რომ მიიღოს ბუნებრივი აირი აზერბაიჯანის რესპუბლიკისაგან, ეს სულაც არ შეუშლის ხელს იმაში, რომ დამოძღვროს აზერბაიჯანიცა და საქართველოც, რომ მათ ქვეყნებში დემოკრატიულ პრინციპებს არ იცავენ და ამით ისინი სათანადო დისტანციზე იყოლიოს. ევროკავშირს არ სურს, იმოქმედოს, მაგრამ ყოველთვის მზადაა სალაპარაკოდ.

საუბარი ევროკავშირის საქვარელი იარაღია, რომელსაც მაინცდამაინც დიდი შედეგი არ მოაქვს, მაბრამ არც უმოქმედოდ ითვლება.

თუ შემეკითხებით, აღიქვამს თუ არა ევროკავშირი საქართველოს მომავალ წევრად, გიპასუხებთ, რომ საკმაოდ შორეულ მომავალში, როდესაც არსებული მსოფლიო წესრიგი შეცვლილი იქნება და ძალთა ახალი გადანაწილება მოხდება, იმ დროისათვის, როდესაც რუსეთის აირზე ევროპის სუპერდამოკიდებულებას ბოლო მოეღება. **რიცხვებით თუ ვიტყვით, არა მგონია, ეს უახლოეს 25-30 წელიწადში მოხდეს. სულ ბოლოს ევროკავშირის წევრი გახდა ხორვატია, თუ ვინმეა შემდეგი სიაში, ეს ბალკანეთის ქვეყნებია, თუმცა, მე მათზე ეჭვი მეპარება. ის კი საერთოდ წარმოუდგენელია, რომ ევროკავშირი მთელ ბალკანეთს გადაახტება, თურქეთსაც ზედ მიაყოლებს და მაინცადამაინც საქართველოს შეიფარებს ფრთებქვეშ.** და ეს მაშინ, თუ არაფერს ვიტყვით ეკონომიკურ ფაქტორზე – ალბათ დამეთანხმებით, რომ თქვენი შანსი, ამ კუთხით, თავი რუსეთზე უფრო საჭიროდ და სასურველად წარმოაჩინოთ, თითქმის ნულის ტოლია.

– ეს წმინდა წყლის Real-politik-აა?!

– დიახ, ეს შეიძლება საკმაოდ მწარე მოსასმენი იყოს, მაგრამ ეს არის ის, რაც ლოგიკურად მოხდება – უსარგებლო საუბრებს მიღმა ცხოვრება **Real-politik**-ის წესებით მიდის. თუმცა, შემიძლია იმით დაგამშვიდოთ, რომ ევროკავშირში შესვლის გადავადება შესაძლოა თქვენთვის სასიკეთოც კი იყოს – არავინ იცის, რამდენ ხანს იცოცხლებს ევროკავშირი დღევანდელი სახით, ისევე, როგორც არავინ იცის, თუ რა ფორმა ექნება მას ტრანსფორმაციის შემდეგ.

– ამ ლოგიკით, მაინცადამაინც არც ნატო-ს იმედი უნდა გვქონდეს...

– ეს სხვა ისტორიაა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში **ნატო** გამუდმებით სწევს გადასალახ ბარიერს მაღლა და მაღლა, რათა საქართველოს მიღების საკითხი გადაავადოს. ეუბნებიან, ყოჩაღები ხართ, რომ ეს შესძელით, მაგრამ ეს არ კმარა, ახლა მორიგი გამოცდა უნდა ჩააბაროთო. ამას გვერდითი ეფექტიც აქვს – ხალხი, რომელიც ხედავს, რომ ქვეყანა **ნატო**-ს მიერ დაყენებულ ამოცანას წარმატებით უმკლავდება, უფრო და უფრო აჯერებს საკუთარ თავს, რომ დღეს თუ არა, ხვალ **ნატო**-ში შევალთ, ეს კი რეალობისგან ძალზე შორსაა. ქართველი ერი თოკზე მიმავალ ეკვილიბრისტს ჰგავს, რომელსაც **ნატო** ეუბნება, კარგია, რომ მორიგი ნაბიჯი გადადგი, მაგრამ თოკის ბოლომდე ჯერ კიდევ ბევრი ნაბიჯია დარჩენილიო. თოკი კი **ნატო**-სია, რომელსაც იგი საკუთარი სურვილისამებრ აგრძელებს ან ამოკლებს. საქართველოსთან დაკავშირებით **ნატო** ისტორიული გადაწყვეტილების წინაშე დგას, რომლის მიღებაზეც იგი გამუდმებით ყოყმანობს.

არსებობს სამი რამ, რაც ნატო-მ უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა თქვენი გაწევრიანება რეალური გახდეს – საკუთარ თავზე აიღოს პოლიტიკურ-დიპლომატიური, სამხედრო და ეკონომიკური პასუხისმგებლობა. ეს სამი რამ ნიშნავს, რომ თუ საქმე საქმეზე მიდგა, ნატო უკან არ დაიხევს და სრულ სამხედრო, ფინანსურ და პოლიტიკურ-დიპლომატიურ დახმარებას გაგიწევთ. ამ შემთხვევაში რუსეთი უკან დაიხევს, ხოლო თუ ნატო შედრკება და მცირეოდენ სისუსტეს მაინც გამოამჟღავნებს, თქვენი საქმე ცუდად იქნება, რადგან პუტინს დიდებული “ყნოსვა” აქვს, ის იგრძნობს, ისინი ერთად არიან, მაბრამ ცალ-ცალკე დგანანო და მოქმედებას არ დააყოვნებს.

სწორედ ამიტომ **ნატო** ყველანაირად ითრევს ფეხს, რათა გადაავადოს ეს მომენტი – მომენტი საკუთარ თავზე სრული პასუხისმგებლობის აღებისა.

– თქვენი აზრით, ამ დროს ჩვენ როგორ უნდა ვიქცეოდეთ?

– ვფიქრობ, თქვენ ორი რამ გაქვთ გასაკეთებელი: უპირველესად, ნაკლები უნდა იფიქროთ **ნატო**-სა და ევროკავშირის მიერ საქართველოს სასწაულებრივ გადარჩენაზე და საკითხს მეტი სერიოზულობითა და პრაგმატულობით მიუდგეთ. ეს ეხება პოლიტიკურ განცხადებებსაც და რასაც მე ვუყურებ, თქვენმა მთავრობამ ეს უკვე გაითავისა – შედარებით ნაკლებად ისმის განცხადებები დღეს თუ არა, ხვალ **ნატო**-ს კარის შეღებაზე. მეორე, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ რაც უნდა გსურდეთ ამის დაჯერება, რუსეთში მხოლოდ ლოთები და ბრიყვები არ ცხოვრობენ და **კა-გე-ბე**-ში ერთობ ჭკვიანი და ცბიერი ხალხი მუშაობს. მათ არ გაუჭირდებათ, გაარჩიონ, საქართველომ მართლა აიღო ხელი დასავლეთზე თუ უბრალოდ, ასე აჩვენებს. გულდასმით შეგამოწმებენ და ამას უნდა გაუძლოთ, ხუთიანზე ჩააბაროთ. დასაწყისისთვის კარგი იქნებოდა, კარგად დაფიქრებულიყავით თქვენს მიერ თავის დროზე მსოფლიო მასშტაბით გაკეთებულ განცხადებებზე ამერიკელი ინსტრუქტორების ჩამოყვანისა და ისრაელიდან სამხედრო აღჭურვილობის შეძენის შესახებ. დასკვნების გამოტანა, ვფიქრობ, არ უნდა გაგიჭირდეთ.

ესაუბრა ვაჟა თავბერიძე,
ივლისი, 2013 წელი

წარმომადგენლობითი საექსპერტო კონფერენცია – მოსკოვში – ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე

მიმდინარე წლის ზაფხულს მოსკოვის **„პრეზიდენტ-ოტელში“** გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია **„კრიზისი ახლო და შუა აღმოსავლეთში და სამხრეთ კავკასიისა და კასპიის უსაფრთხოების პრობლემები“,** რომელშიც მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა ექსპერტებმა რუსეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან.

კონფერენციის მონაწილეებმა ძირითად მიზნად დაისახეს კავკასიის რეგიონში შექმნილი ვითარების ანალიზი, აგრეთვე რეგიონის განვითარების პერსპექტივები, ირანში მომხდარი ცვლილებების, სირიის კრიზისისა და თურქეთში მიმდინარე საპროტესტო აქციების გათვალისწინებით.

კონფერენციის გახსნისას, **დსთ**-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორმა კონსტანტინ ზატულინმა აღნიშნა ორი რეგიონის – სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთკავშირი, მათი პრობლემების ერთობლიობა და მოუწოდა დისკუსიის მონაწილეებს ღია დიალოგისკენ, რომელიც პროპაგანდისტული კლიშეებისგან თავისუფალი იქნებოდა.

პირველი სიტყვა მოსკოვისა და ცენტრალური რეგიონის მუფტის, ალბირჰაზრატ კრგანოვს მიეცა, რომელმაც ღვთის დალოცვა უსურვა კონფერენციის მონაწილეებს. მან ახსენა **„ბოროტი და ანგარებიანი ძალები, რომლებიც, სამწუხაროდ, არც თუ წარუმატებლად აქეზებენ არა მხოლოდ სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ადამიანებს, არამედ უშუალოდ მუსლიმანებსაც, ერთმანეთის წინააღმდეგ“.** მუფტიმ მოუწოდა ყველას, წინ აღუდგნენ ორივე რეგიონში ქაოსის მომტან ექსტრემიზმს.

დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელმა ფელიქს სტანევსკიმ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები პერმანენტული რყევების მდგომარეობაში იმყოფებიან, მრავალრიცხოვანი ეთნიკური, ეროვნული და სამოქალაქო კონფლიქტების გამო. **„ამგვარია სამხრეთ კავკასიის “დემოკრატიზაციის” ფასი“** – დაასკვნა მან.

რეგიონის დესტაბილიზაციაში დასავლეთის როლთან დაკავშირებით ფ. სტანევსკიმ მიზეზად დაასახელა დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიმართ განხორციელებული აგრესიული ენერგეტიკული პოლიტიკა, რომლის მიზანიცაა რუსეთის შეზღუდვა. ეს პოლიტიკა მსხვილი კაპიტალის მონაწილეობით ხორციელდება. **„ფაქტობრივად, ამგვარი პოლიტიკის ერთადერთ ბენეფიციარს ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ“** – განაცხადა სტანევსკიმ.

ერევანში მოქმედი კავკასიის ინსტიტუტის დირექტორმა ალექსანდრ ისკანდერიანმა გამოთქვა შეშფოთება, რომ ბოლო დროს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების ინიცირება სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება გარედან. **„საფრთხეები გარე წრეში ინაცვლებენ და სამხრეთი კავკასია გარშემორტყმულია მეტად ტურბულენტური სამყაროთი“.**

აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა ნაზირმამედ ყაზიმოვმა სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების სისტემის შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა, გარე ზემოქმედებისგან თავდაცვის მიზნით, აღნიშნა რა, რომ **„რუსეთის საზღვარი სირიაზე გადის“.**

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, დოქტორი მოულაი დაეთანხმა რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნის აუცილებლობის აზრს და რეგიონის ქვეყნებს თანამშრომლობისკენ და ვაჭრობის, ენერგეტიკის, კულტურისა და ადამიანური პოტენციალის გამოყენების სფეროებში ინტეგრირებისკენ მოუწოდა.

თურქეთის კავკასიური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა ჰასან ოგთაიმ დანანებით აღნიშნა, რომ ზესახელმწიფოების დაპირისპირების პერიოდის განმავლობაში თურქეთი, როგორც ნატო-ს წევრი, კავკასიას დაშორდა, მიუხედავად კულტურული და ეთნიკური სიახლოვისა. ამისდა მიუხედავად, მისი თქმით, 2008 წლიდან თურქეთის პოლიტიკა ამ მიმართულებით თანდათან იცვლება. თურქმა პოლიტოლოგმა ასევე გამოთქვა აზრი, რომ რუსეთმა, თურქეთმა და ირანმა ერთობლივი პოლიტიკა უნდა გაატარონ რეგიონში.

საქართველოში მოქმედი ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ საკუთარი ხედვა გამოხატა ახლოაღმოსავლურ კონფლიქტებში **აშშ**-სა და ისრაელის პოზიციებთან დაკავშირებით. მისი სიტყვებით, ისრაელში სირიის ოპოზიციისადმი და ბ. ასადის წასვლისადმი დომინირებული მხარდაჭერის მიზეზს წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკის დასუსტება. აშშ კი, გ. რცხილაძის აზრით, დიდწილად იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ე. წ. **„ისრაელის ლობის“.**

აფხაზეთის რესპუბლიკის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ შეკრებილთა ყურადღება გაამახვილა **„ჩრდილოეთ-სამხრეთის“** კომუნიკაციების განვითარების საკითხზე. **„სასინჯ ქვად“** მან დამსწრეებს შესთავაზა რუსეთის, აფხაზეთის, საქართველოსა და ირანის შემაერთებელი მაგისტრალის შექმნა. ამასთან, ს. შამბამ მიუთითა **„დასავლეთ-აღმოსავლეთის“** მიმართულებით კომუნიკაციების განვითარების აქტიურ მცდელობებზე, რეგიონის გარე ძალების მხრიდან. **„ჩვენ ჩვენსავე რესურსებს უნდა დავეყრდნოთ“** – განაცხადა ს. შამბამ.

სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის მინისტრმა ვიაჩესლავ გობოზოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სამხრეთ კავკასიის მთავარი პრობლემები იმალება **„რეალურ შიდა წინააღმდეგობებში და ამ წინააღმდეგობების ვერმოგვარებაში“. „უნდა მივიღოთ, როგორც ფაქტი, რომ ამიერკავკასიაში ექვსი, და არა სამი სახელმწიფოა. თუკი ჩვენ გვსურს თავისუფალი ურთიერთობები, მაშინ უნდა გავთავისუფლდეთ ილუზიებისა და ფსიქოლოგიური შტამპებისაგან... ამიერკავკასიაში არაფერი გადაწყდება მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე“** – დაასკვნა მან.

მთლიანობაში კონფერენციის მონაწილეებმა მოხსენებებში ნახსენები ძირითადი პრობლემების გარშემო კონსენსუსს მიაღწიეს, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულმა საკითხებმა მძაფრი დისკუსია გამოიწვია.

კონფერენციის დასასრულს, ირანის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბ-მა სალიმანპურმა მხარი დაუჭირა განხილულ საკითხებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის გაგრძელებას. მან მიმართა დსთ-ს ქვეყანათა ინსტიტუტს წინადადებით, თეირანში მოეწყოს კონფერენცია დიდი კავკასიონისა და კასპიის უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებით. კონფერენცია თეირანში, შესაძლოა, 20-30 რუსი ექსპერტის მონაწილეობით, 2014 წლის იანვრის თვეში გაიმართოს.

საქინფორმი

“ენგურჰესი” – ადგილი, საიდანაც ქართველებისა და აფხაზების მშვიდობა იწყება

“ხელფასს საქართველოს ბიუჯეტი გვიხდის. ახლახან გავიგეთ, რომ ჩვენ, აფხაზეთის მოქალაქეებს შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალი გვაქვს, რაც ალბათ სტიმულია”, – მითხრა აფხაზმა კაცმა, რომელიც კონფლიქტის ზონაში არსებული ჰიდროელექტროსადგურის ერთერთი დაცვის სამსახურში მუშაობს.

აფხაზები **“ენგურჰესში”** სხვადასხვა პოზიციაზე არიან განაწილებულები. ხუმრობით ამბობენ, ეს ის ერთადერთი ადგილია, სადაც ქართველები და აფხაზები მშვიდობიანად თანამშრომლობენ და თანაცხოვრობენო...

დაური, აფხაზი, 34 წლის:

– ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული ურთიერთობის შესაფასებლად, ბოლო დროს, ხუმრობით, საქართველოში პოპულარულ სიტყვას – **“კოაბიტაციას”** ვიყენებთ: **“ენგურჰესის”** თანამშრომლები მშვენივრად **“ვკოაბიტირებთ”...** კვირაში სამი დღე (დილიდან დილამდე) ვმუშაობ. მეწყვილედ ქართველი მყავს. არ ვიცი, ომის დასრულების შემდეგ რა ხდებოდა ქართველებსა და აფხაზებს შორის, მაგრამ ახლა ჩვენ შორის ვერანაირ ეთნიკურ და პოლიტიკურ განსხვავებას ვერ ვხედავ. ისინი ჩემთვის საიმედო და პატივსაცემი თანამშრომლები არიან, რომლებთანაც ჭირსა და ლხინს ვიზიარებ. მათ ზოგჯერ სახლშიც ვპატიჟებ და ისინიც გვეპატიჟებიან ოჯახებში. **“ენგურჰესზე”** დასაქმებული აფხაზები უმეტესად გალის რაიონის მცხოვრებლები არიან და მათთან მისვლა არ არის რთული და არც ისინი იკავებენ თავს ჩვენთან სტუმრობაზე.

– როგორც აღნიშნეთ, ხელფასს ქართველები გიხდიან...

– დიახ, ასეა და თვის ბოლოს, როდესაც ხელფასის აღების ნანატრი დრო დგება, ქართველი თანამშრომლები გვეხუმრებიან, ბანკომატის რიგშიც კი აფხაზების შემდეგ გვიწევს დგომაო. ეს კი იმის ბრალია, რომ ჩვენი ტრანსპორტი ცუდად მოძრაობს, მაინცდამაინც ხელსაყრელი გრაფიკი არ აქვს და ამიტომ ვცდილობთ, მის მუშაობას მოვერგოთ... ჰოდა, ხშირად, ხელფასის რიგში მათზე წინ ვხვდებით.

– ზუგდიდის ქუჩებში აფხაზური ნომრების მქონე მანქანები შევნიშნე...

– დიახ, ასეა. ზუგდიდში მანქანით მეც გადმოვდივარ. ადგილობრივი სამართალდამცველებისგან შეზღუდვა არ გვაქვს. თუმცა ენგურის საზღვარზე გადმოსვლის დროს კი გვექმნება გარკვეული პრობლემები...

– დაბრკოლება ვისგან მოდის ხოლმე – აფხაზებისგან თუ რუსებისგან?

– რუსები გვიქმნიან პრობლემას... აფხაზებმა იციან, რომ იქაურ მოსახლეობას ფინანსურად არ ულხინს და უთქვამთ კიდეც,– იმუშავეთ ქართველებთან, ოღონდ თქვენს ქვეყანას დაუბრუნდით, ყველა აქედან წასვლას ცდილობს და ნეტავ, ამ მიწას ვის უტოვებენო?!. აფხაზეთი კი დღითი დღე იცვლება და ეკონომიკურად ძლიერდება, მაგრამ ცუდი ის არის, რომ იქაურობას კლანები მართავენ... ამიტომ იქიდან მხოლოდ ის ადამიანები კი არ მიდიან, ვისაც მატერიალურად უჭირთ; სხვებიც მიჰყვებიან, რადგანაც არ უნდათ, შვილები იმ ჭაობში გაზარდონ...

– რუსები რას გეუბნებიან?

– გვაკავებენ და უახლოეს განყოფილებაში მივყავართ, ადმინისტრაციულად (1.000 რუბლი) გვაჯარიმებენ. მეორედ დაკავების შემთხვევაში, საჯარიმო თანხა იზრდება, მერე კი უკვე შეიძლება, რამდენიმედღიან იზოლატორსაც გამოჰკრა ხელი... თუმცა ეს ადრე უფრო ხდებოდა – აკავებდნენ მას, ვისაც საბუთები წესრიგში არ ჰქონდა. ბოლო დროს სიტუაცია შეიცვალა – საზღვარგარეთის პასპორტის მქონეს გზა ხსნილი აქვს, რომელი მხარის წარმომადგენელიც უნდა იყოს.

ლიმა, აფხაზი, 45 წლის:

– ხელფასი თვეში 800 ლარამდე გამომდის, რაც ნორმალურია... **“ენგურჰესი”** ის ადგილია, სადაც ქართველები და აფხაზები ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად ცხოვრებას ვსწავლობთ. თურმე შეგვძლებია... მე ომის დროსაც მათთან ერთად ვმუშაობდი და არც იმ წლებში მომხდარა სიტყვიერი დაპირისპირებაც კი, რადგან ელექტროენერგია ორივე მხარეს სჭირდებოდა. დრო ახლა ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს – ხალხს ომის საშინელება თანდათან ავიწყდება, გარდა ამისა, ადამიანებმა ბევრი რამ გადააფასეს კიდეც... ოჩამჩირეში ვცხოვრობ და სამსახურში მანქანით დავდივარ. ჩვენთან საწვავი შედარებით იაფი ღირს, ამიტომ ბიდონებით ზოგჯერ აფხაზეთიდან ქართველი თანამშრომლებისთვისაც მიმაქვს. რამდენჯერმე დამიჭირეს რუსებმა და დამაჯარიმეს,– კონტრაბანდას ხომ არ ეწევიო? – მაგრამ არა უშავს, ხელი ხელს ჰბანს... ვრცელდება ინფორმაცია, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ, ქართულ მხარესთან ურთიერთობა გამოსწორდება. ვნახოთ, რა იქნება...

– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

– ხალხის განწყობილება. იმედი გვაქვს, რომ საზღვრები გაიხსნება და თავისუფალი მიმოსვლა შესაძლებელი გახდება. ხალხი ომით დაიღალა. 90-იანი წლების უბედურებას არც ჩემთვის და არც ჩემი ახლობლებისთვის სიკეთე არ მოუტანია. ხელში შეგვრჩა განარკომანებული, სახედაკარგული, გაღატაკებული და ყაჩაღებად ქცეული ახალი თაობა. ჩემი შვილიც **“ენგურჰესში”** მუშაობს და ვცდილობ, საქმით დაკავებული იყოს, ქართველებთან მეგობრობდეს, რადგან მისი ტოლი აფხაზები, სამწუხაროდ, გზას აცდენილები არიან... აქ 30 წელს გადაცილებული ბიჭები ცოლის მოყვანას გაურბიან, რადგან ყოველი მეორე უმუშევარია. უსაქმურობისგან კი არ იციან, რა ქნან. საზღვარი რომ გაიხსნას, სხვა ინტერესიც გაუჩნდებათ და იქნებ თანდათან გამოსწორდეს მდგომარეობა... მომავალს იმედის თვალით ვუყურებ...

ლ. პაპასკირი

გაზეთ “ილორის” კომენტარი: უკვე შეინიშნება გარკვეული დათბობა აფხაზებსა და ქართველებს შორის, და რომ არა ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის გამთიშველური პოლიტიკა და “ნაცების” მიერ 2008 წლის სექტემბერში პროვოკაციულად ატეხილი ომი, ქართველები აფხაზები და ოსები ბევრად უფრო ახლოს ვიქნებოდით ერთმანეთთან, ვიდრე ეს დღესაა. სწორედ ამიტომაა დღეს აუცილებელი ქვეყნის პრეზიდენტად ისეთი პიროვნების არჩევა, რომელსაც აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან მოლაპარაკებების წარმართვა შეეძლება.

განა დანაშაული არ იყო იმ ერგნეთის ბაზრობის გაუქმება (საიდანაც, როგორც შემდეგ გაირკვა, სააკაშვილს “წილი” არ მისდიოდა), რომელმაც იმდენად დაახლოვა ერთმანეთს ქართველები და ოსები, რომ ისინი ერთმანეთს ასიათასობით ლარის ღირებულების საქონელს ნისიადაც კი ენდობოდნენ!

განა ფაქტი არ არის, რომ სააკაშვილის სამართალდამცავები საგულდაგულოდ უთვალთვალებდნენ აფხაზებთან კარგ ურთიერთობაში მყოფ ქართველებს და კატეგორიულად უკრძალავდნენ მათ აფხაზებთან მეგობრობას და საქმიანი ურთიერთობების დაჭერას!

ნაკლებ სარწმუნოა, ამ საქმეს წარმატებით გაართვას თავი ისეთმა “ჰლასტელინივით” მოქნილმა კანდიდატმა, როგორიცაა გიორგი მარგველაშვილი. ასე რომ, ალბათ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოგვიწევს დაცდა, თუ, რა თქმა უნდა, უკვე აღარ იქნება გვიან!

ამბები სამეგრელოდან

"ნაციონალური მოძრაობიდან" ნაციონალურ მოძრაარაობამდე

ნაციონალთა პრაიმერიზულმა ფაფხურმა საბოლოოდ დაარწმუნა ქართული საზოგადოება, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებაში ძალით მოსული და ასევე ბინძური ძალით დამკვიდრებული ეს დანაშაულებრივი ოგანიზაცია დღეს უკვე სრულ არარაობად არის ქცეული. რა თქმა უნდა, მათ წრეებშიც იყვნენ შედარებით მშვიდი და დაბალანსებული (უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით **"დალენჩებული"**) პოლიტიკოსები, მაგრამ ის, რომ ეს ადამიანებიც თავიანთ დამნაშავე თანამზრახველებთან ერთად წლობით იდგნენ უსამართლობის სამსახურში, უკვე ნულს უტოლებს რომელიმე დონის არჩევნებში მათი გამარჯვების შანსს. არაადამიანი და ცინიკოსი ნაციონალებისაგან შედარებითი წესიერებით გამორჩეული ისეთი პოლიტიკოსიც კი, როგორიც დავით ბაქრაძეა, რომელიც ნაცების მიერ წყლიან ჭიქაში მოწყობილი **"ქარიშხალიდან"** გამარჯვებული გამოვიდა, საპრეზიდენტო არჩევნებში მესამე ადგილსაც რომ ვერ დაიკავებს, უკვე ნათელია. აი, ნაცებს რომ გამიჯვნოდა და დამოუკიდებლად ეყარა კენჭი საქართველოს პრეზიდენტად, ეჭვსგარეშეა, რომ შედარებით მეტ ხმებს მოაგროვებდა.

გამარჯვებისა კი რა მოგახსემოთ – ვიდრე ერთი ჭეშმარიტი ქართველი მაინც დაიარება დედამიწის ზურგზე, ნაციონალებს არამც თუ რაიმე ღონისძიებაში გამარჯვება, არამედ მათ მიმართ ვინმესაგან ნათქვამი სიტყვა **"გამარჯობაც"** კი არ ეღირსებათ!

მას შემდეგ, რაც ნაცებმა თითლიბაზურად ჩაატარეს **"პრაიმერიზად"** წოდებული სპექტაკლები ქუთაისში, გორსა და კახეთში, შედეგ სამიზნედ სამეგრელო ამოირჩიეს და ზუგდიდს ესტუმრნენ. მაგრამ, მათი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მეგრელებმა ამჯერად მეტი პრინციპულობა გამოავლინეს და **"ღირსეულდაც"** დახვდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს – **"ნაციონალური მოძრაობის"** მოწინააღმდეგეებმა **"ნაციონალური მოძრაობის"** ლიდერებს, პოლიციის გაძლიერებული კორდონის მიღმიდან ლაყე კვერცხები, წყლიანი ბოთლები და ქვები დაუშინეს. აქციის მონაწილეები ზუგდიდში, თეატრის შენობის წინ მისულები იყვნენ ცოცხებით, თოხებითა და ბარებით და აცხადებდნენ, რომ **"ნაციონალურ მოძრაობას"**, რომელსაც ოკუპირებული ჰქონდა მთელი სამეგრელო, ზუგდიდში არაფერი ესაქმება.

ჟურნალისტებისთვის სპეციალური განცხადება გააკეთა **"ნაციონალური მოძრაობის"** ერთ-ერთმა საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ. მისი განცხადებით, ქვის სროლას ისინი მშვიდობით უპასუხებენ.

ადგილზე მობილიზებული იყო სამართალდამცავი ორგანოები. გააკეთეს კორიდორიც, თუმცა აქციის მონაწილეები ამ კორიდორის გარღვევას და თეატრში შესვლას შეეცადნენ.

ანალოგიური **"თბილი"** მიღება მოუწყვეს ამ არაკაცებს ბათუმშიც, სადაც ლაყე კვერცხებს, წყლიან ბოთლებს და ქვებს აჭარლებმა დედის გინებაც უხვად მიაყოლეს.

ზუგდიდსა და ბათუმში სამართალდამცავებმა წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით 14 საპროტესტოდ მისული ადამიანი დააკავა, რომელთაც სასამართლომ 100-ლარიანი ჯარიმების გადახდა მიუსაჯა. ქართველი ხალხის სახელით კი მათ დიდი მადლობის მეტს ვერაფერს მივუსჯით.

ამრიგად, არარაობად ქცეულმა ნაცებმა ზუგდიდში და ბათუმში **"ნაციონალური მოძრაობის"** მორიგი პრაიმერი ჩაატარეს, რომელიც შემდეგ თბილისში ჩატარებული პრაიმერიზით დასრულდა, რამაც თავად ცინიკოსი ნაცებიც კი დაარწმუნა მათი ძალისხმევის ამაოებაში.

ზუგდიდის რაიონში სტიქიამ ოცამდე სოფელი დააზარალა

ზუგდიდის რაიონში ძლიერი წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარეებმა ოცამდე სოფელი დააზარალა. როგორც ჟურნალისტი იტყობინება, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდინეძში, სადაც ეზოებში შესულმა წყალმა 120 სანტიმეტრს მიაღწია.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, მოსახლეობის ევაკუაციის საჭიროება არ დამდგარა, თუმცა ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო სამსახურები. ადგილზე ასევე იმყოფებოდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

სტიქიამ მოსავალი პრაქტიკულად მთლიანად გაანადგურა. შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც ზარალს სწავლობს.

პრეზენტაცია ანაკლიაში

სასტუმრო ანაკლიაში, პროექტ **„საზოგადოების ჩართულობა დემოკრატიული თვითმმართველობისათვის"** პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის პრეზენტაცია, რადიო **„ათინათის", „საერთაშორისო გაჭვირვალობა-საქართველოს", „სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების** ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. პროექტის მიზანი გახლდათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საჯაროობის, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის გაზრდა. ღონისძიებას, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ლევან კონჯარიამ პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა თვითმმართველობის გაძლიერებასა და ეფექტურ მუშაობას შეუწყობს ხელს.

წყალდიდობა ხობში

უჩვეულოდ წყალუხვიანი გამოდგა წლევანდელი ზაფხული. რამდენიმედღიანი ძლიერი წვიმების შედეგად დაიტბორა ხობის მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სოფელი, საავტომობილო გზის ხობი-ზუგდიდის მონაკვეთი, ასევე დაიტბორა ქ. ხობში არსებული **"ლიბერთი ბანკის"** მიმდებარე ტერიტორია. საკარმიდამო ნაკვეთებსა და საცხოვრებელ სახლებში შევარდნილმა წყალმა მნიშვნელოვანი ზიანი მიყენა სოფლების მოსახლეობას. მობილიზებულ იქნა შესაბამისი სამაშველო სამსახურები, რომლებიც გაწმენდით სამუშაოებს აწარმოებდნენ. სტიქიის ადგილები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებმა მახარე ჩოკორაიამ და როსტომ კილასონიამ მოინახულეს და მოსახლეობას შეძლებისდაგვარად რეალურ დახმარებას დაჰპირდნენ. ამ დროისთვის წყლის დონემ საგრძნობლად დაიკლო. უამინდობის გამო, რამოდენიმე დასახლებაში მოსახლეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება.

საპ. ინფ.

"ფოთი ააშენა რუსეთის სამხედრო ფლოტმა" – სააკაშვილმა ხიდირბეგიშვილის ვერსია დაადასტურა და საჯაროდ აღიარა, რომ ლაზიკას აშშ-ის სამხედრო ფლოტისთვის აშენებდა!

2011 წლის 12 დეკემბერს მე, საქინფორმის მთავარმა რედაქტორმა არნო ხიდირბეგიშვილმა, პოპულარულ ქართულ გაზეთ **"ასავალ-დასავალთან"** ინტერვიუში შემდეგი განცხადება გავაკეთე:

"ბათუმის პორტის აკვატორიაში ფსკერის გაღრმავების სამუშაო და ახალი ქალაქის – ლაზიკას, მშენებლობა („ბოლოტნაიას", უკაცრავად, დაჭაობებულ მოედანზე 9 კმ/კმ ფართობით, სოფლებს – ყულევსა და ანაკლიას – შორის) შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საქართველოში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზების განლაგებისთვის მზადება. ასეთ შემთხვევაში ლაზიკა – აშშ-ის პირველი სამხედრო-საზღვაო ბაზაა შავ ზღვაზე, რომლის აშენებაზე აშშ გამოყოფს 1 მლრდ დოლარს".

ამის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ქართული საზოგადოების ნაც-ანალური ნაწილისაგან ბრალდებებისა და **„მხილებების"** ნაკადი დამატყდა თავს და მხოლოდ აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ **"ასავალ-დასავალის"** მომდევნო ნომერში, აგრეთვე მედიკავშირ **"ობიექტივის"** პირდაპირ ეთერში ჩემდამი სრული თანხმობა გამოხატა.

და აი, 2013 წლის 17 ივლისს, ტელეარხ **"რუსთავი 2"**-ის ეთერში, ნანუკა ჟორჟოლიანის გადაცემაში **"ნანუკას შოუ"**, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, რომ პორტი ლაზიკა სწორედ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის იყო ჩაფიქრებული (ციტატა):

"ახალი პორტის მშენებლობას შავ ზღვაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰგონდა ჩემთვის კი არა, საქართველოსთვის. ამის გარეშე საქართველოს ეკონომიკის სერიოზული განვითარება, პრაქტიკულად, უახლოეს პერსპექტივაში, ვერ მოხდება. თავის დროზე ნიკო ნიკოლაძემ ფოთის პორტი განავითარა ისე, რომ წამოიღო რუსული ტვირთები, რადგან რუსეთი ებრძოდა თურქეთს და ეს იყო რუსული ფლოტის მომსახურება.

ჩვენ გვქონდა შანსი და ეს შანსი დავკარგეთ, რომ მომავალი წლიდან დიდი ამერიკული ტვირთები წამოგვეღო ავღანეთიდან (ბუნებრივია, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გემებით, რადგან საქართველოს ფლოტი არ ჰყავს – საქინფორმი), რადგან მომდევნო 2-3 წელი იქნება დიდი ტვირთების გამოტანის წლები.

ასე აშენდა სინგაპურიც – სინგაპური ააშენა ამერიკის სამხედრო ფლოტმა, ფოთი ააშენა რუსეთის სამხედრო ფლოტმა, იმიტომ რომ ყველაზე ადვილი (ალბათ, მხედველობაში აქვს შემოსავლიანი – საქინფორმი) ტვირთი სამხედრო ტვირთია (ალბათ, მხედველობაში არ აქვს "ტვირთი 200").

ჩვენ აი, ახლა გვქონდა ეს ფანჯარა – რომ ავღანური ტვირთები წამოგვეღო, და რკინიგზაც აქვე გადის... ხალხო, აი ეს არის აფხაზეთის რეინტეგრაციის მშვიდობიანი გეგმა!".

სააკაშვილის დაგვიანებული აღიარება გასაგებია – მიშამ შეახსენა ამერიკას, რომ მის წასვლასთან ერთად **აშშ**-მ დაკარგა შესაძლებლობა შავ ზღვაზე პირველი ფორპოსტი ჰქონოდა, და პირდაპირ გამოთქვა საქართველოში ხელისუფლების სათავეში დაბრუნების სურვილი.

ხოლო ჟორჟოლიანმა – საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ერეკლე კოდუას მეუღლემ – სცადა, **"მგრძნობიარე უბრალოებით და გულუბრყვილო უშუალობით"** ნოსტალგიური ელფერი მიეცა თავისი საავტორო გადაცემისთვის, რომელიც **"დიდ მშენებელსა და დემოკრატს"** მიეძღვნა. ნანუკამ მიშას მისცა ქართული საზოგადოების წინაშე თავის გამართლების შესაძლებლობა, რომელიც მას ახალმა პარლამენტმა ჩამოართვა, როდესაც პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენაზე უარი თქვა.

ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკური პროსტიტუტები დუმან – მანკიერი ქართული პოლიტისტებლიშმენტი, რომლის ნაწილი კომფორტულად მოეწყო **„მთაწმინდის ჩრდილში"**, ივანიშვილის მიერ უარყოფილი მეორე ნაწილი კი ნაც-ანალური რეჟიმის რესტავრაციის მოლოდინში მიჩუმდა...

არნო ხიდირბეგიშვილი,
საქინფორმის მთავარი რედაქტორი

პოეზიის კუთხე

გომიძიცე, ოკოლხეში თუთა

გომიძიცე, ჯვეშებურო,
ოკოლხეში თუთა,
გეგნომივარჩხილე ლიხი,
აუადჭარა, ურთა...

უჩაზღუასგ ენორწკინგნს
უკოროცხუ ქუა,
ქიგიშინი, ვორექ სქანი
კიდირიში სქუა...

ქიგიშინი, სოიშახ ონჭგდ
სქანი ველ დო გვალა,
დიოსკურს დო პიტიუნტის
თიშა ქიმეითვალა...

მუნაფეფი გეგნიფაჩი
ოკოლხეში თუთა,
ქავოსქიდათ ართ-მაჟიას
მა დო, სი დო ურთა...

ჩქინ ორთაშე, ამდღარიშო,
მაპალუნა მუთა,
გომიძიცე, გომიძიცე
ოკოლხეში თუთა...

ნანა თქუანდ

ჩხე-ჩხე ღუმუს ეულუანდით
ლებიას – კოტოშ ნახაშას,
კაზლას მიკომცხანტუნდეს
მარაშნას დო კალანდას...
ღორონთიში ჭყოლოფუა
ჩქინ ფანიას ვეგნოწუმ,
ბაბა დღაშ დო სერით ხანდენდ
– ბაბას დიო ვამურთუმ...
ნანა თქუანდ: თქვა ქჳგალეთ,
ჭიჭე ცვალ დო დიდი ღუმ...

რამაზ კუპრა

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

საქართველოს ამ მეტად რთულ და მძიმე პერიოდში არაეთიკურად მიმაჩნია თქვენი შეწუხება პირადი პრობლემებით, მაგრამ ცხოვრება და ჩემი ხანდაზმულობა მაიძულებს გადავდგა ეს არასასურველი ნაბიჯი. ყველაფერი, რასაც აქ ვწერ, სრული სიმართლეა და პასუხსაც ვაგებ ამ ჭეშმარიტებაზე.

მოგახსენებთ, რომ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, 1930 წელს, კომუნისტებმა იასონ კეიდიას (ქ. ზუგდიდში ყოფილი **"კეიდიას"**, ამჟამად კი **"თბილისის"** ქუჩაზე №43-ში მდებარე) მამა-პაპური სახლი წაართვეს და ოჯახი სამი არასრულწლოვანი შვილით ღია ცის ქვეშ დატოვეს. ესეც არ აკმარეს და გაკულაკებით გამოწვეული აღშფოთებისას გამოთქმული სიტყვიერი პროტესტისათვის 1937 წელს ციმბირში გადაასახლეს 10 წლით, სადაც, მოუვლელობისა და ავადმყოფობის შედეგად, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1939 წელს.

მისი რეაბილიტაცია მხოლოდ 1957 წელს მოხდა.

კომუნისტებმა ჩამორთმეული 2,5 ჰექტარ პირველი კატეგორიის მიწაზე დააფუძნეს ჩაის და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო ცენტრი, ხოლო 2-სართულიანი სახლი გადააკეთეს კანტორად და ლაბორატორიად.

1985 წელს მოხდა აღნიშნული ცენტრის ლიკვიდაცია და მიწები გადაეცა სახელმწიფოს, ორსართულიანი შენობის მეორე სართული კი დირექტორმა გაასხვისა, შენობის ნაწილი დაშალა, ეზოში კი ქვა-ღორღი მიმოფანტა, სამი მეტრის სიმაღლის ჭედური ნაკეთობა – რკინის კარი გ. თოდუამ კანონის დარღვევით ჩამოხსნა და გადამალა, ხმა გაავრცელა, რომ კარი მოიპარესო, სინამდვილეში კი თავად მოიპარა.

ჩვენ კი, ამდენი ქონების კანონიერი მფლობელი, ადამიანური უსამართლობისა და უკანონობის გამო, თანდათან ვიძირებოდით სიდუხჭირის მორევში.

1987 წელს იძულებული შევიქენით, რომ სახელმწიფოზე გადაცემული ჩვენი მიწიდან 5.300 კვადრატული მეტრი პირადი ინიციატივით ჩამოგვეჭრა, შემოგვეღობა და რამდენიმე წლით მაინც გვესარგებლა. აღნიშნული ნაკვეთი ზოგჯერ იჯარითაც გვქონდა აღებული.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მოთხოვნის საფუძველზე მოვიძიეთ შესაბამისი საბუთები და გვეგონა, რომ სრულიად უპრობლემოდ დავიმტკიცებდით მიწას, მაგრამ მწარედ შევცდით.

თუ რატომ, ამას ახლავე მოგახსენებთ!

საბუთები წარვუდგინეთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან არსებულ მიწის ნაკვეთზე ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ბ. როგავას, რომელმაც გვითხრა: საბუთები სრულყოფილია, მაგრამ მოქმედი ბრძანებულების მოთხოვნების აღსრულების საკითხი დროებით შეჩერებულიაო და ამ მიზეზით არ მოგვცა საბუთების დარეგისტრირების უფლება. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე. შემდეგ კი შევიტყვეთ, რომ ჩვენს მიერ შემოკავებული 5.300 კვადრატული მეტრი ფართობიდან 4000 კვადრატული მეტრი ყალბი საბუთებით დაუკანონებიათ ვიღაც ბასილაიასათვის, რომელიც ერთ-ერთი ზუგდიდელი მაღალჩინოსნის სიმამრი გახლდათ. ქალაქის ხელისუფლები ხომ ამას ვერ გაბედავდნენ ძლიერი ზურგის გარეშე!

მოქალაქე ბასილაიამ თავისი **"შემოქმედება"** ხეების და მიწის გარშემო ბუჩქების ხელერთპირად აჭრით დაიწყო და 2008 წლიდან უკანონოდ სარგებლობდა ამ ფართით. იმის მტკიცება, რომ ბასილაია წლების განმავლობაში ამუშავებდა ამ მიწის ფართს, სწორედ უკანონობაში ჩარეული ჩინოვნიკების მიერ მოგონილი მტკნარი სიცრუეა.

შემდეგ ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა დარჩენილი 1300 კვადრატული მეტრი მიწის ფართის დასაკანონებლად, მაგრამ ბ. როგავამ ისიც არ დაგვიკანონა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა აუცილებელი საბუთი წარდგენილი გვქონდა. მიზეზი გახლდათ როგავას განცხადება იმის თაობაზე, რომ თურმე ჩვენ დასამტკიცებელი მიწის ფართის მომიჯნავედ უნდა გვეცხოვრა. როცა მოვითხოვეთ, როგავამ სხდომის ოქმი დაგვიმალა და არ მოგვცა, რადგან მას მოვლენათა თარიღები აშკარად შეგნებულად ჰქონდა დამახინჯებული. შემდეგ კი საერთოდ არ გაგვიკარა ახლოს და კაბინეტშიც კი არ გვიშვებდა. თან გვიმტკიცებდა, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი საბუთები არ იძლეოდა მიწის ფართის დაკანონების იურიდიულ უფლებას, რომლის ამოდებისთვის, თურმე, **"ვერა და ვერ მოიცალა"**. ამრიგად, საწადელს ვერ მივაღწიეთ ვერც მე და ვერც ჩემმა ძმამ – საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანმა, დამსახურებულმა ექიმმა, როგავა კი უპრობლემოდ ურიგებდა ჩვენს კუთვნილ ფართს ხელისუფლებისათვის სასურველ ადამიანებს.

ტყუილად ვტკეპნეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო თუ ქალაქ ზუგდიდის პროკურატურის შესასვლელიც, მაგრამ ვერაფერს გავხდით.

ორჯერ მივმართეთ თხოვნით საქართველოს პრეზიდენტსაც, რომლებზედაც, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, პასუხი არ მიმიღია. სააკაშვილს ხომ არასოდეს არ სტკიოდა რიგითი მოქალაქეების სატკივარი!

ვერც სასამართლოში გავხდით ვერაფერს, რადგან უკანონობით ცნობილმა ზუგდიდელმა მოსამართლემ დ. კეკენაძემ და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლ. მურუსიძემ მხედველობაში არ მიიღეს არსებითი გარემოებები!

ბოლო იმედად გვრჩებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული აუქციონი, მაგრამ აუქციონის ორგანიზატორებმა 1300 კვადრატული მეტრი მიწის ფასად განსაზღვრეს 80.000 ლარი, რასაც ჩვენ (და ვერც სხვები), ბუნებრივია, ვერ შევწვდით. განცხადებით მივმართეთ მინისტრ ვერა ქობალიასაც, მაგრამ პასუხს ვერც მისგან ვეღირსეთ და მხოლოდ შემდეგ შევიტყვეთ, რომ აღნიშნული მიწის ფართი სამინისტროს მის ბალანსზე დაუტოვებია. ალბათ იმიტომ, რომ შემდეგ სარფიანად შეასაღონ ვინმეს და ჯიბეები გაისქელონ...

ამის შემდეგ ბრძოლა ამ ნაკვეთისათვის შევწყვიტეთ, რადგან, როგორც იტყვიან: **"თავს ზემოთ ძალა აღარ იყო"!** ან კი, რას უნდა გავმხდარიყავით უზნეო ჩინოვნიკების წინააღმდეგ?

ამასობაში ჩემს ძმას დაეღუპნენ შვილები და მეუღლე, შემდეგ ძმაც გარდაიცვალა, მე კი ერთოთახიან ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ სიძესთან ერთად, რომელსაც საერთო სველი წერტილები და დამხმარე სათავსოები გააჩნია...

ალბათ გამიძნელდება იმის გადმოცემა, თუ როგორი სულიერი, ფიზიკური და ეკონომიკური დამცირება გადავიტანეთ ამ წლების განმავლობაში და თუ როგორ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფები დღეს.

ჩვენმა ოჯახმა სასტიკი მოპყრობა განიცადა ბოლშევიკებისაგან, მაგრამ ბევრად უფრო სასტიკად მოგვექცა სააკაშვილის "ნაციონალური" ხელისუფლება, რადგან არ მოგვცეს კანონის აღსრულების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბატონო ბიძინა, გთხოვთ დაგვეხმაროთ აღნიშნული საკითხის ობიექტურად გადაწყვეტაში, რათა ბოლო მოეღოს ჩვენს ტანჯვას წლების განმავლობაში. გთხოვთ გაირკვეს სამართალი და მკაცრად დაისაჯოს ყველა ის დამნაშავე ჩინოვნიკი, ვინც ხელი შეუშალა სამართლის დაკანონებას!

ბავშვობა ჯოჯოხეთად მექცა და არ მინდა, რომ სიბერეგამწარებულმა ქუჩაში დავასრულო სიცოცხლე!

უფალი გფარავდეთ,

უღრმესი პატივისცემით,

ლამარა კეიდია,
ზუგდიდი

ზუგდიდელებო, იქნებ დროა, გავიღვიძოთ!

დროა შეცდომებზე სწავლას შევეჩვიოთ. ძალიან ხშირად, არჩევნებისას, ხმას ისე ვაძლევდით ამა თუ იმ პიროვნებას, რომ არ ვუფიქრდებოდით, რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამ არჩევანს. ასე დაგვემართა სააკაშვილის არჩევის შემთხვევაში, პიროვნების, რომელმაც თავისი ბანდის წევრებთან ერთად კუდის რიკამდე გაგვატყავა, გაგვაბითურა, გაგვაბახა, სულში ჩაგვაფურთხა, ცოცხებზე გადაგვატარა, მაგრამ ჩვენი ჭკუის სწავლებას საშველი მაინც არ დაადგა და როცა მოგვეცა თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება, კვლავ ტვინი გვეღრძო და საპარლამენტო არჩევნებში ხმა მივეცით სააკაშვილზე არანაკლებ სისხლისმწოველ როლანდ ახალაიას, რითაც კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ვართ ბეცები და ეს სიბეცე რეაბილიტაციას არ ექვემდებარება. სამეგრელო, როგორც მთლიანად საქართველოს ერთი სხეული, ყოველთვის, ყოველნაირ საქმეში წინა პლანზე იყო წამოწეული, ნელ-ნელა გადაშენებისა და გადაგვარების გზას დაადგა, რაც ყველა ვარიანტში უკან ბუმერანგივით შემოგვიბრუნდება და დავრჩებით კვერგამოუცხვარი ობოლივით. რა გვჭირს, რატომ დავმუნჯდით, ხომ უნდა ამოვიღოთ როდისმე ხმა, ცუდისა და კარგის გარჩევის უნარი რამ დაგვიჩლუნგა, არა გაქვთ რამე სათქმელი, თუ წლების განმავლობაში **"მიშა!" მიშა!"**-ს ნაღრიალები ხმის იოგები მოგეშალათ?

ზოგიერთებთან უკაცრავად ვარ, მაგრამ ჩვენ ადარ ვიცით, რა გვინდა, ვერ ვაცნობიერებთ თუ ახალი ხელისუფლების მოსვლით რა შვება გვეღირსა, ცხოვრებას ხალისი მიეცა, წინსვლა და პროგრესი ყველა სფეროში იგრძნობა. მიუხედავად ამ სასიკეთო ძვრებისა, მაინც ძილბურანში ვართ, არ გვესმის რა ხდება ქვეყანაზე, რომელიც ხალხმრავალ გზაჯვარედინზე ყავარჯნის გარეშეა დარჩენილი. კეთილშობილად მივიჩნიეთ მიშა, მაგრამ შეგვეშალა, რამეთუ კეთილშობილი ადამიანია არა ის, ვინც გულში მჯიღს იცემს, ტუჩებზე მომდგარი დორბლით გვაწვდის ცრუ ლოზუნგებს, არამედ ის, ვინც თავმდაბლად, ყოველგვარი პოზის გარეშე, დროის დაუკარგავად იხდის აღებულ მოვალეობას. ქება-დიდებით უნდა შევამკოთ ის ადამიანი, ვინც საქმით იცის სიტყვის განაღდება, ეს უნდა იყოს ჩვენი ეთიკის ქვაკუთხედი. სიავკაცე შეიძლება ალაგმო, მაგრამ შეიძლება გააღვივო კიდეც. აზროვნების სფეროში იმპროვიზაციის უნარისათვის ყველა კარი ღიაა, ოღონდ თუ კი მართლა ვაზროვნებთ, ამდენად, დროა სწორ აზროვნებას მივეჩვიოთ, ვთქვათ ჩვენი სწორი სიტყვა, გამოვისყიდოთ ის დანაშაული, რაც მიგვიძღვის, საღად შევხედოთ ცხოვრებას.

ჩვენდა საუბედუროდ, სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობის აზრი ჯერ კიდევ ჰიპნოზის მდგომარეობაში იმყოფება, რითაც აცდნენ რეალური და საჭირბოროტო თემების ფხიზელ განხილვას და მათ ადექვატურ ინტერპრეტაციას, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თავად ეს საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ სერიოზულად დაავადებულია, ტრადიციული მეთოდიკით მკურნალობას ვერ დაექვემდებარა. ნუთუ ძნელია იმის აღქმა, რომ წლების განმავლობაში ვადექით ქარიზმატული პოლიტიკის გზას და შედეგმაც არ დააყოვნა – გადავიქეცით ავტორიტარული რეჟიმის უნებისყოფო ელემენტებად. რატომ გვავიწყდება ის, რომ **"ნაცმოძრაობის"** მიერ საკუთარი ხალხისადმი ყოველგვარ ზღვარსგადასულმა ქმედებებმა, შეიძლება ითქვას, მეორე მსოფლიო ომში ფაშისტების მიერ ჩადენილი მხეცობაც კი გააფერმკრთალა. ჩვენი იდეალი უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც იბრძვის ხალხის ბედნიერებისათვის, საერთო კეთილდღეობისა და სიმართლისათვის. ამ წმიდათაწმიდა ბრძოლაში წვრილმანები არ არსებობს. საერთო საქმის საზიანოდ ეგოისტური ინტერესების წინაშე სულ მცირე დათმობაც კი დიდად ვნებს პიროვნების საზოგადოებრივ პრესტიჟს, ხვალინდელი დღის შენება სილამაზის, მშვენიერების კანონების მიხედვით იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ადამიანად აღვზარდოთ საკუთარი თავი, მთელი ჩვენი ცხოვრება უდრტვინველად მივიტანოთ დროის ეპოქის სამსხვერპლოზე. მშვენიერი ადამიანი კოლექტივისტია, საზოგადოების ყველა წევრი მისთვის მეგობარი, ძმა და ამხანაგია, სამშობლოს ინტერესები უფრო ახლოს მიაქვს გულთან, ვიდრე საკუთარი და პირადული. სწორედ ასეთ ადამიანად მოგვევლინა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული და დღესაც აკეთებს. ნაცმოძრაობა წლების განმავლობაში ერთპიროვნულად ღებულობდა ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც არ თავსდებოდა რესპუბლიკის განზომილებაში და იყო ეროვნული სუვერენიტეტის, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული. დღეს კი ბატონ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებით დაიწყო და წარმატებით ხორციელდება სამართლიანი პროცესები, რასაც დიდი იმედით შეჰყურებს ქართული საზოგადოება და მთელი მსოფლიო.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს კარგად აქვს გააზრებული, რომ აფხაზეთი იგივე საქართველოა, როგორც საქართველოს დანარჩენი კუთხეები, აქედან გამომდინარე, მიუხედავად ექსტრემისტებისა და რუსების მცდელობისა, აფხაზეთის ტერიტორიის დაბრუნება (იგივე რუსული ნებით) საქართველოსათვის უდიდესი პრესტიჟის საქმეა. ბატონ ბიძინას კარგად აქვს გათავისებული, რომ ძალისმიერი მეთოდებით აფხაზეთის დაბრუნება ნონსენსია და ადგას შორეულ, მაგრამ სწორ გზას. ამ პრესტიჟული საქმის განსახორციელებლად საჭირო და მიზანშეწონილია გვერდში დაიყენოს ისეთი პიროვნება, რომელსაც აქვს სათანადო გამოცდილება, დიდი წონა, როგორც რუსეთში, ასევე აფხაზეთში. ასეთ პიროვნებად უპირობოდ მოიაზრება პოლიტიკური ხედვითა და ანალიზის უნარით გამორჩეული ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, რომელსაც გააჩნია დიდი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები რუსეთშიც და აფხაზეთშიც. დღეის მდგომარეობით აფხაზთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მათ გასაჭირს საქართველოს გარეთ უფრო გაიგებენ და უთანაგრძნობენ და ეს გამოწვეულია იმით, რომ უშუალო დიალოგი მათთან არ გაგვაჩნია, აღნიშნული დიალოგისა და საკითხის სწორი კუთხით შემობრუნების უდიდესი პოტენციალი გააჩნია სწორედ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, რასაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, გაითვალისწინებს ხელისუფლება.

რაც შეეხება სამეგრელოს მოსახლეობას, იმედია, მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს შეხვდებიან საღი გონებით და გააკეთებენ სწორ არჩევანს, სამუდამოდ შეაქცევენ ზურგს ავადსახსენებელ **"ნაცმოძრაობას"**, მის სულისჩამდგმელს და ჩვენი სულის ამომხდელ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ჯერ კიდევ უზის მაგიდას, თხზავს ცილისმწამებლურ პასქვილებს, არ ერიდება პროვოკაციულ გამოხდომებს, გესლიან წერილებს აგზავნის ამერიკაში, ევროპის ქვეყნებში, რომ რამენაირად სახელი გაუტეხოს ახალ ხელისუფლებას, მაგრამ ოკეანის გაღმა თუ გამოღმა, უკვე ყველა მიხვდა, თუ რას წარმოადგენს იგი და უცხოეთის პრესაში მოიხსენიება როგორც პოლიტიკური გვამი.

კეთილი სურვილებით,

როზმირ გოგენია,
ზუგდიდი

საქართველოში ეროვნული საგანძურისა და კულტურული მემკვიდრეობის უცხოეთში გასხვისების მაფია მოქმედებს, რომელსაც ხელისუფლებაში მოკალათებული პოლიტიკოსებიც მფარველობდნენ?!

სამუზეუმო ექსპონატების – ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის მუზეუმებიდან გატანის ჯერაც გამოუძიებელ ფაქტებს ეროვნული ბიბლიოთეკიდან უნიკალური წიგნების გაქრობის ფაქტებიც ემატება. სააკაშვილის ბრძანებით, 1924 წელს დაარსებული წიგნის პალატა 2005 წელს გაუქმდა. წიგნის პალატის და ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლები ირმა დოლიძე და ქეთევან დევაძე ეროვნული ბიბლიოთეკიდან გაყიდული უნიკალური წიგნების პალატის ფონდით ჩანაცვლების შესახებ საქინფორმის კორესპონდენტ ბაია ამაშუკელს ესაუბრნენ.

ირმა დოლიძე: – ბორის გაგუას წიგნადი ფონდის დოკუმენტაცია და ჩატარებული ინვენტარიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტები მოვთხოვეთ. ასეთი ოფიციალური დოკუმენტი დირექციას არ მოეპოვება. 2007 წლიდან დღემდე ამ თემაზე ვდავობდით ბორის გაგუასთან. კეკელიძესაც იმავე მოთხოვნით მივმართეთ. ირკვევა, რომ არც მას გააჩნია იურიდიული დოკუმენტაცია საერთო ფონდში წიგნების რაოდენობის შესახებ. ვებ-გვერდის მონაცემებით კი 4 000 000 წიგნი უნდა იყოს. ჩვენს ხელთ არსებული საბუთებით, ეჭვი გვაქვს, რომ პროცესს ახლა პარლამენტიდანაც მფარველობენ! კეკელიძე კი ბოკერიას, ბენდუქიძისა და ჩერგოლეიშვილის კანდიდატურაა. უკრაინის საზღვარზე აღმოჩენილ ქართულ წიგნებს შორის სწორედ ეროვნული ბიბლიოთეკის დამღიანი წიგნები არ აღმოაჩინეს?! ეს საკითხი პროკურატურამ ჩაფარცხა – გაგუას მეუღლის ჩეხეთში ელჩობის გამო. ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნების ნუსხა მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტზეც იდო...

ამას წლობით უცვლელი ის დირექცია აკეთებს, რომელიც ჯერ კიდევ კარტოზიას დროიდან მოდის. გენერალური დირექტორები იცვლებიან, დირექცია კი უცვლელი რჩება. გამოდის, პროცესს ვიღაც მფარველობს, ვიღაცა დაინტერესებულია ამით!

– არც ბიბლიოთეკიდან წიგნების დაკარგვით და არც მუზეუმებიდან საგანძურის გატანის თემით ხელისუფლება არ ინტერესდება? საჯარო ბიბლიოთეკასთან უშუალო კავშირში მყოფი პიროვნებები კი ხელისუფლების წევრები გახდნენ!

– წლების განმავლობაში საჯარო ბიბლიოთეკას რეალურად მართავდა ლევან თაქთაქიშვილი, რომელსაც წიგნიერების არაფერი ეტყობა – უბრალოდ, ბიბლიოთეკაში ჩანერგილი სუკის თანამშრომელია. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე 2008 წლის მონაცემებით 4-მილიონიანი ფონდი ფიქსირდება. 2009 წლის მონაცემში მითითებულია ქართული, რუსული და უცხოური წიგნების ზუსტი რაოდენობა, რაც 2010 წლის მონაცემებში უკვე აღარ არსებობს...

იურიდიული დოკუმენტაცია, თხოვნის მიუხედავად, გაგუამ არ მოგვაწოდა. მეორედ მოთხოვნის შემდეგ ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია ავარიულობის გამო I და II კორპუსის დახურვის თაობაზე. 2007-ში მოსულმა გაგუამ ივანიშვილის თანხებით ბიბლიოთეკის შენობის რესტავრაცია იმ კორპუსიდან დაიწყო, რომელსაც ავარიული არაფერი სჭირდა. I-II კორპუსები მკითხველისთვის დაიკეტა. თანამშრომელთა ატესტაციაზე დაუშვებლობის მიზანიც, რასაკვირველია, ახლობლებისათვის შტატების გამოთავისუფლება იყო.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე კანონდარღვევები დღემდე არ შემწყდარა. წინა პარლამენტმა ბორის გაგუას 6 მილიონამდე გაუზარდა ბიუჯეტი. 4 მილიონი მხოლოდ დირექციის ხელფასებზე გაიწერა. ყველაზე დიდ ხელფასებსა და 200-300%-იან პრემიებსაც დირექცია იღებდა.

მე-3 კორპუსში ვენტილაციის გაუქმებით – **„არ იყო საჭირო და მოვხსენითო!“** – გაგუამ ევროსტანდარტების ყველა ნორმა დაარღვია! **„ქართუ ბანკიდან“** რესტავრაციისთვის თანხების გამოყოფის მიუხედავად, I და II კორპუსები ისევ სარესტავრაციოა. რუსულენოვანი წიგნები საცავიდან **„დასათვლელად“** გავიდა. საცავიდან წიგნის გამოტანა და ასე დათვლა კი დაუშვებელია და რუსული გამოცემებიც გორად ყრია გაუქმებულ სამკითხველო დარბაზში!..

– წიგნების რაოდენობის დასადგენად რამე დოკუმენტაცია თუ არსებობს?

– არსებობს სპეციალური სისტემური და ანბანური კატალოგები და მკითხველის ბარათიც, რითაც შესაძლებელია გატანილი წიგნების დაფიქსირება. ამას აკეთებდა ლევან თაქთაქიშვილიც და, სამწუხაროდ, ხდებოდა ლევან ბერძენიშვილის დროსაც - ამოღებული ბარათები ძირს ეყარა!

ეჭვი მაქვს – ისინი სანაგვეში გადაიყარა. არსებობს კონტროლური კატალოგიც, რომელსაც, ელექტრონული ბიბლიოთეკის არსებობის მიუხედავად, ხელი არ უნდა ახლო (თუ ჯერ კიდევ არსებობს და ლევან თაქთაქიშვილმა ისიც არ გაანადგურა)

– ფიქრობთ, გამიზნულად გააუქმდა წიგნის პალატა, რათა შემდგომ ეროვნული ბიბლიოთეკის უნიკალური წიგნები სარფიანად გაეყიდათ? ხომ არ იკვეთება, რომ ამაში ზოგიერთი მაშინდელი დირექტორისა და ახლანდელი **„გონიერი პოლიტიკოსის“** ინტერესიც შეიძლება იყოს?

– საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ საჯარო ბიბლიოთეკიდან გაყიდული ძვირად ღირებული და უნიკალური წიგნები წიგნის პალატაში არსებული წიგნებით ჩანაცვლდა. არქივიდან მოძიებული ასლის მიხედვით, წიგნის პალატაში არსებობდა 1,5-მილიონიანი ფონდი. თუ, საიტის თანახმად, ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდი 4 მილიონი იყო, ლოგიკურად წიგნების რაოდენობა მილიონნახევრით უნდა გაზრდილიყო, ანუ 4 000 000+1 500 000, ისევ 4 მილიონი როგორღა დარჩა?!

გაგუამ და თაქთაქიშვილმა ჟურნალისტს ოფიციალური საბუთის ნაცვლად ყოველგვარი იურიდიული ძალის არმქონე ცხრილი უჩვენეს. ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური საბუთის მიხედვით, 2004 წლის მონაცემებით, წიგნის პალატის საერთო ფონდი მილიონნახევარს შეადგენდა. არადა, ბატონმა გაგუამ და თაქთაქიშვილმა მოგვაწოდეს ოფიციალური რეკვიზიტების არმქონე ფარატინა ქაღალდი, სადაც ფონდი 202 205 ერთეულს შეადგენს!

მასალა, რასაც ჩვენ ვფლობთ – კრიმინალია! დირექცია კი, ეროვნული საგანძურისადმი ასეთი ანტისახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამო, პასუხისმგებლობაში უნდა მიეცეს. ეროვნულ ბიბლიოთეკას იმხელა დანაკლისი აქვს, რომ ვეჭვობ – ბიბლიოთეკის უნიკალური წიგნები უცხოულ კოლექციონერებზე ძვირად გაიყიდა...

ქეთევან დევაძე: – 1924 წელს დაარსებული წიგნის პალატა 2005-2006 წლებში პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით გაუქმდა. ვერაფერმა გვიშველა – პალატაც გააუქმეს და ძვირად ღირებული წიგნების ფონდიც ორ საათში, ყველა წესის დარღვევით გადაიბარეს!.. თანამშრომლები დაგვითხოვეს. წიგნის პალატაში მოგროვილი ინფორმაცია შემდგომ იუნესკოს მიეწოდებოდა. პალატაში დაცული **„ვეფხისტყაოსნის“** უნიკალური გამოცემებიდან ერთი აფხაზურ ენაზეც კი იყო! მართლა უნიკალური და უძვირფასესი წიგნები იყო! **„ვეფხისტყაოსნის“** გამოცემებით პირადად თაქთაქიშვილი დაინტერესდა...

ირმა დოლიძე: – მაკულატურად ჩამოწერილი **„პოლიტიკურად მოძველებული“** და „მკითხველისთვის გამოუსადეგარი“ წიგნების სიებში უნიკალური, ფასდაუდებელი ლიტერატურაა შეტანილი. ეს არის ენციკლოპედიები, ლექსიკონები და სხვა გამოცემები. ასეთი წიგნები უცხოულ კოლექციონერებთან და ბუკინისტებთან შავი ბაზრიდან ხვდება ხოლმე და ხშირად ქვეყნიდან დიდ ფასად გადის. დირექციას ეს უნდა სცოდნოდა!

ერთ-ერთი ჟურნალისტის დახმარებით კონტროლის პალატიდან ძალიან სკანდალური დოკუმენტი – 1997 წლის შუალედური აქტი მოვიპოვეთ. მივმართეთ ახალ ხელისუფლებას – პარლამენტს, პროკურატურას და იუსტიციის სამინისტროსაც, მაგრამ წერილობით პასუხს ვერავისგან ვეღირსეთ... ფაქტია, რომ ჯერჯერობით საკითხის მფარველობა და დაკნინება ხდება.

მთავარი პროკურატურისგან ვითხოვთ, გვიპასუხოს – რაში გამოიხატება კონტროლი, რა ეტაპზეა საქმე? ანალოგიური წერილი პარლამენტშიც გავაგზავნეთ, რადგან უსუფაშვილი წარადგენს და ნიშნავს ბიბლიოთეკის გენერალურ დირქტორს. თუ უკითხავს კეკელიძისთვის – რამდენს და რას ფლობს? ბიბლიოთეკიდან (დირექციიდან) პარლამენტში გაგზავნილი წლის პასუხი არ ვიცით. კეკელიძის არგუმენტი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პარლამენტის მიერ გამოყოფილ ალტერნატიულ ფართში გადატანაა. თუმცა რა არის აღწერილი დოკუმენტურად, რა რაოდენობაა, ვინ აღწერა – არავინ იცის... დაუთვლელად, დირექციის გადაწყვეტილებით, თუნდაც ალტერნატიულ ფართში წიგნადი ფონდის გადატანაზე ნებართვის გაცემის უფლება პარლამენტს არა აქვს! ბატონმა კეკელიძემ **„კაცების შოუში“** დააფიქსირა: **„ლეგენდები დადის – ფონდი 19 000 000 იყო და ერთ თანამშრომელს ბრალდება ქურდობაო!“**

ჩვენ მთელ დირექციას ვაკისრებთ პასუხიმგებლობას. თაქთაქიშვილი საცავებზე აგებდა პასუხს. ბიბლიოთეკაში არსებული **„19 000 000-იანი ფონდის ლეგენდის ავტორი“** ლევან ბერძენიშვილია – გაზეთ **„ყველა სიახლესთან“** ინტერვიუში. ჟურნალისტთანაც შევამოწმეთ – ცამეტი ცხრამეტად ხომ არ მოესმა?! ზუსტი ციფრია! 13 მილიონიც რომ იყოს, ეროვნულ ბიბლიოთეკას დღეს 4 მილიონი ერთეული რომ უდევს თავის ვებ-გვერდზე?!

ერთი ფაქტიც უნდა მოგიყვეთ. საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა დირექციას ორჯერ მივმართეთ საკონფერენციო დარბაზის დათმობის თაობაზე – ბიბლიოთეკის ქონებასა და წიგნადი ფონდების საკითხებზე უნდა გვემსჯელა. უარი მივიღეთ – რა საჭიროა გახმაურებაო! მაშინ პრესით გავიგე, რომ შარშან ბიბლიოთეკის დირექციამ საჯარო ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი ლგბტ საზოგადოებას დაუთმო თავის იურიდიულ უფლებებზე სამსჯელოდ...

ლგბტ პირებთან (იგულისხმეთ – პედერასტებთან. **“ილორი”**) პირადული არაფერი მაქვს, მაგრამ თუ ეროვნული და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა მოგვეთხოვება, საკონფერენციო დარბაზსაც ვუთმობთ – ევროკავშირი ზოგადად ყველა ადამიანის უფლებების დაცვასაც ხომ ითხოვს?! არსად გაშუქებულა მათი შეკრება და დავინტერესდი – ესწრებოდნენ თუ არა პრესკონფერენციას ჟურნალისტები, პრესა და ტელევიზია?! კეკელიძემ – **„მე იქ არ ვიჯექი, მომიგონესო!“**... შეხვედრა სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის შეკვეთილი, ბოდიშს ვიხდი, ფალოსის ფორმის ტორტით აღნიშნეს! (ეს გარეთ გამოსულმა მკითხველებმა და თანამშრომლებმაც დაინახეს - შევამოწმე).

ამგვარი შეხვედრების ჩასატარებლად გარემონტდა დარბაზი?! კამერებზე ყველაფერი დაფიქსირებული უნდა იყოს. ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი არც გასართობი ცენტრია, არც **„ბუდა-ბარი“** და არც **„შანგრილა“**, სადაც რამის აღნიშვნას ვერავის აუკრძალავ! ეს დარბაზი სერიოზული, სამეცნიერო კონფერენციებისთვისაა განკუთვნილი და არა ლგბტ სანახაობების მოსაწყობად, რომლებშიც, შესაძლოა, ასეთი ორგანიზაცია გარკვეულ თანხასაც უხდიდეს ბიბლიოთეკის დირექციას! ჩანს, ეროვნული ბიბლიოთეკის მიმართაც დაკნინების განსაკუთრებულ ფორმებს იყენებენ საქართველოში უცხოურ გრანტებზე მსხდომი ორგანიზაციები.

ხელისუფლების გვიკვირს – ამაზე მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი და ერისთვის სასიცოცხლო თემა რა უნდა იყოს?! მაინც გვინდა ვიფიქროთ, რომ იმდენი გამოსაძიებელი საქმეა, ხელისუფლებამ ჯერ ამისთვის ვერ მოიცალა! არადა, დრო მიდის და უნიკალური საგანძური, ახლა უკვე წიგნების სახითაც, შესაძლოა, ხელიდან გამოგვეცალოს!

ხ. არსენიძე

პოეზიის კუთხე

ჩემი აფხაზეთი

შავ ზღვას აუყრია ფაფარი,
ღრუბლებს დაუფარავს ცა,
ჩემი საძვალეთი აქ არი,
არსად მეგულება სხვა.
ჩემი დედულეთიც აქ არი,
ჩემი სიჭაბუკის გზა,
ჩემი სიყვარულის ზღაპარი,
არსად მეგულება სხვა.
ჩემი იღბლიანი საფარი,
ვაზი, მაგნოლია, ბზა,
წინ გადევნებული ლამპარი,
ჩემი იმედი და ხსნა...
ფეხით შელეწილი ჭიშკარი,
კირქვით ალესილი სკა,
კუბოს სანატრელი ფიცარი,
ოსი, ჩეჩენი და სხვა...
მაჯაში გადახსნილი ძარღვი,
ქრისტეს საგოლგოთე გზა,
პეშვით დალეული სისხლი,
ადიღე, კაზაკი და სხვა...
ჩვილის გახვრეტილი შუბლი,
ტყვიით შემსხვრეული ბრა,
გოგონას შერცხვენილი ხიბლი,
სად არის, სად არის ხსნა...
შესდექ შემცდარო მეზობელო!
გუშინ ჩემი იყავ ძმა,
ჩვენ ერთი გვქონდა მთა და მდელო,
ერთი – სავარადო ხმა!
ივერთ დაჩოქება არ იქნება,
ღმერთმა დაგვილოცა გზა,
აფხაზეთი ჩემი საძვალეა,
ჩემი იმედი და ხსნა.
ეს მიწა გულზე დაგვეყრება,
დაგვახრჩობს ცრემლების ზღვა,
ეს მიწა ჩვენი საძვალეა,
ვერ მოვა, ვერ მოვა, სხვა!

მერი აბრამია,
ხობი, 83 წლის

დრო, დრო აღნიშნე!

გამყალბებელი

მოუსავლეთში გამგზავრების წინ ცოცხოსანთა პრეზიდენტი ცდილობს, რომ სახელი შეულახოს ჩვენი ქვეყნის საპატიო ჯილდოებს – ბრწყინვალების ორდენსა და იმ პრემიას, რომელიც წმიდათაწმიდა სულმნათის – შოთა რუსთაველის სახელს ატარებს.

შეჭიდებულმა მემორიალს ყოჩის აურით,
ლამის რუსთაველს “გაუტოლა” ოჩიაური,
თანაც გვიბრძანა:
„მე ასე მსურს, მორჩით ხმაური!”
ამიტომ ვჩქარობთ,
გადავხვეტოთ სულის შებერვით ორდენების და პრემიების გამყალბებელი!

ვერ დაგვავიწყებს

დემაგოგობა
ხელობად აქვს
ჭიაბერაშვილს,
მაგრამ ვერასდროს
ბოროტებით კეთილს ვერ წაშლის,
რადგან ვერც თბილისს,
ვერც ციფ გომბორს
და ვერც ზედაზენს
ვერ დაავიწყებს,
რაც იბილწა
ქართველის დედაზე.

ახლოა ქამი

როდესაც ცდილობს,
ბოროტებას რომ სული გაძვრეს;
ხალხი კლდე არის,
კლდეზეც უფრო სალი და გამძლე.
მასთან საომრად მიშისტებმა ჭორები დაძრეს,
მაგრამ ბელზებელს
გადუკეტა გზა ბედუკაძემ;
და დავდებ ნაძლევს,
ეშმაკეულს ნამდვილად დავძლევთ,
რადგან დგას ჟამი,
რომ სატანას ღოჯები დაძვრეს!..

ალექსანდრე შენგელია

ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-229

ზოგიერთი მოსაზრება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიანობის შესახებ

რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი, მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს

ტერენტი გრანელი

როგორც აღინიშნა, ძველ ბერძნებს, მათ შორის ჰეროდოტეს, მიაჩნდა, რომ ტერიტორიები მეწამული ზღვიდან კავკასიის ჩათვლით ეკავათ სპარსებს, მიდიელებს, სასპერებს და კოლხებს. აქედან ჩანს, რომ ის აღმოსავლეთ საქართველოსაც კოლხეთად თვლის, რადგან ის, ამ სივრცეში სხვა ქვეყანას და ხალხებს ვერ ხედავს. ამას ისიც ადასტურებს, რომ მეგრული ტოპონიმები მრავლად გვხვდება მესხეთ-ჯავახეთში, და თრიალეთში იმ ტერიტორიებზე, რომელზეც ჰეროდოტე ლაპარაკობს და, როგორც ჩანს, ეს ტერიტორიები კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდა.

მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ შემორჩენილია ქართველური (კოლხური) სიტყვა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია 3500, შეიძლება, უფრო ადრეული წლების სიღრმიდან – **„კირიბიში“**, რომლის შესახებ ბერძნები სწავლულები წერენ – **„კირიბიში ტყების“ („კრავის ტყავის“)** შესახებ და მიუთითებენ წინაბერძნულ კოლხებზე და კოლხეთზე. ისიც ცნობილია, რომ საბერძნეთში **„კირიბიში“** იმდენად ავტორიტეტული იყო, რომ პირველ სახელმწიფო კანონებს **„კირიბიში“** უწოდეს (ანზორ შონია, **"ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა,"** თბ., 2003, გვ. 17.). აქედანაც ჩანს, რომ კოლხები წინაბერძნული – ბერძნების წინადროინდელი ხალხია.

როგორც ითქვა, ხუთი ათას წელზე ადრე ერთიანი ქართული სახელმწიფოს ცენტრი ყოფილა ქ. კოლხუა (კოლხა) და ყოლიათ მეფე ანმარე. ამას წერენ არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელი სწავლულები, შეტანილია უცხო ქვეყნების ენციკლოპედიებში და ყველა ეს მასალა ინტერნეტით შეიძლება მოიპოვონ იმ პიროვნებებმა, რომლებსაც ჯიუტად **„არ სურთ დაიჯერონ“** ძველი კოლხეთის (საქართველოს) მსოფლიო ისტორიული წარსული, მისი უდიდესი როლი კაცობრიობის წინსვლა-განვითარებაში. ამ მასალებს, პირველ რიგში, უნდა გაეცნონ ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც არ ცნობენ, უარყოფენ ბერძენ-ბიზანტიელ სწავლულების მიერ დატოვებულ წყაროებს და მასალებს კოლხეთის შესახებ.

ზოგიერთ ცნობილ მეცნიერს, მიაჩნია, რომ შეუძლებელია კოლხეთის საზღვრების (კერძოდ, აღმოსავლეთ საზღვრების) დაზუსტება (ის უძველესი დროიდანაა დადგენილი) და ასევე არაა, გარკვეული კოლხების სამეტყველო ენა (კოლხეთის სამეტყველო ენა იყო კოლხური – მეგრული). ამიტომ **„მიზანშეწონილად“** არ მიაჩნიათ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად ჩაითვალოს კოლხეთის ეპოქა, კოლხეთისა, რომელსაც, ჩანს, შვიდი ათას წელზე მეტი ხნის სახელმწიფოებრიობის ისტორია აქვს. კოლხეთს (საქართველოს) არა მარტო 7 ათასი წლის წინანდელი სახელმწიფოებრიობის ისტორია აქვს. არამედ გერმანელმა არქეოლოგებმა ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს 11 ათასი წლის წინანდელი კოლხური (ქართული) ეკლესია, გარდა ამისა, კასიტური ენა კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა. მის მატარებელთა დინასტია მართავდა ბაბილონს XII საუკუნის შუა წლებამდე

როგორც აღინიშნა, ოღონდ ძველი ისტორია მიჩქმალონ და მზად არიან ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნის, არსებობის თარიღად დაასახელონ 3000, 2600, 2300 ან ასეთ თარიღად ჩათვალონ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საწყისი პერიოდი (ჩვ. წ. I ს.) და ამით საქართველოს ისტორიის უძველეს წარსულზე უარს ამბობს. ამით სხვები სარგებლობდნენ და პირველობას ჩემულობენ რეგიონში.

ქვეყნის, ერის ცხოვრებაში უნდა იყოს აზრთა სხვადასხვაობა, შეხედულებათა, სხვადასხვაობა, მაგრამ ეს უნდა იყოს ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აზრების და შეხედულების ჯანსაღი სხვადასხვაობა. გავიხსენოთ ძველ კოლხეთში აიეტისა და ფარტაზის ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კამათი, რომელიც სამშობლოს ყოფნა არყოფნის საკითხებს ეხებოდა. ასეთი ჯანსაღი დისკუსია, აზრთა ჯანსაღი, სასურველი და მიზანმიმართული სხვაობა, ერის სიფხიზლის, ერის წინსვლის, განვითარების საფუძველია – ყველა დებულება, ყველა მოტანილი მასალა ზუსტი, ობიექტური უნდა იყოს.

სწავლულთა ერთი ნაწილისათვის, – წერს ა. შონია, – მიუღებელი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობის, ისტორიის საწყისად **„კოლხეთის სამეფოს ეპოქის აღიარება, ვინაიდან მათ ეს ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხში იბერიის სამეფოს როლის იგნორირებად აღიქვეს“** (ანზორ შონია, ეგრისის სამეფო და..., გვ. 18-20). რაც კუთხური ცნობიერების გავლენაა.

აიეტის მედეა – მითიურია, მაშინ როდესაც ამ მითის შემქმნელი ბერძნები აიეტისა და მედეას თანამედროვეები იყვნენ. აგრეთვე თანამედროვე მსოფლიოს არც ერთი ცნობილი მეცნიერი, ლიტერატორი ისტორიკოსი არ უარყოფს აიეტის კოლხეთის ნამდვილობას, ეჭვი არ ეპარებათ კოლხეთის უდიდეს დამსახურებაზე კაცობრიობის წინაშე (საკმარისია მხოლოდ პროფ. აკ. ურუშაძის შრომების გაცნობა).

როგორც ა. შონია ამბობს, შეიძლება ითქვას: მცხეთის მამასახლისის შვილის, დედით სპარსელი მეფე, დიდი ფარნავაზის ისტორია შექმნა ლეონტი მროველმა. ამ მოვლენიდან 14-15 საუკუნის შემდეგ ამ ფაქტზე არაფერს წერენ იმ ეპოქისა და შემდგომი დროის უცხოელი სწავლულები და, რატომღაც დადასტურებული არ არის უცხოური წყაროებით, არც ადგილობრივი წყაროებით – ამიტომ ძნელი სათქმელია რომელია ნამდვილი მოვლენა და რომელი ლეგენდა?

თუ, აქედან ვიანგარიშებთ საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მაშინ 2300 წლის ისტორია აქვს.

როგორც აღინიშნა, ძვ. წ. XV -X საუკუნეებში მცირე აზიასა და კავკასიაში მოხსენიებულია ტომთა თუ სახელმწიფოებრივი გაერთიანებები: კოლხების, ურარტუს, ხეთების, დაიაენის, თუ დიაოხის, მიდის, სასპერიის და სხვა სახელები, რომლებიდანაც გარდა კოლხეთისა, ყველა სხვა ამოვარდა შემდგომში მსოფლიო ისტორიიდან. ეს განპირობებული უნდა იყოს იმითაც, რომ იმ უძველეს დროში კოლხებს ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანება ჰქონდათ.

ნებისმიერი სახელმწიფო და ერი იამაყებდა იმ დიდებული წარსულით, რაც კოლხებს (ქართველებს) აქვთ – იამაყებდა თავისი ქვეყნის წარსულით და წინაპართა ღირსებით, მაგრამ სამწუხაროა, რომ ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს ეს არ აწყობს და მათთვის მთავარია ერის წინაშე კოლხეთის როლისა და კოლხეთის დამსახურების დამცირება, თითქოს ეს მთელი საქართველოს შეურაცხყოფა და დამცირება არ იყოს. ეს კუთხური აზროვნების გამოხატულებაა, კუთხურობის ტიპიური მაგალითია, წერს ა. შონია.

რადგან ძვ. წ. IV საუკუნემდე ქართულ და უცხოურ წყაროებში ნახსენები არ არის აღმოსავლეთ საქართველო და უცნობია ვინ ცხოვრობდა იქ – აღმოსავლეთ საქართველოში. იმ დრომდე იქ რაიმე ცივილიზაციის არსებობაზე არავითარი წყარო არ არსებობს (არც ბერძნულ-ბიზანტიური), მაგრამ ამის მიუხედავად, ქართველმა მეცნიერებმა კარგად გამოიყენეს კოლხეთი – კოლხური ცივილიზაცია, რათა დირსეულად წარმოეჩინათ ჩვენი ქვეყნის შორეული წარსული.

აქვე, ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ჰეროდოტეს თავის ეპოქაში (ძვ. წ. V ს.) მეწამული ზღვიდან ფაზისამდე და მის იქითაც ვერ ხედავს სომხეთსა და საერთოდ არ ახსენებს მას, მაშინ როდესაც სომეხი მეცნიერები ლაპარაკობენ **„დიდ სომხეთზე“;** ჰეროდოტე ასევე ვერ ხედავს სვანებსაც (ა. შონია).

დადასტურებულად ითვლებოდა, რომ საქართველოში ძველი დროიდან არსებობდა ორი სამეფო: ძვ. წ. XV-XIII საუკუნიდან კოლხეთის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. IV საუკუნიდან იბერიის (შემდეგ ქართლის) სამეფო.

არსებობდა იმის დიდი შესაძლებლობა, რომ **„ქართულ მეცნიერებაში რადიკალურად აღებული ყოფილიყო კურსი იმის დასამტკიცებლად, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველებს ერთი წარმომავლობა აქვთ და მათში საერთო ეთნოსი დომინანტია, რასაც უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს“** (ა. შონია).

ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი თვლის, რომ **„ქართული საისტორიო აზროვნება ვერ დგას დროის მოწოდების სიმაღლეზე და საზოგადოებაც ასეთ დონეზეა“** (გ. ყორანაშვილი).

როგორც ანზორ შონია წერს: ქართველ მეცნიერთა ნაწილი იბერიის (ქართლის) სამეფოს მიიჩნევს ძვ. წ. XII-IX საუკუნეებში მცირე აზიაში არსებული ე. წ. **„დაიაენის“** თუ **„დიაუხის“ („დიოხის“)** გაერთიანების თუ ტომთა კავშირის მემკვიდრედ, ხოლო მეცნიერთა მეორე ნაწილს, ასევე მცირე აზიაში ძვ. წ. IX-V საუკუნეებში არსებული საასპერიის გაერთიანების მემკვიდრედ, თუმცა დაუდგენელია დაიაენის რაობა და არც ის არის ცნობილი ვინ იყვნენ **„დაიანები“** და უკვალოდ სად გაქრნენ.

უცნობია ვინ იყვნენ ისინი, ტომთა გაერთიანება თუ სახელმწიფო? უფრო ფიქრობენ, რომ ისინი ხურიტები არიან; არ არსებობს არავითარი წყარო, მასალა ე. წ. **„დაიაენებსა“** და იბერებს შორის რაიმენაირ კავშირს რომ მიანიშნებდეს; ძვ. წ. IX საუკუნიდან უკვე არ არსებობს **„დაიანების“** ტომთა გაერთიანება თუ სახელმწიფო და როგორ მოხდა ხუთი საუკუნის შემდეგ მათი მემკვიდრეები იბერები გამხდარიყვნენ; როგორ მოხდა რამდენიმე საუკუნის შემდეგ **„დაიანებს“** თუ **„დიაუხებს“** სახელი შეეცვალათ და ეწოდათ იბერები, არსებობს რაიმე გრამატიკული ან სხვა კავშირი ამ ცნებებს (ამ სიტყვებს) შორის? რატომ ვერ შეინარჩუნეს **„დაიანებმა“** საკუთარი სახელწოდება? ორი-სამი სიტყვა, რომელიც თურმე **„დაიაენურიდან“ „შემოვიდა“** ქართულში, არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ვამტკიცოთ იბერების წარმომავლობა დაიაენებიდან. ცნობილია, რომ მრავალი ასეული ლათინური, ეგვიპტური და კოლხური სიტყვა ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ გამოდის, რომ კოლხები ლათინელებისა და ეგვიპტელების მემკვიდრეები ყოფილან. თუმცა, მეცნიერები არ უარყოფენ კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობას.

საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო კვლავ აღვნიშნავთ, რომ ქართველ მეცნიერთა ნაწილი არ იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად (ქართული სახელმწიფოს ასაკი) აღიარებულ იქნეს კოლხეთის სამეფოს ეპოქა, რადგან ამას იბერიის სამეფოს როლის იგნორირებად მიიჩნევენ.

საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოს საწყისად ჩაითვალა 3000 წლის პერიოდი. (ე. ი. კოლხეთის ეპოქა, თუმცა კოლხეთის სახელმწიფოებრიობას არა 3000 წელს, არამედ კიდევ სხვა მრავალ ათასი წლის ისტორია აქვს). ამასთან დაკავშირებით გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** მიმდინარეობდა დისკუსია **„რამდენი წლისაა ქართული სახელმწიფოებრიობა“** (გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“,** 2000, 19 ოქტომბერი.) (ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილების შემდეგ და არა მანამდე).

მიუხედავად ხელისუფლების გადაწყვეტილებისა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წელი, არ აღნიშნულა, ალბათ იმიტომ, რომ ამ ფაქტით თვალნათლივ, ერთხელ კიდევ გამოჩნდებოდა: საქართველოს სახელმწიფოებრიობის საწყისი კოლხეთია, რაც ქვეყნის მაშინდელ მმართველობას უთუოდ არ აწყდებოდა.

ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ქართული სახელმწიფოს ქრონოლოგია დაიწყოს იბერიის სამეფოს წარმოქმნის ეპოქიდან (ძვ. წ. IV საუკუნე); ან ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების დროიდან (ძვ. წ. VI (?) საუკუნე). მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობა განისაზღვრა 2300 ან 2600 წლით.

აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ წერილში **„სახელმწიფოებრიობის საკითხისათვის საქართველოში“** (მარიამ ლორთქიფანიძე, სახელმწიფოებრიობის საკითხისათვის საქართველოში, გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“,** 1999, 26-27 დეკემბერი.) აღნიშნა, რომ ქართული სახელმწიფოს ისტორიის საწყისად **„დაიაენის“** ან **„დიაუხის“** ეპოქა ყოფილიყო, მაგრამ ამისათვის ხელი შეუშლია იმას, რომ ისტორიაში დადგენილი არ არის **„დაიაენის“** ვინაობა (რაობა), იყო ის **„ტომთა კავშირი“** ანუ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ვინ ცხოვრობდა იქ და სად გაქრნენ ისინი (ანზორ შონია, ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა, გვ. 13).

პროფ. რევაზ ბარამიძე წერილში **„ფარნავაზი მამულად ქართველი“** (რევაზ ბარამიძე, ფარნავაზი-მამულად ქართველი, გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**, 2000, 7 ნოემბერი.) თვლის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა იწყება ფარნავაზის ეპოქაში, ე. ი. 2300 წლის წინ, რადგან, როგორც აღინიშნა, კატეგორიულად მიიჩნევს, რომ კოლხეთის შესახებ არსებული მითი არ იძლევა იმის საშუალებას დადგინდეს მისი საზღვრები და, აგრეთვე ძველი კოლხების სამეტყველო ენა.

პროფ. გურამ ყორანაშვილის შეხედულებანი კოლხეთზე და სამეგრელოზე კარგად არის ცნობილი, მაგრამ მათზე აქ არ ვლაპარაკობთ – კომენტარს არ ვაკეთებთ (ის ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის ეპოქის აღიარების (3 ათასი წლის წინ) კატეგორიული წინააღმდეგია.

არსებული მასალები იმის დასკვნის სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ კოლხეთს ე. ი. საქართველოს სახელმწიფოებრიობას 7 ათასი წლის ისტორია აქვს, რომ კოლხეთს, 4 ათასი წლის წინ დამწერლობა ჰქონდა, დადასტურებულია გია კვაშილავას მიერ გაშიფრულ-წაკითხული **„ფესტოსის დისკოთი“**, რომელიც კოლხური **„ოქრო დამწერლობაა“.** მაგრამ ჯერ კიდევ მიგნებული, აღმოჩენილი არ არის კოლხების 7 ათასი წლის წინანდელი დამწერლობა (წარღვნამდელი ტომი კოლხუა), რასაც ადასტურებენ იგნატიოს დონელი, და უფრო ადრინდელი მკვლევარები ქართველი მწერალი და მკვლევარი ვლადიმერ (ლადო) ალფენიძე, მწერალ-მკვლევარი ინდიკო კვეკვესკირი და სხვები. (ამაზე ქვემოდაც გვექნება საუბარი).

კოლხური, იგივე ქართული დამწერლობის თვალმარგალიტი თითქმის 4 ათასი წელი ინახებოდა ძველი კოლხეთის მიწაზე კუნძულ კრეტაში და ამეტყველდა 40 საუკუნის შემდეგ, ნუთუ საჭიროა კიდევ ახალი 40 საუკუნე, რომ მიგნებული და გაშიფრული იქნას უძველესი კოლხუების (კოლხების) – ქართველების 7 ათასი წლის წინანდელი დამწერლობა? სულ არ არის გამორიცხული ასეთი აღმოჩენა მოხდეს და დრო ძალიან არ გაჭიანურდეს! როგორ გამართლდა ისტორიული მეცნიერების კორიფეს, დიდი ივანე ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება: შემდგომში შეიძლება გაირკვეს, რომ პირველი დამწერლობა ან მეგრელებს ან სვანებს ჰქონდათ.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ "ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲢᲘᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐᲗᲐ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ"

(ქართველი "ფუტ-ლინგვისტები" და „ერთობლივი საქართველოსთვის" მებრძოლი მათი ისტორიკოსი მიმდევრები)

მინცი თოფი გილუღ, მარა
იშენ ვარე მონადირე,
შხვაშნოტყელც გაზუმინუ,
მუჭოთ ჭანდი – მოლადირე,
თოლი არძას ალაბრსხუნა,
მარაზღვა-ქვინც აკაორწყე...
ჭიფელია ჭინიშ ღობერ
სქვამასირკოც ვაწკირორწკე.
(ლაშა გახარია, მეგრული პოეზია)

სწორედ ამ ენის **„დიალექტის სტატუსამდე დაქვეითებას"** უწყობენ ხელს ბატონი ფუტკარაძე-გვანცელაძე და მათი მიმდევრები, რასაც მერე აუცილებლად მოჰყვება ამ ენების პრესტიჟის უფრო მეტად დაცემა და თანდათანობითი გაქრობა. მერე ამ კუთხის შვილები სინანულით წავიკითხავთ ლექსს:

ლერს ვამჭარუ მარგალური,
თეშენ გური მანგარუნი!
ასე მიჩქუ ჩქიმი დიდა,
ცოდა მიღუ მუშმადიდა!
მარა მობრდეს მა თინერო, –
(თე ქიანა მათინენო).
თინუ მურდუ ვადმოგურეს,
მათ ვამფირქებ თეშა, ღურელს,
ასე გებგი, მურერინა,
მუტომბა რე ჩქინი ნინა!
სი რექ ჩქიმი სკვამი დიდა,
მუ ჭიჭე დო მუშმადიდა!
მარაგადე მეტი მუთა, –
სქანდე ბძირი ბუა დო თუთა!
ანწ მუ ფთქუა ჩქიმი ღურა,
ვაგმანჭყორა, ვადმენდურა!

ლაშა გახარია – მეგრული პოეზია, გვ.129

გლობალიზაციის პრობლემების გარდა, მიგრაციის ამუამინდელი ტემპების გაგრძელების შემთხვევაში, როცა მშობლები უკვე ვეღარ ან აღარ ამახვილებენ ყურადღებას მშობლიური ენის სწავლებაზე, ან სულაც დაბრკოლებად ჩათვლიან მის სწავლას ბავშვის განვითარებისათვის,ისევე როგორც ამ კუთხეში მოსახლეებს გაუნელდებათ სურვილი **„დიალექტის"** შესწავლისა..

აი ეს გახლავთ ნამდვილი საშიშროება და არა ბატონ ტარიელ ფუტკარაძის პოლიტიკური წარმოსახვები ნებისმიერ ენას, მითუმეტეს დამწერლობის არმქონეს, მოვლა და პატრონობა ჭირდება, მაგრამ არა დიალექტების დონეზე, როგორც ამას ბატონი ფუტკარაძე გვთავაზობს **„თავის ინსტიტუტში"**;

დიალექტი და ენა (თუნდაც ზეპირი) ორი ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავებული მოვლენაა და ორივეს თვისობრივად განსხვავებული მიდგომა და მოვლა-პატრონობა ჭირდება:

„ნინას ხოლო ნოკობუე
ბარგუა დო მაჟირუა,
ტყაში გითოტიტონუა,
წყარუა დო ლაჟირუა.
უმინჯ ყვანა,გამგონებუ
სარდაკიაქ დაჯღირუა,,,
ქემინჯი დო გექშაბირცხე
უმოღე დო ნაჟირუა.

კიდევ ერთხელ მივმართავ ყველას ვინც ფუტკარაძე-გვანცელაძის ფერხულში ჩაება და **„განგაშის ზარები"** დააქუხა, ლაშა გახარიას სტრიქონებით: იმედია მიმხვდები მიხვდება და გამგები გაიგებს;

განსაკუთრებით ისინი, რომლებმაც ამ **„დიალექტზე"** აიდგეს ენა:

სამარგალო საქორთუოშ
გორგალი რე უდირაკუ,
ტყურათ ვაუძუკონუს,
ვართ გერქ დო ვართ ტურაქ!
გურ ვაჭყოლას უდუნდელო
დღანებაქუ დო ტყურაქ,
მის გუგონებ, გეხარუნი
ჯიმაქ – ჯიმანაღურაქუ?!
სამარგალო ჩხე გური რე –
ყოროფათი მოწანწილი,
საქორთუოშ სქვამნოხისი,
მარდიანიში მიშაშილი.
საქორთუო სქვამოდარე –
ღორონთიში ნაქილიქა,
იშ კარც ირო უხაკუანც
ეშმაკიში ზაკვილი ბიგა.
ათეოდაშ ხუალასი,
მით გარენი, ჯგირო ვარე,
ჩქინ ტაბაკის მუკიადირც,
მარა შური უხე გალე,
ეჩიენი-ვაგარჩქილე,
ვეჩიენი-თეთ ვაგგალე,
უჯგცოცხალო დინგარე დო
უნგარუო გამკინგარე!

ლაშა გახარია,
მეგრული პოეზია, 2006, გვ.130

ფრანსუა გრინის ერთ ციტატს მოვიტან დასასრულს და მეტი აღარ შევაწუხებ მკითხველს:

„სინამდვილეში, რამდენიმე მცირე სახელმწიფოს გარდა, რომლებშიც ერთგვაროვანი მოსახლეობაა, როგორიც არის ისლანდია ან ლიხტენშტეინი, ყველა დანარჩენ სახელმწიფოში გვხვდება შიდა ლინგვისტური მრავალფეროვნება. უფრო მეტიც, საზოგადოდ გავრცელებული შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ენობრივი მრავალფეროვნება მხოლოდ ახალგაზრდა ან ჩამოუყალიბებელი ერების მახასიათებელი არ არის. პირიქით, ეროვნული სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ხანგრძლივი ისტორიის მქონე ბევრ სახელმწიფოში არსებობს მრავალფეროვნება და ბევრი მათგანი კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებას საკუთარი ეროვნული თვითშეგნების არსებით დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს" (კრებული 2006, გვ 79).

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, ფუტკარაძე-გვანცელაძე-ტაბიძის, მათი მიმდევრებისა თუ მფარველების გასაგონად, რომ ამ **„ენობრივ მრავალფეროვნებაში"** ერთი ერის /ეთნოსის/ ენობრივი მრავალფეროვნებაც იგულისხმება და ამ ერთან ერთად მცხოვრები სხვა თანამოქალაქეთა ენებიც.

ამ მრავალფეროვნების არდანახვა და არგაფრთხილება გახლავთ საშიში ქვეყნისთვის და არა მათი **„ევროპულ ქარტიაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ"** მოხვედრა.

იქნებ კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდეთ ყველანი უწმინდესისა და უნეტარესის ნათქვამს: **„მე არ ვამბობ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი მხრიდან შეცდომები არ იყო დაშვებული და თანაც სერიოზული შეცდომები..."** და იგივე შეცდომები ხელახლა არ გავიმეოროთ.

იქნებ გვეყოს ჩვენი წინდაუხედაობისა თუ **„უნიათობის"** მუდმივად სხვაზე გადაბრალება, თანაც ამ **„სხვაში"** ახლა უკვე ევროსაბჭოს ჩართვა, **„საშიშროებების"** იქ ძიება, სადაც ის არ არსებობს და ამ არარსებულის ძიებაში, კიდევ ერთი ახალი უბედურება არ დავატეხოთ თავს ჩვენს ქვეყანას.

ᲒᲘᲐ ᲝᲙᲣᲯᲐᲕᲐ
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲔᲜᲒᲣᲠᲨᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘ – ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲢᲧᲣᲐᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ

"ამბობდნენ, ბაბუ ისე არ ცხონდება თუ ქართული მიწა არ დავაყარეთო, ბაბუა დაასაფლავეს და მესამე დღეს თავადაც საქართველოში დაიღუპნენ", – იხსენებს სოფელ ჭუბერში მომხდარი ტრაგედიის დროს გარდაცვლილთა ახლობელი სოფიკო ლომია.

რამდენიმე დღის წინ სვანეთში, სოფელ ჭუბერში მომხდარი ავარიის შედეგად ავტომანქანა მდინარე ენგურში გადავარდა. 24 წლის ტყუპი დის, მათი დედის და ბიძის პოვნა ამ დრომდე ვერ ხერხდება.

24 წლის ტყუპი და – თათია და ნათია სახოკიები რუსეთში დაბადებული ქართველები არიან. ქართულად წერდნენ და მშობლიურ ენაზე თავისუფლად საუბრობდნენ. მოსკოვში სამედიცინოზე სწავლობდნენ.

საქართველოში რამდენიმე დღის წინ ბაბუის ანდერძის აღსასრულებლად ჩამოვიდნენ. გარდაცვლილი სამშობლოში, სენაკში დაკრძალეს, მესამე დღეს კი მესტიაში მეორე ბაბუის სანახავად წავიდნენ. სვანეთში, სოფელ ჭუბერში მომხდარი ავარიის შედეგად კი ავტომანქანა მდინარე ენგურში გადავარდა. თათია და ნათია დედასთან ერთად მდინარემ წაიღო. მათთან ერთად ამ დრომდე დაკარგულია მათი ბიძა, რომელიც საჭესთან იჯდა.

"ბაბუის გარდაცვალების შემდეგ თავი მოიკლეს, საქართველოში გვინდა დავასაფლავოთო. ამბობდნენ, ბაბუას ანდერძი და თხოვნაა, ჩემს მიწაზე დამასაფლავეთო. ბაბუასთან ერთად არიან გაზრდილები. ზუსტად მახსოვს მათი სიტყვები,ბაბუ ისე არ ცხონდება თუ ქართული მიწა არ დავაყარეთო. უნდა გენახათ,როგორი ტრადიციებით დაასაფლავეს. ამბობდნენ, რომ მოსკოვში ქართულ ტრადიციებს კიდევ უფრო მეტად ვიცავთო. ბაბუის ორმოცზე ისევ აპირებდნენ ჩამოსვლას. ფიქრობდნენ, რომ ბაბუის საქართველოში დასაფლავების შემდეგ უფრო მეტი კავშირი ექნებოდათ საქართველოსთან და ხშირად ჩამოვიდოდნენ. დედაც და ბავშვებიც რუსეთის მოქალაქეები არიან. რუსეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ ორმაგი მოქალაქეობის მიღება უნდოდათ", – ამბობს გარდაცვლილთა ახლობელი სოფიკო ლომია.

ისინი საქართველოში ბოლოს 6 წლის წინ იყვნენ.

"მონატრებულები იყვნენ აქაურობას. დაკრძალვიდან მესამე დღეს ბავშვებს სენაკში სიძემ ჩამოაკითხა სვანეთიდან და ბაბუის სანახავად წავიდნენ. ეს ტრაგედიაც გზაში მოხდა. ვერცერთი დაღუპულის ცხედარი ჯერ ვერ იპოვეს. არც მანქანა ჩანს სადმე. მოსკოვიდან სიძე ჩამოვიდა. ახლა აქ არის შემთხვევის ადგილზე. აქვეა გამზრდელი ბებია, რომელიც თავს იკლავდა, ხან მანქანას შეუვარდა, ხან ჭაში ჩავარდნა სცადა. ასეთი უბედურება დატრიალდა. რა გითხრათ, არ ვიცი", – ამბობს დაღუპულთა ოჯახის ახლობელი.

მისი თქმით, ამ დროისთვის ნაპოვნია მხოლოდ უმნიშვნელო ნივთები და მანქანის საბურავი, თუმცა ზუსტად ისიც უცნობია, საბურავი მათ მანქანას ეკუთვნოდა თუ არა.

დაკარგულთა ძებნაში ავარიის დღიდან სპეც-ტექნიკა ჩაერთო. მობილიზებულია კატარღები და ნავები, სვანეთში თბილისიდან და ბათუმიდან მყვინთავებიც ჩავიდნენ.

ნათია და თათია დედასთან ერთად რუსეთში დაბრუნებას 21 ივლისს აპირებდნენ.

Მ. ᲐᲤᲪᲘᲐᲣᲠᲘ

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲙᲝᲩᲐᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲕᲐᲰᲐᲑᲘᲢᲘᲐ ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲘᲝᲓᲐ! ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ!

2013 წლის 23 ივლისს, დილით, ბათუმის ბულვარში 16 წლის მარიამ კოჩალიძის ცხედარი იპოვეს – გოგონას ყელი ჰქონდა გამოჭრილი და ზურგზე ლოდი ედო. დაკარგული იყო მისი *iPhone*-ის ტიპის მობილური ტელეფონი და ველოსიპედი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს ბოევიკები – ვაჰაბიტები სირიის ოპოზიციიდან დაჭრის შემდეგ თურქეთში რეაბილიტაციას გადიან (როგორც უწინ საქართველოში, პანკისის ხეობაში მკურნალობდნენ ვაჰაბიტები ჩრდილოეთ კავკასიიდან), ამიტომ ვერსია გამოვთქვით, რომ მკვლელი, შესაძლოა, უკვე თურქეთის ტერიტორიაზე, თავის **„სანატორიუმში"** იმყოფებოდეს. ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებდა სხვა ფაქტებიც – დამნაშავე ცუდად ფლობდა ქართულ ენას; მას არ შეეძლო საქართველოს ტერიტორიაზე ძებნაში გამოცხადებული მობილური ტელეფონით სარგებლობა. სავარაუდოდ, მარიამ კოჩალიძის *iPhone* ანუ სხვის სახელზე დარეგისტრირებული ტელეფონი მას მნიშვნელოვანი ზარის განსახორციელებლად სჭირდებოდა, მაგალითად – ჯიჰადის რომელიღაც ცენტრთან დასაკავშირებლად.

და აი, 2013 წლის 24 ივლისს, სადამოს, **შსს**-მ დაადგინა, რომ 16 წლის მარიამ კოჩალიძის მკვლელი 1985 წელს დაბადებული ირანის მოქალაქე მოჰამადამინ რუინთანია, რომელიც საქართველოში სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან 23 ივნისს შემოვიდა და 22 ივლისსს 19.22 საათზე საქართველოს ტერიტორია ასევე სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით დატოვა.

საქართველოს გამჭვირვალე საზღვარი თურქეთთან აჭარაში და **ნატო**-ს წევრი ქვეყნის – თურქეთის მოქალაქეთა თვითნებობა საქართველოს ტერიტორიაზე მიხეილ სააკაშვილის კიდევ ერთი დანაშაულია, რომელიც **„ნიანგის ცრემლებს"** ღვრიდა 16 წლის მარიამ კოჩალიძის მკვლელობის გამო! იმ მიხეილ სააკაშვილისა, რომელმაც, საქართველოს №1 სტრატეგიული პარტნიორის შეშფოთების მიუხედავად, ირანთან უვიზო რეჟიმი შემოიღო! იმ მიხეილ სააკაშვილისა, რომელსაც პანკისის ხეობაში ბოევიკების ბანაკები ჰქონდა გახსნილი და მათი კვალის წასაშლელად ლოპოტაზე სამარცხვინო ოპერაცია ჩაატარა!

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

"ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲒᲣᲐᲜᲢᲐᲜᲐᲛᲝᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲞᲐᲠᲐ"

2010 წელს საქართველოში გუანტანამოს ციხის სამი ყოფილი პატიმარი ჩამოიყვანეს. საქართველოს ხელისუფლება პატიმრების ვინაობას, მათივე უსაფრთხოების მიზნით, არ ახმაურებდა. თუმცა ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა იუწყებოდა, რომ ორი მათგანი ლიბიელი, ერთი კი – ირანული წარმოშობის ტერორისტი იყო. საქართველოს **შსს** აცხადებდა, რომ გუანტანამოელებს საქართველოში ბინადრობის უფლება ექნებოდათ, მაგრამ თავიანთ მოქალაქეობას შეინარჩუნებდნენ.

"გუანტანამოს ყოფილი ტუსაღები საქართველოში ჩვეულებრივ, როგორც სხვა მოქალაქეები, ისე იცხოვრებენ, თუმცა მათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლის უფლება არ ექნებათ. ეს სამი პიროვნება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არიან", – აცხადებდა მაშინ **შსს**.

საქართველოს **"მეურვეობისა და კონტროლის ქვეშ"** მყოფი სამი პატიმრის ვინაობა და ადგილსამყოფელი არ სახელდებოდა, ეს საკითხი სახელმწიფო საიდუმლოების რანგში იყო აყვანილი და მათ შესახებ ინფორმაციაზე, პრეზიდენტისა და ვანო მერაბიშვილის გარდა, ხელი არავის მიუწვდებოდა.

მიუხედავად პირობისა, რომ ეს ადამიანები ციხეში არ განთავსდებოდნენ, ყოფილი პატიმრები ადასტურებენ, რომ მუსლიმანი ტერორისტები გარკვეული დროით გლდანის მე-8 დაწესებულებაში იმყოფებოდნენ, თუმცა ამის შემდეგ მათი კვალი დაიკარგა. შევეცადეთ გაგვერკვია, რა ბედი ეწიათ ყოფილ გუანტანამოელებს საქართველოში. სანდო წყაროს ინფორმაციით, **"ეს ადამიანები გლდანის დაწესებულების დატოვების შემდეგ მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. აღნიშნული საქმე იმ დონის სახელმწიფო საიდუმლოება იყო, რომ მათ შესახებ ინფორმაცია ერთი-ორს თუ ჰქონდა და მათ გარეშე არაფერი მოხდებოდა. ვგულისხმობ, ტერორისტების ქვეყნიდან გაპარებას. მაქვს ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილმა ყოფილი პატიმრები დიდი თანხის სანაცვლოდ თურქეთში გააპარა, რის შემდეგაც ისინი სირიაში წავიდნენ. კარგა ხანია, რაც მათ საქართველო დატოვეს".**

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ საქართველო ვაჰაბიტ მკვლელთა "საიმედო" დერეფნად იქცა.

სამწუხარო შედეგიც სახეზეა, ბათუმში!

ᲡᲐᲙ. ᲝᲜᲗ

ქვეყნის სამშვიდობოზე გამოყვანისათვის...

დღეს საქართველო ადგას მეტად საშიშ-სახიფათო გზას: სახელმწიფოებრივი განვითარების შემაფასებელი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების უმრავლესობა გვაქვს გაუკუღმართებული, არასწორად შერჩეული.

ასე მაგალითად:

1. წარმოება-ბაზარი: დიდი ხანია საქართველოს ეკონომიკა მწვავე კრიზისულ მდგომარეობაშია. ამ დროს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის, სამწუხაროდ, ეკონომისტები მოგვიწოდებენ, რომ იგი უნდა აღორძინდეს და განვითარდეს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე?!

ჯერ ერთი – ეკონომიკა, პირველ რიგში, წარმოებითი ურთიერთობებია;

მეორე – ბაზარი განაპირობებს არა წარმოების რეგულირებას, არამედ მის სტაბილიზაციას (სტაბილიზატორი მხოლოდ მცირე სიმძლავრის რეგულატორია);

მესამე – ბაზარი იმისი კი არ არის, ვინც პროდუქციას ყიდულობს, არამედ იმისაა, ვინც პროდუქციას ჰყიდის და უკიდურესად ჭარბი იმპორტის პირობებში, უცხო ქვეყნის ბაზარი, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზეა განთავსებული, რანაირად მოახდენს ჩვენი ქვეყნის წარმოების სტაბილიზებას;

მეოთხე – ბაზარი როგორ მოახდენს იმ წარმოების სტაბილიზაციას, რომელიც ჩვენ არა გვაქვს?!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება-განვითარებისათვის პირველადი (საბაზისო) ყოველთვის უნდა იყოს წარმოება და არა ბაზარი!!!

2. მშვიდობა-ომი: უდავოა, რომ, განსაკუთრებით ჩვენისთანა ქვეყნის აღორძინება-განვითარებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია მშვიდობა. ეს განსაკუთრებით კარგად იცის მან, ვინც გარკვეულია ომის რაობაში. სწორედ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა ერეკლე მეორე, რომელმაც რუსეთთან შეერთებით ხანგრძლივი პერიოდით მოუტანა მშვიდობა ომებისაგან გაწამებულს და თითქმის ყუაზე დასულ ჩვენს ქვეყანას, რასაც დიდი პატივისცემით აღნიშნავდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავზე დიდი ილია!

რუსეთმა ამოგვშალა იმ საშინელი სიიდან, რომელსაც მიწერილი ვიყავით მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და რომელშიც გაერთიანებული არიან: შუმერები და ხეთები, ბაბილონი და ასურეთი, ურარტუ და ფრიგია, ფინიკია და კართაგენი. ჩვენი ვაიპოლიტიკოსები კი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქვეყანა დააყენონ რუსეთთან ომის გზაზე, რაზედაც მეტყველებს მათი გამონათქვამები: **“ჩვენ დავშალეთ საბჭოთა კავშირი, ჩვენ უნდა დავშალოთ რუსეთი”, “ჩვენ უნდა შევიდეთ ნატო-ში და დავამარცხოთ რუსეთი”** და სხვა... პირდაპირ არ ვიცი რა გიწოდოთ – კაცობრიობას ჯერ არ მიუგნია იმ ცნებისათვის (ტერმინისათვის), რომელიც სრულად გამოხატავს თქვენს პოლიტიკურ სიბეცეს (სხვათა შორის, ხშირად დავობენ უსაგნოდ იმაზე, ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი ცხინვალში. ომი პოლიტიკური კრიზისის გაგრძელებაა და იწყება პოლიტიკოსების განცხადებით და არა თოფითა და ზარბაზნით. ყველა ქუჩური ჩხუბი იწყება შეურაცხყოფით და არა მუშტით).

როგორ ვერ ხვდებით, რომ, ჯერ ერთი, ჩვენ თუ ამერიკულ სამხედრო ბაზას გავხსნით ვაზიანში, რუსეთი აფხაზეთს და სამაჩაბლოს კი არ დაგვიბრუნებს, არამედ იქ გახსნის თავის სამხედრო ბაზებს (თანამედროვე ვითარებაც ამაზე მეტყველებს) და ამაში ხელს ვერავინ ვერ შეუშლის.

მეორეც, ვთქვათ, გადაირია მთელი მსოფლიო და რუსეთს გამოუცხადა ომი, ჩვენი გულისთვის, რაც ყოვლად წარმოუდგენელია, მაშინ ერთ-ერთი საომარი არენა ხომ საქართველოც იქნება და თანამედროვე მსოფლიო ომის შემდეგ მისგან არაფერი აღარ დარჩება.

ჩვენი გადარჩენისა და განვითარების ერთადერთი გზა მშვიდობაა, ჩვენ კი ომისთვის ვემზადებით?!! ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში მრავლად არიან ისეთები, რომლებიც აცხადებენ, რომ ავღანეთში სამშობლოს კეთილდღეობისათვის ვიბრძვით!!!

ვისაც არა აქვს უნარი ისტორიული და თანამედროვე მოვლენების და პროცესების ანალიზის და იდენტიფიკაციისა, თავი უნდა დაანებოს პოლიტიკას!!!

3. მოვალეობები, უფლებები და თავისუფლება: უკანასკნელ ხანებში ვის და რანაირ უფლებებზე არ მოისმენთ მსჯელობას და ამასთან თითქმის ყველა შემთხვევაში დავიწყებულია მოვალეობები, რომელთა გარეშე უფლებებზე ლაპარაკი აბსურდია. ჯერ ერთი, თავისუფალი (თავის უფალი) ნიშნავს: თავის თავზე ცოდნითა და ვალდებულებამოვალეობით ამაღლებულ ადამიანს. მეორეც, ადამიანს ენიჭება გარკვეული უფლებები იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს თავისი მოვალეობები საზოგადოების და ბუნების მიმართ. ასე რომ უფლებები და მოვალეობები განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენენ გარკვეული პროპორციულობით და არ შეიძლება მათი ცალ-ცალკე განხილვა და მათი ერთიმეორისაგან განცალკევებული მინიჭება ვინმესთვის (წარმოებების და ორგანიზაციების საწესდებო დოკუმენტებში ისინი განიხილება ერთ პარაგრაფში – **“უფლება-მოვალეობები”**).

სახელმწიფოს მართვის, განსაკუთრებით მაღალ იერარქიულ დონეებზე მოსულ ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ ხოლმე ეს გარემოება და ალბათ ამიტომ არის, რომ მმართველობის ამ დონეს ქართველები ვეძახით **“ხელის უფლებას”**.

ამ ბოლო ხანებში ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი, დასავლეთის წაქეზებით, ცდილობს, გარყვნილება (უზნეობა) მონათლოს ეგრეთ წოდებულ სექსუალურ უმცირესობათა (სინამდვილეში – უზნეოთა) უფლებების ფორმით და იმას კი ვერ ხვდება, რომ ამ აქტით იგი თავიდან იხსნის მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარებისათვის მორალურ-ზნეობრივი გარემოს შექმნის მოვალეობას.

ზოგიერთი მათგანი უტიფრად აცხადებს: თუ ეს (უზნეობა) საზოგადოებისათვის მავნე და დაუშვებელია, რატომ ღმერთი არ განახორციელებს **“სექსუალურ უმცირესობათა”** და საერთოდ დამნაშავეთა მიმართ ამკრძალავ ან დამსჯელ სანქციებსო. მათ გასაგონად მინდა განვაცხადო: **ჯერ ერთი**, ზეგონის მიერ ადამიანებს აქვთ მიცემული გარკვეული ავტონომიურობა იმის ხარჯზე, რომ მათ აიღონ თავის თავზე თავის მსგავსთა რეგენერაციის ფუნქცია, **მეორეც**, ვინ მოგახსენათ, რომ მოვალეობების უგულვებელყოფა უფლებების სასარგებლოდ დაუსჯელია? მესამე (ლემურიელების) რასა სრულად იქნა განადგურებული ზეგონის მიერ სექსუალური აღვირახსნილობის და სექსუალური გაუკუღმართებისათვის; ყოველდღიურად უამრავი კოსმოსური სხეული და სისტემა იღუპება (ნადგურდება) იმისათვის, რომ ისინი ივიწყებენ თავიანთ მოვალეობას – მიიღონ მონაწილეობა სამყაროს წონასწორობის უზრუნველყოფაში და ცდილობენ, მისაკუთრონ იმაზე მეტი თავისუფლების ხარისხი, ვიდრე მათ აქვთ მინიჭებული ზეგონის მიერ.

4. ეროვნული იდეოლოგია-დემოკრატია: ამ ბოლო ხანებში უშნოდ გვაქვს აჩემებული დემოკრატია (ხალხის მმართველობა). იმაზე კი არავის უფიქრია, რომ, ერთის მხრივ, დემოკრატიისათვის აუცილებელია მაღალი შეგნების მქონე სამოქალაქო საზოგადოება (მოქალაქეობა); მოქალაქეობისათვის საჭირო პასუხისმგებლობა; პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პირობებია ცოდნა, ზნეობა, წარმოებითი ურთიერთობები; ცოდნის მიღების (განათლების) სისტემები ყველა დონეზე გავანადგურეთ; უზნეობის უამრავ სახეობას ვნერგავთ; წარმოებები არ გვაქვს (გავანადგურეთ).

მეორეს მხრივ, მართვისათვის აუცილებელია მართვის ფუნქციონალის (მიზნის ფუნქციის) შემუშავება; მიზნის ფუნქციის შესადგენად საჭიროა მიზანთა გენეალოგიური ხის (მიზანთა სისტემის) შერჩევა; მიზანთა სისტემის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ეროვნული იდეოლოგია, რომელზეც არავის უფიქრია?! (როგორც ჩანს, ამ წერილის ავტორი არ არის გაცნობილი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ფუნდამენტურ ნაშრომს **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა”**, რომელიც უგულვებელყოფილი იყო შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფალთა მიერ და, სამწუხაროდ, არც დღევანდელი ხელისუფლება ამჟღავნებს მისი გაცნობის დიდ სურვილს – **“ილორი”**).

ზემოთხსენებულ მიზეზთა გამო საქართველო დიდი ხანია იმყოფება უმართაობის მდგომარეობაში!!!

თუ დაუყოვნებლივ არ მივაქცევთ ყურადღებას ყოველივე ზემოთქმულს და არ მივიღებთ შესაბამის ზომებს, ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის გაცილებით უკეთესია დიქტატორული მმართველობა, რომელიც მიმართულია ხალხისა და ქვეყნის ყოფის გაუმჯობესებისაკენ (მსოფლიოში ასეთი მმართველობის მაგალითები ბევრია: დავით აღმაშენებლის, ბისმარკის, ფრანკოს, სტალინის, პინოჩეტის...), ვიდრე ისეთი **“დემოკრატიული უმართაობა”**, როგორიც დღეს არის საქართველოში.

5. მართვა-სამართალი: დიდი აურზაურია ატეხილი ქვეყანაში – ხალხი ითხოვს სამართალს და სამართლიანობას. კაცი არ ჩანს, რომელიც იმას დაინახავს, რომ ქვეყნის მართვის პროცესებია მოშლილი და სადაც არ არის მართვა, იქ არ იქნება არც სამართალი და არც სამართლიანობა!

საქართველოს აქვს არასრულყოფილი მართვის სისტემა: ჰყავს მინისტრები და არა აქვს სამინისტროები (მართვის ორგანოები) და არა აქვს დარგები (სამართავი ობიექტები). არსებობს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და არ არსებობს აგრარული დარგი – როგორც სამართავი ობიექტი; არსებობს ეკონომიკის სამინისტრო და არ არსებობს ეკონომიკა, როგორც დარგი (სამართავი ობიექტი).

ეკონომიკის სამინისტრო დაკავებულია ძირითადი ფონდებისა და ბუნებრივი რესურსების გასხვისებით და ა.შ. არსებობენ სამინისტროები (ლტოლვილთა და განსახლების, ევროსტრუქტურებში გაერთიანების, ტერიტორიული მთლიანობის...), რომელთა მაგივრად მიზანშეწონილია და საკმარისია იყოს კომისიები.

კიდევ ერთი დეტალია აღსანიშნავი, რომელიც მართვის სპეციალისტისათვის არის თვალში საცემი: სახელმწიფოს მართვის მაღალი იერარქიის ორგანოებს (სამინისტრო, დეპარტამენტი, სამმართველო) მიწერილი აქვთ განმარტებითი ტერმინები (ცნებები), რომლებსაც თვით მართვის ორგანოების დასახელებები მოიცავენ. მაგალითად: ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტრო; მიწის მართვის დეპარტამენტი; ქონების მართვის დეპარტამენტი... მართვას მართვის ორგანოს დასახელება მოიცავს, ხოლო მდგრადობას – თვით მართვა.

ყველა, ქვეყანაში არსებული, სამინისტრო, სტრუქტურა მოიცავს ქვესტრუქტურებს ზემოაღნიშნულის მსგავსი კომიკური დასახელებებით?! ეს ყველაფერი იმაზე მიგვითითებს, რომ ხელისუფლებაში არ არიან სისტემური კვლევების სპეციალისტები (სისტემატექნიკოსები), რომლებსაც ხელეწიფებათ დიდი სისტემის მართვის სტრუქტურების ანალიზი და სინთეზი.

ამ დროს პარლამენტის თავმჯდომარე – დავით უსუფაშვილი შენატრის პარლამენტის შემადგენლობაში მყოფი **“ნაცმოძრაობის”** წარმომადგენლების კომპეტენციას, რომელთა უმრავლესობას მეორე სასიგნალო სისტემა გამორთული აქვს ცენტრალური ნერვული სისტემიდან და ჩართული აქვს ავტონომიურ რეჟიმში.

ბატონო დავით, **“ნაცმოძრაობას”** რომ ელემენტარული წარმოდგენა მაინც ჰქონოდა ქვეყნის მართვაზე, ამ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანდნენ მას? რომ აცხადებთ, იურისტები გვჭირდებაო, როგორ ვერ ხვდებით, რომ პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს სრულყოფილი სამოქმედო პროგრამა დამავალი ქვეყნის მართვის სისტემაზე (რეგულატორზე) და შემდგომ უნდა განახორციელოს კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებზე, დამავალის შესაბამისად მიღებული სამართავი გადაწყვეტილებების ორგანიზაციის მიზნით; ამას კი იურისტები ვერ შესძლებენ. ასევე, ყოვლად დაუშვებელია პარლამენტში ბავშვების არჩევა.

საკონტროლო სტრუქტურა უნდა შედგებოდეს თორმეტი წევრისა და ერთი თავმჯდომარისაგან, რომელთა არჩევისათვის კანდიდატურების შესარჩევად (ისევე, როგორც ხელისუფლების სხვა წევრებისათვის) აუცილებელია არსებობდეს წინასწარი შერჩევის ავტომატიზებული სისტემა ცოდნის, გამოცდილების და მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმების შესაბამისად!!!

6. ეკონომიკა-ტურიზმი: პრეზიდენტ სააკაშვილის თითქმის ყველა გამოსვლა ეძღვებოდა საკითხს – როგორ უნდა ააღორძინოს ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკა ტურიზმის ბაზაზე. საუბედუროდ, პრეზიდენტი ამგვარი ცრუ აზრებით მარტო არ არის. მე დავესწარი ორ სამეცნიერო სხდომას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც იგივეს უმტკიცებდნენ ერთმანეთს პროფესორები და აკადემიკოსები?! ამ საკითხზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, სირცხვილად მიმაჩნია ამაზე ბევრი ლაპარაკი.

მოგახსენებთ ორ მოვლენას:

ა) ტურისტების ხვედრითი რაოდენობა ყველაზე მეტი აქვს შვეიცარიას, რომლის წლიური ერთობლივი პროდუქტია 564 მილიარდი ფრანკი და აქედან ტურიზმის წილი შეადგენს 3,5 მილიარდ ფრანკს;

ბ) ტურიზმზე და მომსახურების კომპლექსზე გეზის აღებამ და წარმოებისადმი ზურგის შექცევამ მიიყვანა საბერძნეთი დღევანდელ სავალალო მდგომარეობამდე, რასაც თითქმის უკვე იზიარებენ ესპანეთი და პორტუგალია!!!

7. დემოგრაფია-კოსპოლიტიზმი: ჩვენი ქვეყნისა და ერის ერთ-ერთ დიდ უბედურებას წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების გასხვისება უცხოელებზე. სამწუხაროდ, მრავლად არიან სუბინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც აცხადებენ – **“უცხოელი მიწას ხომ არ მოიკიდებს და წაიღებსო”.**

ჯერ ერთი, სწორედ რომ მოიკიდებს და წაიღებს. საქართველოში უკვე ბევრ ადგილზეა მოხსნილი ჰუმუსის ფენა და წაღებული. მეორეც, კიდევ უფრო უარესია, თვითონ რომ ჩამოვლენ, ჩასახლდებიან ამ მიწაზე და გვიუარესებენ დემოგრაფიულ პირობებს. თავი რომ არ შეგაწყინოთ ამ საკითხის გნოსეოლოგიური მხარის განხილვით, მოკლედ მოგიყვანთ პრაქტიკულ მაგალითებს: საბარათიანოს, ნაწილობრივ საორბელიანოს და გარდაბნის დღევანდელი დემოგრაფია განპირობებულია შაჰაბასის მიერ ადარბადაგანელი 100 ოჯახის ჩამოსახლებით დებედას ხეობაში; აფხაზეთის დღევანდელი პრობლემა ძირითადად დაკავშირებულია შერვაშიძის მიერ ყაბარდოელების ჩამოსახლებასთან სოფელ ლიხნში და ღურწკაიას მიერ სომხების ჩამოსახლებასთან გაგრაში; სამაჩაბლოს დღევანდელი მდგომარეობა დაკავშირებულია მაჩაბლის მიერ ოთხი ოსი მეჯოგის ჩამოსახლებასთან ცხინვალის რეგიონში; ჯავახეთის ახლანდელი პრობლემა გამოწვეულია პასკევიჩის მიერ ახალქალაქის მიწების მიყიდვით სომხებისათვის!!!

ისინი, ვინც კოსმოპოლიტობას იბრალებენ და მიწა-წყლის გასხვისებას ამართლებენ, სინამდვილეში კოსმოპოლიტები არან! სამყაროში მხოლოდ და მხოლოდ ელემენტარული უყოფადი ნაწილაკების სრულყოფილი გლობალური გაერთიანება ხორციელდება და ისიც მხოლოდ სამყაროს ცენტრში.

8. ეკონომიკა-ბიუჯეტი: წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, და არამარტო ისინი, ხშირად მიუთითებენ ეკონომიკის აღმავლობისაკენ ბიუჯეტის ზრდით. რაც უნდა გავზარდოთ ბიუჯეტი მიწა-წყლის გასხვისებისა და ბიზნესმენთა ძარცვის ხარჯზე, ამით ეკონომიკას მაინც ვერ ავაღორძინებთ!!!

უამრავი კრიტერიუმის გაუკუღმართებასთან გვაქვს საქმე ჩვენს ქვეყანაში. ასე მაგალითად: საზოგადოების ფართო მასები მოგვიწოდებენ, რომ პრეზიდენტად ავირჩიოთ ახალგაზრდა, ენერგიული ადამიანი. თქვე კაი ადამიანებო, პრეზიდენტს შეშა უნდა აჩეხინოთ? ხელისუფლების მაღალი იერარქიის დონეზე უნდა შეირჩნენ მეტ-ნაკლებად ბრძენები, სიბრძნის დაგროვებას კი ადამიანი იწყებს ორმოცი წლის ასაკიდან!

დაბოლოს, გავაგრძელებ ნაწილობრივ ზემოთქმულს და საქართველოს ხელისუფლების, ვაიპოლიტოკოსების და ვაიპატრიოტების გასაგონად მოკლედ ვიტყვი – ვისაც ჩვენი ერისა და ქვეყნისათვის კარგი უნდა, თავი უნდა დაანებოს რუსეთთან უშნო ბღლრაძუნს იმიტომ, რომ:

ა) რუსეთი არის წინამძღოლი სლავებისა – მეექვსე კულტურისა, ძველინდური, ძველსპარსული, ძველეგვიპტური, ძველბერძნულ-რომაული, დასავლეთევროპული კულტურების შემდგომი, მეხუთე რასის იმ შვიდეულიდან, რომლებმაც სრულად უნდა გაიარონ თავისი არსებობა-განვითარების შვიდი პერიოდი: დაბადება, ბავშვობა, ყრმობა, ზრდასრულობა, სიბერე, გარდაცვალება, გარდასახვა (ამჟამად იგი ყრმობის პერიოდშია);

ბ) თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის პერიოდში რუსეთს ომი ჯერ არ წაუგია;

გ) ამჟამად რუსეთს აქვს იმდენი და ისეთი საომარი იარაღი, რამდენი და როგორიც მსოფლიოში არავის არც კი დაესიზმრება.

გივი ჯავახიშვილი,
აკადემიკოსი

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ჩვენი გაზეთის 224-ე ნომერში მკითხველებს დავპირდით, რომ გამოვაქვეყნებდით მასალებს მწერალ ემზარ კვიტაიშვილის წიგნიდან, რომელიც ეძღვნება სამეგრელოს ღირსეულ შვილებს, ტრაგიკული ბედის მქონე მამულიშვილებს გვანჯი ჩიქოვანსა და მუშნი დადიანს. ვასრულებთ დაპირებას და ვიწყებთ ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანების ბიოგრაფიების ბეჭდვას.

(ჩაწერილია ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში.

თანდათან გავიცანი სოფელ ალექსანდროვკის მოსახლეობა. მე ბავშვობიდანვე მიყვარდა გემოვნებით ჩაცმა. ესეც მინდა ვთქვა – როდესაც მასახლებდნენ, ოჯახიდან გამატანეს აზიური წაღები, თეთრი და შავი ფაფახი, ორი წყვილი ჩოხა-ახალუხი, ქამარი (უიარაღოდ) და ნაბადი. გარემოს კარგად რომ შევეჩვიე, დავიწყე სიარული ეროვნული ტანსაცმლით, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ლაღად დავსეირნობდი ალექსანდროვკის ქუჩებში; მეხურა ფაფახი, მეცვა კარგად მომდგარი აზიური წაღები, ზოგჯერ ნაბადსაც წამოვისხამდი მხრებზე. ცხადია, ასეთი ჩაცმულობა აქ დიდი იშვიათობა იყო და გამვლელ-გამომვლელნი თვალს არ მაშორებდნენ – ქალები, ბავშვები, მოხუცებულნი კარგა ხანს მაშტერდებოდნენ ხოლმე და უკანაც დამდევდნენ, რის გამოც ძლიერ უხერხულობას ვგრძნობდი. განსაკუთრებული ინტერესით მაცქერდებოდნენ ახალგაზრდა პირთეთრი ქალები და მეც, პირველი უხერხულობის გავლის შემდეგ, რაღაცნაირ, ქართველურ სიამაყეს ვგრძნობდი და ოჯახზე, სამშობლოზე ფიქრი და ჯავრი მიმსუბუქდებოდა. ერთხელ, ასეთი გასეირნების დროს, როდესაც ერთ-ერთი მდიდარი ვაჭრის მაღაზიის გვერდით გავიარე, მაღაზიიდან ხმა შემომესმა: Простите, молодой человек! მე მივიხედე და კარებში გამოიხედა ერთმა ოცდაათიოცდათხუთმეტი წლის ტანსრულმა, ხორცსავსე ქალმა. შევჩერდი. მან თავაზიანად მთხოვა მასთან შევსულიყავი. შესვლისთანავე მთხოვა რამდენიმე წუთით მომესმინა. დავჯექი და ვუსმენდი ამ ქალს, რომელიც აღმოჩნდა ანნა დიმიტრის ასული მერკულოვა. მან აღელვებულმა დაიწყო: თქვენ, როგორც გეტყობათ, კეთილშობილი, კარგი წრისა და შთამომავლობის ახალგაზრდა ხართ. მე გირჩევდით, აქ ხელი მოჰკიდოთ წესიერ ცხოვრებას ე.ი. არ გაითქვიფოთ ქალებში. თქვენ შესამჩნევი ახალგაზრდა ბრძანდებით და თქვენკენ ბევრი ქალის თვალია მომართული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რაზმანოვის ქალები. აქ ცხოვრობს სამი და, რაზმანოვები, რომლებიც თავიანთი სილამაზით გამოირჩევიან. ალბათ მოაღწევდა თქვენამდე იმ ქალების სილამაზის ამბავი. შეიძლება კიდევაც შეხვდით. ერთი იმათგანი განსაკუთრებულად მშვენიერია და ამ ქალმა დაარღვია ჩემი ოჯახური მყუდროება. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს ქმარს, რომელიც შეძლებულ ვაჭრად ითვლება და ასაკითაც კარგა ხანია გადასცილდა ახალგაზრდობის ზღვარს, შეუყვარდა ის ლამაზი რაზმანოვას ქალი და ჩემზე გული აიცრუა.

ეს ბოლო სიტყვები მერკულოვას ქალმა ხმის კანკალით, ბრაზმორეულმა წარმოთქვა. მერე ისევ განაგრძო: მე გირჩევთ, ჩემო კეთილო ყმაწვილო, გაიცნოთ ეს ლამაზი. ღრმადა ვარ დარწმუნებული, მას მოხიბლავს თქვენი ახოვანება და ვაჟკაცური სიმშვენიერე, იგი უთუოდ ჩამოეხსნება ჩემს ქმარს, მეუღლე დამიბრუნდება და აღსდგება ჩემი მყუდრო ცხოვრება. სამაგიეროდ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ყოველგვარ ხარჯს, რაც იმ ქალთან დასაახლოვებლად დაგჭირდებათ, თანაც ისე, რომ ამაყად იგრძნოთ თავი თქვენი წოდებისა და ვაჟკაცობის შესაფერისად, მთლიანად მე ვკისრულობ. ჩემი ქმრის შემოსავლის ერთი მესამედი თქვენს განკარგულებაში იქნება და დროს მხიარულად და უდარდელად გაატარებთ, სანამ ამის სურვილი გექნებათო.

მე გამაოცა ამ ქალის ასეთმა გულახდილობამ და ძლიერ მიკვირდა, როგორ შეიძლება ქალმა, ისიც პირველი შეხვედრის დროს, სრულიად უცნობ მამაკაცს ასე გადაუშალოს თავისი გულისა და ოჯახის საიდუმლოებანი. ჩემი ამგვარი განცვიფრება ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ გამოუცდელი ვიყავი და ამავე დროს შესწავლილი არ მქონდა ქალთა, კერძოდ, რუსის ქალების ფსიქოლოგია. შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ რუსის ქალთა საზოგადოება, მრავალი თვისებით, პირველ ადგილზე იმყოფება სხვადასხვა ეროვნების ქალთა შორის.

ამ თავის უცნაურ წინადადებაზე მერკულოვას ქალს მოკრძალებით ვუპასუხე, რომ ჩემი პიროვნული თავმოყვარეობა ნებას არ მომცემს, რაიმე ანგარების მიზნით გაგიწიოთ დახმარება. მართალია, მე პატიმარი და სამშობლოს მოწყვეტილი კაცი ვარ, მაგრამ ჩემი ღირსების უდიდეს დამცირებად მიმაჩნია, ფული ავიღო ქალისაგან იმისათვის, რომ მას გულის წადილი შევუსრულო. ისე კი მე შემიძლია შეგპირდეთ დახმარებას, რითაც კი მოსახერხებელი იქნება. მართალია, დღესდღეობით შეზღუდული ვარ, სამშობლოს მოშორებული პატიმარი, მაგრამ მაქვს მტკიცე იმედი, რომ მალე ჩემი საყვარელი მშობლები მომაწვდიან დახმარებას და მე შევძლებ საკუთარი სახსრებით მივაღწიო ასეთ პატარა, მაგრამ თქვენთვის კი დიდი სურვილის შესრულებას.

მერკულოვას ქალმა მგრძნობიარედ შემომხედა და მითხრა – მე სავსებით მესმის თქვენი თავმოყვარეობა და მაღალი სინდისიერება და, ვფიქრობ, უამისოდაც გაგიწიოთ დახმარება, აქ არაფერია დამამცირებელი და მე მუდამ მოხარული ვიქნები, თქვენ, ასეთ მშვენიერ ახალგაზრდას დაგეხმაროთ, მითუმეტეს, საამისოდ საკმაო შესაძლებლობა მაქვს. გთხოვთ, ხშირად მოხვიდეთ ჩემთან, როგორც ახლო მეგობართან და ისეთ ადამიანთან, რომელიც თქვენთვის არაფერს დაიშურებს. ესა თქვა და გახსნა საფულე, სწრაფად მომკიდა ხელი და ხელში ასი მანეთი ჩამიდო. მე დიდი უხერხულობა ვიგრძენი, გავუძალიანდი და უკან დავუბრუნე, მაგრამ მან ეს შეურაცხყოფად ჩათვალა და მაიძულა, ამეღო ფული. რაღა მექნა, უღრმესი მადლობა გადავუხადე და დავშორდი მერკულოვას ქალს. სასტუმროში რომ დავბრუნდი, კარებში შემომეგება მსახური, რომელსაც ივანეს ეძახდნენ. მან გაბრწყინებული თვალებით შემომხედა:

_ Дорогой Гванджи, я очень рад, что видел Вас у госпожи Меркуловой, она очень богатая женщина и Вам будет хорошо и вы будете счастливы.

მე კიდევაც გამიკვირდა, როგორ შეამჩნია მსახურმა ჩემი იქ ყოფნა. მაშინვე ამოვიღე ჯიბიდან ფული, დავახურდავე და ხუთმანეთიანი ვაჩუქე მსახურ ივანეს. სიხარულისგან აღტაცებულმა ივანემ რამდენჯერმე დამიკოცნა ხელები და დიდ ხანს მლოცავდა. მეორე დღეს მხიარულ გუნებაზე დამდგარი გავემართე ერთ ნაცნობ პატიმართან, ნიკო მოგელაძესთან, რომელიც სადურგლოში მუშაობდა. ნიკო მოგელაძე მეტად კეთილი და გულგახსნილი კაცი იყო. მას ძლიერ უხაროდა ჩემი ნახვა და როდესაც დამინახა, გახარებულმა მომაძახა: მობრძანდი, ჩემო გვანჯი, ძალიან მასიამოვნე შენი მოსვლითო. მე დავჯექი. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, ნიკო წამოდგა და მითხრა: სულ ოცდაათი კაპიკი მაქვს, მოვიტან ცამეტკაპიკიან არაყს, პატარა ბოთლს და პურის ნაჭერთან დავლიოთ თითო ჭიქა, მოვიგონოთ ჩვენი სამშობლოო. მე წამოვდექი, ამოვიღე ჯიბიდან მერკულოვას ქალის ნაჩუქარი ფული, ვაჩვენე ნიკოს, მოვუყევი ჩემი მერკულოვას ქალთან შეხვედრის ამბავი და ჯიბეში თუმნიანი ჩავუდე. ნიკოს სიხარულის ცრემლმა დაუსველა თვალები და მითხრა – მამაშვილურად გთხოვ, გაფრთხილდი, მორიდებულად იყავი. მერკულოვას ქალის ქმარი გავლენიანი ვაჭარია, ის ამ ამბით შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს, ფულით იშოვნის ვიღაც ვიგინდარებს და ცუდ საქმეს დაგმართებს. მე ხელი ჩავიქნიე და ახალგაზრდული უდარდელობით ვუთხარი – ნუ გეშინია, ჩემო ნიკო, საქმეს არ წავახდენ-მეთქი. შემდგომ ამისა გამოვიარე კატორღის კომენდატურაში და ხუთ-ხუთი მანეთი შევუგზავნე თადა ხარშილავასა და ხუშუტი ოვანესიანს. მეორე დღეს კოხტად ჩაცმულმა გავისეირნე ალექსანდროვკის მთავარ ქუჩაზე. დავიქირავე ეტლი და რაზმანოვების ბინაზე წაყვანა ვთხოვე. ერთ-ერთი და ადრე მყავდა გაცნობილი კონცერტზე. გაცნობის დროს იმ ქალმა მთხოვა ვსტუმრებოდი და გამეცნო მათი ოჯახი. მისულს კარებში მსახური გამომეგება და ბინაში მიმიპატიჟეს. პირველად შემხვდა რაზმანოვების უმცროსი და, რომელიც კმაყოფილებით შემიძღვა სასტუმრო

ოთახში იგრძნობოდა სისუფთავე და სისადავე, ნივთები კოხტად და ლამაზად იყო და ლაგებული. ეს ქალი საშუალო ტანისა იყო, ნაზი აგებულების და ტკბილად მოსაუბრე. ჩემი მოსვლის შემდეგ მალე გამოჩნდნენ საშუალო და უფროსი დებიც. სწორედ ამ უფროს დაზე იყო შეყვარებული მერკულოვას ქმარი. მართლაც, უფროსი და სილამაზით ნამდვილად გამოირჩეოდა დანარჩენი ორისაგან. ბავშვურად უმანკო სახე ჰქონდა. კოპწია თავს ხუჭუჭი ქერა თმა უმშვენებდა და ნაზი სიცილის დროს ლამაზი ტუჩებიდან ბროლივით ჩანიკწიკებული სწორი კბილები მოუჩანდა. მარცხენა ლოყას მიმზიდველი, მოწაბლისფრო ხალი შვენოდა. ნაზ, ჩამოქნილ თითებზე ძვირფასთვლებიანი ბეჭდები ეკეთა, მაღალ, თოვლივით თეთრ კისერზე კი იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები ოქროს ძეწკვი უბრწყინავდა. საშუალო დას მაღალი და მოხდენილი ტანი ჰქონდა, მეტად სანდომიანი სახის გოგონა იყო. ჩაის შემდეგ გულთბილად გამაცილეს და მთხოვეს, ხშირად მივსულიყავი მათთან სტუმრად.

ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერმე ვესტუმრე რაზმანოვების ქალთა ოჯახს. ჩვენს შორის მეტად გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა. ერთ საღამოს, როდესაც რაზმანოვების ოჯახიდან ვბრუნდებოდი, გზაში შემხვდა მერკულოვას ქმარი, თვითონ ვაჭარი მერკულოვი და თავაზიანად მომესალმა. მე, ცოტა არ იყოს, უხერხულობა ვიგრძენი, მაგრამ მან, თითქოს ახლო მეგობარი ყოფილიყოს, გამიბა გულითადი საუბარი და მითხრა, რომ დიდი ხანია უყარს რაზმანოვას ქალი და არასგზით არ შეუძლია მისი დათმობა, გადაწყვეტილი აქვს, ამ ქალთან ერთად საცხოვრებლად გადავიდეს ირკუტსკში და ცოლი და ოჯახი ალექსანდროვკაში დატოვოს. მითხრა, რომ თავისი ცხოვრების შემდგომ ბედნიერებას იგი მხოლოდ რაზმანოვას ქალის სიყვარულში ხედავს და მთხოვა, შემეწყვიტა პირადად მის მეგობარ ქალთან სიარული და, რა თქმა უნდა, არავითარი საწინააღმდეგო არ ჰქონდა, კვლავ მევლო რაზმანოვების ოჯახში და ურთიერთობა მქონოდა დანარჩენ დებთან. ამ კაცის თხოვნამ და თავაზიანობამ ძლიერ შემაწუხა და ვუთხარი, რომ მე იმ ქალთან არა მაქვს და არც ვაპირებ ახლო ურთიერთობა დავამყარო. მან უღრმესი მადლობა გადამიხადა და კეთილად დავშორდით ერთმანეთს. ასე შევთანხმდით, მიუხედავად იმისა, რომ მე ძლიერ მომწონდა რაზმანოვას ქალი და ვატყობდი, არც ის იყო გულგრილი ჩემს მიმართ. პირიქით, ძალზე იტანჯებო და, ერთ საღამოს კიდეც მითხრა: რა უკუღმართად არის ეს ცხოვრება მოწყობილი. ვწუხვარ, რომ შებოჭილი ვარ და არა მაქვს საშუალება, ჩემი გრძნობებისა და სურვილების მიხედვით ვცხოვრობდეო.

მე აშკარად ვიგრძენი, რომ იგი მატერიალურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვაჭარ მერკულოვთან და აღარასოდეს მითქვამს, რომ სურვილი მქონდა მასთან დაახლოებისა. დანარჩენ ორ დასთან კარგი, მეგობრული დამოკიდებულება მქონდა და ხშირად ვხვდებოდით კიდეც ერთმანეთს. მერკულოვის ცოლს როცა შევატყობინე, რომ მისი ქმრისა და რაზმანოვას ქალის დაშორება შეუძლებელი იყო, ბედს შეურიგდა და მითხრა:

– Что поделаешь, я не могу быть недовольной Вами и прошу не покидать меня, я буду для вас лучшим другом.

ამის მერე, მე მართლაც დავუმეგობრდი მერკულოვას ქალს, როგორც ახლობელს, და ხშირად ვნახულობდი ხოლმე. ცხადია, არ ვივიწყებდი ჩემს კეთილისმყოფელებს – მარი ინოკენტიევნას, ვანო ჯორჯაძეს, აგრეთვე, ნაცნობ კატორღელებს და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ. ჩემი მთავარი საწუხარი იყო სამშობლოდან მოწყვეტა, დედ-მამის, განსაკუთრებით კი დედის მწუხარება, რომელმაც დაკარგა საუკეთესო ძმა და მეც მისგან სამუდამოდ დამაშორეს. ამის გამო, მშობლებს ხშირად ვწერდი გამამხნევებელ წერილებს, ვუგზავნიდი დეპეშებს, სურათებს და მათგანაც ასევე ხშირად ვღებულობდი წერილებს, ამანათებს და სხვა საჭირო დახმარებას. ხუთი-ექვსი თვის შემდეგ ვანო ჯორჯაძე ალექსანდროვკიდან გადაიყვანეს მარილის მოსახარშ ქარხანაში. ეს ქარხანა კატორღას ეკუთვნოდა. ჯორჯაძეს თან გაჰყვა მარი ინოკენტიევნა. მე ძლიერ დამწყვიტა გული მათთან განშორებამ, მაგრამ ორივენი დამპირდნენ, რომ მომინახულებდნენ ხოლმე. მართლაც, ჩემი იქ ყოფნის მანძილზე რამდენჯერმე ჩამომაკითხეს პირადად მე, რამაც დიდად გამახარა.

ერთ დღეს, როდესაც სადილის გაცემის დრო იყო, ჩვენს სასტუმროს მოადგა სამცხენიანი ეტლი, რომელშიც იჯდა ასე, ოცდახუთი წლის მეტად ლამაზი შესახედაობისა და მოხდენილი გარეგნობის ქალი. იგი გაბედულად შემოვიდა და მსახურს შეეკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა, ჩვენს სასტუმროში ეშოვა შესაფერი ბინა და სათანადო მომსახურება. მსახურმა მოახსენა, რომ მას შეუძლია შეჩერდეს სასტუმროში და მიიღოს სათანადო მომსახურება. მოსული შევიდა სასადილო დარბაზში და სადილი მოითხოვა. მე დიდად დამაინტერესა ამ უცხო ქალის პიროვნებამ. სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა და ირგვლივ მყოფთ საგანგებოდ აკვირდებოდა. მე მორიდებით ვადევნებდი თვალს მისი მიმზიდველი სახის გამომეტყველებას და თითონაც რამდენჯერმე ცნობისმოყვარედ გამომხედა. ცოტა ხნის შემდეგ ქალმა მსახური იხმო და რაღაც სთხოვა. მსახური მომიახლოვდა და მითხრა, ქალბატონი გთხოვთ მასთან მიბრძანდეთო. მე მორიდებით მივედი და მივესალმე ამ უცხო პიროვნებას. მანაც რიდით გამომკითხა ვინაობა და როდესაც მოვუყევი, ვინც ვიყავი, შევატყვე, ესიამოვნა ჩემი გაცნობა. შემდეგ დასასვენებელ ოთახში შევიდა და კვლავ გამომიგზავნა მსახური. როდესაც შევედი, მითხრა: Прошу, уделите мне несколько минут, товарищ Чиковани! უცნობმა განაგრძო – მე გთხოვთ თქვენ, როგორც ნამდვილ ადამიანსა და საუკეთესო ვაჟკაცს, შემობრძანებულიყავით ჩემთან, როგორც ადამიანთან და გთხოვთ მიმიღოთ, არა ისე, როგორც ქალი, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც თქვენთან ექნება ფრიად სერიოზული საქმეო. მე ამაზე ვუპასუხე – არასოდეს არ იფიქროთ, რომ როდესმე უწესოდ მოგეპყრობით და მზადა ვარ გაგიწიოთ ადამიანური მეგობრობა-მეთქი. მან მადლობა გადამიხადა და მითხრა – ახლა წავალ, ცოტა ხანში დავბრუნდები და თქვენთან სერიოზულ საქმეზე მექნება ლაპარაკიო. მე გამოვედი ოთახიდან. ის სადღაც წავიდა. ამის შემდეგ, მართლაც, საათნახევარი არ გასულა, რომ ის ქალი დაბრუნდა და ისევ მთხოვა მასთან შევსულიყავი. მისი პირველი კითხვა ეს იყო – ვიცნობდი თუ არა მე ლადო ჯოხაძეს. ლადოს ხსენებაზე მე ძალიან ავღელდი, თანაც მეტისმეტად გამიკვირდა და გახარებულმა ვუპასუხე – ამას როგორ მეკითხებით, მე და ლადო ერთად ვიჯექით, ძალიან მიყვარს და მითხარით, რაიმე უბედურება ხომ არ შემთხვევია-მეთქი. მას გაეღიმა და დამამშვიდა – ლადო წეღან ვნახე, თქვენი ამბავი მოვუყევი და სიხარულმა აიტაცა. ასე მითხრა, მიდი გვანჯი ჩიქოვანთან და იგი ყოველგვარ დახმარებას გაგიწევს, მიენდეთ მას და არაფერში უკან არ დაიხევს, არაფრით არ გიღალატებსო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

გვანჯი ჩიქოვანი (მარჯვნივ) და მისი ბიძა გიდ ემხვარი

ბერს ბეროობა შვენის, ერს – ეროობაო

„ერის დიდი ნაწილი უფრო ადვილად ხდება ტყუილის მსხვერპლი, ვიდრე – მცირე“
ადოლფ ჰიტლერი.

ამ დღეებში ფეხბურთში ორი სახელგანოქმული კლუბი – მოსკოვის და თბილისის **„დინამო“** შეხვდა ერთმანეთს. ტრადიციულად ამ ორი გუნდის შეხვედრა მეტად საინტერესო იყო ხოლმე გულშემატკივართათვის. იყო ერთგვარი ზეიმი, რომელიც ხშირ შემთხვევაში მატჩის დამთავრების შემდეგ ტაშით მთავრდებოდა, რომელსაც ორივე მოპაექრე მხარე იმსახურებდა, ურთიერთმოპყრობითა და თამაშის კულტურით.

ჩვენ კი ამჯერად სამარცხვინოდ დავამთავრეთ...

ეჭვი მაქვს, სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვის მაორგანიზებელი ახალგაზრდები იყვნენ მართული, რა თქმა უნდა, საქართველოს მტერი არაქართველისგან. ამ ახალგაზრდების საქციელი არანაირად არ ჯდება ბუნებით სტუმართმოყვარე ქართველი ადამიანის მენტალიტეტში. უეჭველია, რომ ეს პროვოკაცია გახლდათ საქართველოს ყოფილი სახელისუფლო არაქართული ცენტრიდან წამოსული კრამოლური სიგნალი!

სირცხვილი სირცხვილად, მაგრამ იბადება კითხვა: სად არის ქართული თავმოყვარეობა, ქართული სულგრძელობა, ქართული სტუმართმოყვარეობა?

ქართველი კაცი (კაცი!) მტერს თავის ოჯახში არა მარტო თვითონ, სხვას არ დააჩაგვრინებდა, ზედმეტს არ აკადრებდა. სად გაქრა ყოველივე ეს, რა გვჭირს? ან სად ნახეს მათ მტერი სტადიონზე?

ვინც ამ ახალგაზრდებს მართავდა, აი, ისინია დასადგენი და პასუხისგებაში მისაცემი!

არ შემიძლია გავჩუმდე და (მოყვარეს პირში უძრახეო) არ ვთქვა საყვედური, არ ავღნიშნო ის, რომ მოკლე მეხსიერება დაგვჩემდა ბოლო ხანს, უფრო მეტიც – **ზომბირებულნი** ვართ, რაშიც ლომის წილი, ეჭვსგარეშეა, ყოფილ ხელისუფლებას მიუძღვის. იმდენი იძახეს, რუსი მტერიაო, რომ შედეგმაც არ დააყოვნა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. არ მინდა დავიჯერო, რაც უზომოდ საწყენი და სატირალი იქნება, რომ ამ ყველაფერთან ერთად **დაუნახავებიც** აღმოვჩნდით.

ზოგიერთი აზროვნებით ბეცი ჩვენი თანამემამულე, იქამდე დავიდა, რომ რუსების გასალანძღად ამტკიცებს – რუსები თავიანთ მშობელს, როცა დაიღუპებოდა, ხევში აგდებდნენო. ქართველიც ხომ კლავდა მამას, ძმას, თვალებს თხრიდა...

თუ ეს არ მომხდარა?

არც უფლის დარიგება გვახსოვს: **„ნუ განიკითხავ...“**!

ნუ ჩავდგებით სირაქლემას პოზიციაში.

ნუთუ არ ვიცით, რომ ადრეულ ხანაში ტანის დაბანა ჯანმრთელობისთვის მავნედ ითვლებოდა და წინაპრებიც ტილებით იყვნენ სავსე? ეს ხდებოდა ამერიკაშიც, ინგლისშიც, საფრანგეთშიც და ა.შ., მაგრამ ეს ყველაფერი ისტორიას ჩაბარდა, მოგვარდა და ამჟამად იგივე სახელმწიფოები ცივილიზებულ ქვეყნად გვევლინებიან.

ამბობენ, რუსი ვერ ეგუება იმას, რომ პეტრე პირველს ქართული სისხლი ერიაო. რატომღაც, პეტრე პირველის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი, საუკეთესო ადგილას დგას პეტერბურგში! ანუ, ამგვარი მოსაზრება აბსურდულია.

მოკლე ამნეზიის გამო გვავიწყდება, რომ გიორგიევსკის ტრაქტატის დადებისას საქართველოში, ხშირი შემოსევების გამო, მოშლილი იყო სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, შობადობა და ა.შ., ხოლო მოსახლეობა უკიდურესად შემცირდა, ვინაიდან ქრისტიან ქართველს დანდობა არ ჰქონდა (ხოცავდნენ და ჩეხდნენ მას). რომ არა რუსეთი, დღეს, ალბათ, ქართველთა ნახევარი არ შეგვრჩებოდა. მოდალატე არაქართველთა საქართველოში ყოფნას კი ადასტურებს იმ დროს კრწანისის ომის ქართველთათვის წაგებით დამთავრება, რომელშიც გამცემლური როლი ითამაშეს იოსებ ბებუთოვმა და არტემ არუთუნიანმა.

ერთმორწმუნე ერის თანადგომით, ერეკლე დიდი II-ს გამჭრიახობის წყალობით, აგერ უკვე ხუთი მილიონია საქართველოს მოსახლეობა, (მხოლოდ ბოლო წლებში იწყო კატასტროფულად კლება) შენარჩუნებულ იქნა ენა, დამწერლობა, სარწმუნოება. გარდა ამისა განვითარდა კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, განათლება, აიწია ცხოვრების დონემ. აშენდა და დამშვენდა საქართველოს ქალაქები და სოფლები, ფაბრიკები და ქარხნები... ყველა საწარმო მუშაობდა!..

მავანნი იმასაც იტყვიან, რად მინდა ამგვარი ერთმორწმუნე, თუ დამპყრობლური თვისებები გამოავლინა და დაგვიმონაო. იქნებ ერთად გავცეთ პასუხი შეკითხვას: რომ არა რუსეთი, ამჟამად იარსებებდა საქართველო? ის, რომ მთელი მუსლიმანური და არა მარტო მუსლიმანური სამყარო საქართველოსკენ მოიწეოდა, რომ არა რუსეთი, ხომ აღიგვებოდა პირისაგან მიწისა ქართველობა და ღვთისმშობლის წილხვედრილი მიწა განაწილდებოდა მავანზე და მავანზე?

სადღაც წავიკითხე, რომ რუსეთი საქართველოს, მისი ერის არსებობისათვის აუცილებელ სახელმწიფო მოწყობას, დამწერლობას – ენას და სარწმუნოებას ერთდროულად ებრძოდაო და მხოლოდ რუსეთი იქცეოდა ასეო.

როგორ არ შევეკამათო ამ სტრიქონების ავტორს. მოვიყვან მაგალითს:

– რომელმა დამპყრობელმა დატოვა საქართველოში თუნდაც ერთი დაუნგრეველი ციხე-სალოცავი და რომელი არ წაბილწა?

– მოაჭრეს თუ არა 100 ათას ქართველ მოწამეს თავები ქრისტიანობისათვის?

და ვინ გააკეთა ეს – რუსმა?

და, თუ შემდგომში ბოლშევიკების რუსეთმა იწყო ეკლესიის დევნა, ის მას დევნიდა რუსეთშიც, უკრაინაშიც, ბელორუსიაშიც, საქართველოშიც, და, განა ქართველიც არ იდგა დამრბევთა გვერდში?

ან, თუ არა რუსეთმა (ქართველების დახმარებით), ვინ დაგვიბრუნა აჭარა – ბათუმითურთ ოსმალებისგან? განა თურქებს გალამდე დაპყრობილი არ ჰქონდა აფხაზეთი და განა რუსეთმა არ დაგვიბრუნა იგი? (1872 წელს გალის რაიონის, სოფ. ოქუმთან მოხდა დაპირისპირება რუსეთსა და ოსმალეთს შორის, სადაც ადგილობრივი ქართველების დახმარებით რუსებმა სძლიეს თურქებს. (საქართველოს ისტორია XIX საუკუნე, თბილისი 2004 წ. გვ. 185-187).

როგორ არ გავიხსენოთ, დიდგორის ომის დროს დიდმა დავით აღმაშენებელმა თავის ჯარს უკან დასახევი გზა, რომ ჩაუხერგა? ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომ საქართველო გადარჩენილიყო! განა დიდ მეფე ერეკლეს ჰქონდა სხვა გამოსავალი?

განა ერეკლეს, მეფეს, თავისი ქართული თავმოყვარეობითა და ამბიციებით, არ თრგუნავდა და არ ტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ თხოვნით მიემართა სხვა ქვეყნებისთვის: დამიცავით, თქვენი ფრთის ქვეშ გვამყოფეთო, განა არ იცოდა, რომ ამისათვის საქართველოს მსხვერპლი უნდა გაედო? მაგრამ მას ერის გადარჩენისათვის უნდა ეზრუნა და სწორედ მისმა გამჭრიახობამ გადაარჩინა საქართველო მსოფლიო რუქიდან გაქრობას!

ერთმორწმუნეობაზე მავანნი იტყვიან, რომ ქართველნი მოხიბლა რუსეთმა თავისი ქრისტიანობითო, შეგვაცდინა და დაგვღუპაო. რატომ არ ახსოვთ, რომ საქართველომ მრავალ ევროპის ქვეყანას მიმართა თხოვნით, რათა დადგომოდნენ გვერდში და შეეწერებინათ ურიცხვი ურდოების შემოსევები. ვინმემ ისურვა დახმარება? განა ეს ის ქვეყნები არაა, რომელნიც ამჟამად ევროკავშირს წარმოადგენენ, რომლებიც გვკარნახობენ როგორ ვიცხოვროთ, როგორ შევფუთოთ მრავალი სექტების, გეების თუ ლესბოსელების გამოსვლები-გამოხტომები? ისევ რუსეთმა ისურვა ჩვენს გვერდში დგომა, რამაც გადაგვარჩინა, დიახ, გადაგვარჩინა კიდეც.

აქვე შეგახსენებთ (გაცნობებთ) რუსეთის დუმამ კანონით აკრძალა ყოველგვარი გეების, ლესბოსელების და მათი მსგავსის პარადები თუ კურტუმოების თამაშები!

როგორც ვიცით (მოგეხსენებათ რუსეთი დიდია), დიდ საქმეს მცირედი ეწირება. ჩვენ, საქართველო, ჩვენი ერი, ენა, სარწმუნოება არ ვართ **„შეწირული“** და ამგვარი უკმაყოფილება, უმადურობა და ლანძღვა არ უნდა დამთავრდეს?

ავადსახსენებელი **“ვარდების რევოლუციის”** შემდეგ, ყოფილმა ხელისუფლებამ სცადა მივეყვანეთ იმ დონემდე, როდესაც მოსახლეობას მხოლოდ ყოველდღიური საკვების პრობლემა გააჩნია, რომელსაც არ აინტერესებს სხვა არანაირი საკითხი (არც ენა, არც სარწმუნოება, არც, არც...), ჩვენ შევწყვეტდით ფიქრს, არ გვექნებოდა აზროვნების უნარი, არ გვექნებოდა მოთხოვნები რწმენაზე, დედა-ენაზე, სამშობლოზე, ისტორიაზე, მეცნიერებაზე, კულტურაზე, განათლებაზე, ხელოვნებაზე და ა.შ. დიდება უფალს, არ დასცალდათ!

2008 წლის აგვისტოს ომის დროს გამოითქვა აზრი, ქართველი ერი გატყდაო. ერი კი არ გატყდა, ერი შოკში იყო, ერი ზომბირებული, დაჰიპნოზირებული და გამოტვინებული იყო, და... გავმართეთ ტაშ-ფანდურა და ცეკვა-თამაში, ეს ამაზრზენი, გულისამრევი ტაშფანდურა! მიზეზი?

დამარცხებულთა მიერ **გამარჯვების** ზეიმი!?

ამ დროს შეშფოთდნენ ჩვენი **“უფროსი ძმები”** და სასწრაფო წესით წყალი და პამპერსები მოგვაწოდეს. წყალი ალბათ თუ ვინმეს გაეპარებოდა, იმათ ჩასაბანად? აბა სასმელი წყალი ღვთის წყალობით იმდენი გვაქვს... მოგვაშველეს პამპერსები ქართველებს, იმ ქართველებს, რომლებიც შერემეტიევის თქმისა არ იყოს: **„ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო, მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან, არამედ ტიტანები, რომელთაც ძალუძთ ზეცა იერიშით აიღონ“.**

დასანანი და სატირალი იყო ქართველი კაცის ყოფა 2008 წლის აგვისტოში...

ამ ომის დროს, როცა რუსეთის ჯარი თბილისიდან 15-20 კილომეტრში იდგა, ხელისუფლების წევრთა უმრავლესობა ქვეყანას სტოვებდა და უკანმოუხედავად გარბოდა არამად ნაშოვნი ფულით და ქონებით. ამის შემდეგ, როგორ გინდა ვინმე დააჯერო, რომ ქართველი კაცის ხასიათში, მის გენეტიკაში არ დევს მტრისათვის ზურგის შექცევა?! დარწმუნებული ვარ, რომ გაქცეულთა უმრავლესობა მხოლოდ გვარით იყო ქართველი?

გულდასაწყვეტია აგრეთვე ისიც, რომ ამჯერადაც ვერ გაიგეს, ან არ უნდათ აღიარონ ნაციონალების 20 ლარიანმა თუ უფრო ძვირიანმა **“იდეურმა მხარდამჭერებმა”,** რომ **თანამონაწილენი** არიან ყველა იმ უბედურებაში, რაც ხდებოდა ამ გასული ცხრა წლის მანძილზე! მაგრამ ამჯერად საქმე უფრო საგანგაშოა, რადგანაც მსგავსმა პოლიტიკამ შესაძლოა სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს.

ჩემი ასაკის ადამიანმა მოხალისეობის სურვილით მიმართა ჩვენს საჯარისო ფორმირებას (2008 წლის 8 აგვისტოს გორში გახლდით ჩასული), როგორც ჯარგამოვლილმა და გარკვეული საბრძოლო გამოცდილების მქონემ, მაგრამ იგი არასგზით არ წაიყვანეს საომრად! თქვენ არ გვჭირდებით, თქვენ ბებრები ხართ, ჩვენ ახალგაზრდები გვჭირდებაო!

ალბათ სწორედ გამოუცდელი ახალგაზრდები სჭირდებოდათ საზარბაზნე ხორცად!!!

2008 წლის აგვისტოში ქართველებს მოგვაყენეს შეურაცხყოფა, შეგვარცხვინეს, დაბადების დღე გვაწყევლინეს. **„ქართველებო, ისწავლეთ ბროლა!“** მიეწერა ვიღაცას შენობის ერთ-ერთ კედელზე.

ვაი სირცხვილო! მხედართმთავრად რომ კურდღელივით მხდალი სააკაშვილი გეყოლება, მეტ დამცირებასაც იმსახურებ!

მე, და არა მხოლოდ მე, ამ მდგომარეობაში ყოფნას, იქ ბრძოლა და ღირსეულად სიკვდილი გვერჩია.

2008 წლის ომის დღეებში ნატოს მინისტერიალის ჩატარებისას გაცხადდა, რომ **ნატოს მთავარი ამოცანაა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის (საზღვრების) დაცვა.** 2008 წლიდან დღემდე საქართველომ დაკარგა 22-23 პროცენტი თავისი ტერიტორიებისა. სად არის ნატოს (როცა დღესაც მცირდება საქართველოს ტერიტორია) ამოცანა და მისი შესრულება?

ერთხელაც არ შეშფოთებულან!

სხვათა შორის, არც ევროკავშირი იკლავს თავს. მოწინააღმდეგეს კი, გარდა სამაჩაბლოს ტერიტორიებისა, წინასწარი გათამაშებული სცენარით ჩავაბარეთ კოდორის ხეობა, რომელსაც გამიზნულად ვეძახეთ ზემო აფხაზეთი. ბარემ თბილისის ავლაბრისთვის დაგვერქმია: სომხურიაო და ჩაგვებარებია მათთვის. ისე, რომ დაცლოდათ, არა მარტო ავლაბარს უბოძებდნენ სომხებს... სომხურ ეკლესიებზე რომ არაფერი ვთქვათ!

ბატონებო, მერწმუნეთ, დაფიქრების დროა, განგაშის გამოცხადების დროა! მართლმადიდებელი რუსეთს, რომელიც მზადყოფნას გამოთქვამს აღადგინოს ჩვენთან მეგობრული ურთიერთობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იდგა საქართველოს გვერდით, შეიძლება ხელი ვკრათ და კვლავაც მონური მორჩილებით ველოდოთ დახმარებას გაურკვეველი აღმსარებლობის ქვეყნებისაგან?

ჩვენი ქვეყნის რეალობისთვის ერთადერთი გამაერთიანებელი ძალა მაინც ეკლესიაა. ვთხოვოთ, შევევედროთ ეკლესიას, გაგვიძღვეს წინ ახალ მთავრობასთან ერთად და გააკეთოს ყველაფერი ჩვენი ორი მართლმადიდებელი ერების მეგობრობის აღსადგენად.

თორემ კვლავაც წავაგებთ პოლიტიკურ დაპირისპირებებს და ქართული მიწა შაგრენის ტყავით ნელ-ნელა დაპატარავდება.

საჭიროა **„ხმა ღვთისა და ხმა ერისა“**! რაც შეიძლება მიკლე ვადაში მოხდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დალაგება, არ მივყვეთ სხვა, მცდარ გზას!

მე არა ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ მას შემდეგ, რაც გავეცანი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას სახელმწიფოებრივ ხედვას, დავრწმუნდი, რომ ის თავს წარმატებით გაართმევს ამ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ერისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს.

აქვე სურვილი მაქვს შეგახსენოთ, რომ **„ოკუპანტის, აგრესორისა და ჩვენი მტრის“** რუსეთის წიაღში ცხოვრობს და შრომობს მილიონამდე ქართველი, რომლებიც იქიდან ინახავენ აქ დარჩენილ ოჯახის წევრებს. ქართველებს რუსეთიდან არ დევნიან, არ უკეთებენ ე.წ. დეპორტაციას, როცა ევროპული ქვეყნებიდან ყოველდღე უბოდიშოდ ჰყრიან ქართველებს.

გამოვედით **„დსთ“**-ს წევრობიდან, მოვიპოვეთ **„თავისუფლება“**, რომელშიც უცილობელ პირობად იგულისხმება წესრიგი და კანონმორჩილება, რაც ჩვენს ხალხს მაინცადამაინც არ უყვარს, **„ავაშენეთ დემოკრატია“** და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ!

– განა ქართველმა არ აჰყარა აფხაზეთის ქართველ მოახლოებას ყოველნაირი იარაღი, რათა მას არ ჰქონოდა თავისი მიწა-წყლის დაცვის უნარი?

– განა ქართველმა არ შეუწყო ხელი აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვას და ლტოლვილების უზარმაზარი ნაკადის შექმნას?

– განა ქართველმა ქართველი არ გაძარცვა ჭუმბერში და არ აძახებინა თავის მოძმეს – ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო?

– განა ნაკლები სისასტიკე და ვანდალობა ჩაიდინა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე „მხედრიონმა“, როცა მისი “მებრძოლები” დედის თვალწინ ყმაწვილს კლავდნენ და მამის თვალწინ ქალიშვილს აუპატიურებდნენ?

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

ბერს ბერობა შვენის, ერს – ერობაო

(გაგრძელება მე-10 გვერდიდან)

– განა ქართველმა (მთლად არა, მაგრამ, ქართველთა ნაწილმა მაინც) არ ჩახოცა პირტიტველა ბიჭები ქუჩებში?

– განა ქართველმა (მთლად არა, მაგრამ, ქართველთა ნაწილმა მაინც) არ მოუწყო ქართველებს 7 ნოემბერი, 26 მაისი?

– განა ქართველმა (მთლად არა, მაგრამ, ქართველთა ნაწილმა მაინც) არ მიგვიყვანა შიმშილის, სიდუხჭირის, შეურაცხყოფის გამო თვითმკვლელობამდე?

– განა ქართველმა (მთლად არა, მაგრამ, ქართველთა ნაწილმა მაინც) არ გააქცია ქართველი ქვეყნიდან ლუკმაპურის საშოვნელად?

– განა ქართველმა (მთლად არა, მაგრამ, ქართველთა ნაწილმა მაინც) არ გახადა ქართველი მონად, ზოგიერთი ქართველი კი სულითაც მონად?

– განა ქართველმა (მთლად არა, მაგრამ, ქართველთა ნაწილმა მაინც) არ გარყვნა და გაათახსირა ქართველი ქალიც და ვაჟიც? განა დღესაც არ აგრძელებს პროსტიტუციის წახალისებას?

– განა ნაჯახით არ მოკლა მამამ შვილი თუ შვილმა მამა?

– განა ქართველმა (მთლად არა, მაგრამ, ქართველთა ნაწილმა მაინც) არ იხმარა ცოცხი თუ სკამის ფეხი ქართველის გასანადგურებლად?

– განა "ჩვენს მხედართმთავრად" წოდებულმა არარაობამ არ ათხარა ცხვირით გორის მიწა რუსული თვითმფრინავის ხმაზე?

– განა სწორედ ამ ნაძირლებმა არ მოკლეს ძაღლივით, ქუჩაში, ღვაწლმოსილი მეცნიერი გურამ შარაძე?!

გავაგრძელო? არ ღირს. და, ამის შემდეგ, ნუთუ კიდევ რაიმე უნდა გვიკვირდეს რუსეთისგან?

ამ ფონზე წარმოვიდგინოთ, ჩვენ რომ ვყოფილიყავით რუსეთის ადგილას! ვაარსებებდით კი მკბენარივით გათავხედებულ უნიათო პატარა ერს?

ყველას კარგად ახსოვს, როგორი სითბოთი იღებდა რუსეთი ჩვენს ხელოვნებს, ჩვენი თუ უფროსი თაობის წარმომადგენლებს. ვახტანგ კიკაბიძემ კი წყალში ჩაყარა რუსეთში მოპოვებული პატივი და ღირსება და ზურგი შეაქცია მისი ხელოვნების დამფასებელ რუს მაყურებელს!

განა ეს სამართლიანია?!

გაიხსენეთ, ბატონ რობერტ სტურუას (როცა **"ქართველებმა"** იგი თეატრის გარეთ დატოვეს) მოსკოველებმა თეატრი, დაუთმეს და ნიჭის გამოვლენისა და მუშაობის გაგრძელების საშუალება მისცეს! ღვთის მადლით, ეს მართლაც ნიჭიერი შემოქმედი მხოლოდ მადლობის გრძნობითაა გამსჭვალული რუსი კოლეგების მიმართ.

თქვენის ნებართვით მოვიყვან რუსეთის გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამებს, რომელიც დახატავს იმ ერთგვარ სურათს, რაც სუფევდა და იმედი მაქვს, სუფევს ჩვენი ქვეყნების მოქალაქეთა ურთიერთობებში.

– **სერაფიმ საროველი,** წმინდანი (უბარებს რუსებს) – **„საქართველოს ხელს ნუ ახლებთ, ის ღვთისმშობლის ქვეყანაა!"**

წაიკითხეთ, რას წერს ჩვენზე, ქართველებზე **ვასილ ველიჩკო**, თავის ნაწარმოებ **„კავკასია"**-ში. როგორ უყვარს მას საქართველო და ქართველები და როგორ არ უყვარს (!) მას სომხები... არ შემიძლია არ მოვიყვანო რამდენიმე ციტატა:

– „საქართველოს ისტორია ერთიანი მარტიმოლოგიაა. შექსპირს შეეძლო აქ ეპოვნა ფასდაუდებელი ტრაგიკული სიუჟეტების უშრეტი წყარო".

– „მთელს ჩემს ცხოვრებაში, განსაკუთრებით თბილისში მოღვაწეობის დროს პატივსა ვცემდი, მიყვარდა და ვიცავდი რიცხვმცირე, კაცთმოყვარე, კეთილშობილ ქართველ ხალხს, ვიცავდი ორგულთა ვერაგობისგან, რომელთაც ვერასდროს ვერავითარი მზაკვრული ღონისძიებით ვერ შეარყიეს ჩემი რწმენა და ერისადმი ერთგულება".

– „ტყუილად როდი უმღეროდნენ ჩვენი რუსი პოეტები მშვენიერ საქართველოს, უძველეს ტაძართა, კოშკების, ყვავილების, სიმღერებისა და გადმოცემის მხარეს. ივერიის მიწა-წმინდა ქალწულის წილხვდომილი, წმინდა გიორგის მხარე, ჩვენი ძმები – ქართველები, რომელთა ნიჭსა და სიმამაცეზე მრავალი საუკუნის წინაც სიყვარულით ლაპარაკობდნენ ჩვენი კეთილი წინაპრები, როგორც მართლმადიდებლობის ძველ გმირულ კერაზე, – ამ გმირი ხალხის ტანჯვა-წამება სარწმუნოებისა და დამოუკიდებლობისათვის მუდამ პოულობდა გამოძახილს და თანაგრძნობას ჩრდილოეთის, ერთმორწმუნე ხალხში. ეს სიახლოვე მუდამ იზრდებოდა და უთუოდ უნდა დამთავრებულიყო ნებაყოფლობითი ძმური შეერთებით. ეს ჩვენთვის სულიერად მახლობელი ხალხია. მასთან კავშირი სხივმოსილია ქართული რაინდული სულით, რუსეთის დროშების ქვეშ დაღვრილი ქართული სისხლით. თუ სხვები ფარულად ესროდნენ, ქართველები მოძმეებს მკერდით იცავდნენ".

ლ. კუზმიჩევა – ჩვენ რუსები, მივეჩვიეთ **„უფროსი ძმის"** როლს და მოვუსპეთ ქართველებს საშუალება იცხოვრონ საკუთარ სახლში, როგორც მისმა პატრონებმა. 9 აპრილს სამარცხვინო და დანაშაულებრივმა აქციამ ზურგში ჩასცა მახვილი განახლებას...

ი. აფანასიევი – მთავრობის მაღალი ეშელონები გადავიდნენ შეტევაზე გარდაქმნის წინააღმდეგ... 70 წელი უკან მივდიოდით... შეტევის ერთ-ერთი გამოვლინება იყო თბილისის, 9 აპრილის ტრაგედია.

იგორ ბონდარევი – რა არის ჩემთვის ქართული ენა?... ქართულ ენა, ისევე ბუნებრივი, შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში, როგორც დედის სახე, როგორც ქართული ცა... ჯადოსნური გასაღებით გაიხსნა ჩემი სული, გადამიშალა დიდი ისტორიული წარსული და დიდი მომავალი. ესაა გასაღები, რომელიც გზას მიხსნის ამაყი და ვაჟკაცური, კეთილი და დიდებული ადამიანებისკენ... ჩემს წინ ისტორიის ფოლიანტები ამეტყველდებიან, ჟღერს ქართული მუსიკა, ლექსი, ჟღერს საგანთა ფილოსოფიური ხედვა და სიბრძნე ერისა, ქვაში ამეტყველებული ჰარმონია, ჩუქურთმა... რომელ კონტინენტზეც არ უნდა ვიყო, თან დამყვება ქართული ენის, მუსიკის, ლექსის სიტკბო და სინატიფე...

ლიდია ლებედინსკაია – მწერალი – პირველი გაკვეთილი, რაც საქართველომ მომცა, იყო ნიჭისა და ადამიანური სულიერი მშვენიერების გაკვეთილი.

ანდრეი სახაროვი – აკადემიკოსი – ჩემი მორიგი ჩამოსვლა თბილისში მძიმე ვითარებამ განაპირობა. ის, რაც მოხდა 9 აპრილს, შემზარავი დანაშაულია. ჩვენმა შვილებმა ჩვენივე შვილები დახოცეს. ძირფესვიანად უნდა შევისწავლოთ ამ ტრაგედიის ყოველი ნიუანსი. აქვე მინდა გამოვხატო ჩემი ღრმა სიმპატიები ქართველი ერის მიმართ. ეს ის ხალხია, ვინც ისტორიის რთულ ქარტეხილებს გაუძლო და დღემდე შეინარჩუნა თვითმყოფობა, მაღალი კულტურა.

ალექსი სერგეევი – თბილისში დამსჯელი ჯარის შემოსევის შედეგად გარდაიცვალა ოცდამეერთე, საშოში მყოფ ბავშვთან ერთად... ჩადენილია ვანდალური დანაშაული. ვის სჭირდება სისხლით მოპოვებული **„წესრიგი და მშვიდობა"?**

რობერტ ბარილსკი (ფლორიდის უნივერსიტეტის დეკანი) – მივდივარ და მიმყვება ქართველთა სითბო და სტუმართმოყვარეობის ნიჭი. თქვენმა ხალხმა დამატყვევა.

რიმა კაზაკოვა (პოეტი) – რუს – ქართველთა მეგობრობას ბზარი გაავლეს 9 აპრილს... მთელმა ერმა უნდა აგოს პასუხი... – ერთი უმადური კალმოსნის – ასტაფიევის თევზაობის გამო. მე არაფერი ბრალი არ მიმიძღვის, მაგრამ მინდა დავიჩოქო, შენდობა გთხოვოთ იმ ურიცხვი რუსის სახელით, რომელნიც თქვენს უბედურებას საკუთარივით განიცდიდა.

ოლეგ გონჩარი – ილია ჭავჭავაძე ერთი მათგანი გახლავთ, რომლის პიროვნებაშიც ქართველი ერის ფენომენალური გენია მთელი სისავსით გამოვლინდა.

ლევ ტოლსტოი – **„ჩემი განზრახვა, საქართველოში ჩამოსვლა, ზეგადმო მადლით იყო შთაგონებული. ეს ნაბიჯი ღმერთმა გადამადგმევინა და მხურვალედ ვწირავ მადლობას უფალს: მე ვგრძნობ, საქართველოში უკეთესი გავხდი".**

ვლადიმერ მაიაკოვსკი – **„მე მომაგონდა, რომ ქართველი ვარ!"**

ევგენი ევტუშენკო – **„ვიცი, რუსად რომ არ ვშობილიყავ, ქართველკაცობას ვირჩევდი ქვეყნად!"**

ვ.ი. ლენინი – **„ვფიქრობ, ქართველი ერის სახით ჩვენ გვაქვს ტიპიური მაგალითი, სადაც საქმისადმი ჭეშმარიტად პროლეტარული მიდგომა მოითხოვს ჩვენგან სიფრთხილეს, თავაზიანობასა და დამთმობელობას".**

გრიბოედოვსა და ნინო ჭავჭავაძეზე უკვე იმდენი ითქვა...

გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება.

რაღა თქმა უნდა, მივესალმები საქართველოს გადამრჩენელ **„ქართულ ოცნებას"** და მის ლიდერს, ბატონ ბიძინას, მაგრამ დროა ყველამ, ერმა და ბერმა, მთავრობამ (ოპოზიციამ ხმაამოუღებლივ!), მიეხედოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენის საქმეს – ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი და სარწმუნოება როგორც ყოველთვის, უნდა გადარჩეს.

„სასოწარკვეთას ნუ მიეცემით, მამაცნო! თუ სარწმუნეობისთვის თავდაუზოგავად არ ვეკვეთეთ მტერს, სულერთია, დავიღუპებით, იმგვარად შერცხვენილნი, რომ ჩვენი ხსოვნაც აღარ დარჩება... როგორღა შევძლებთ კვლავ გაერთიანებას, თუ ურჯულონი დაგვიმონებენ? შიში უკუვაგდოთ, გაიმსჭვალენით სიმამაცით! მეც მოვდივარ თქვენთან ერთად, დავივიწყებ ქალურ სისუსტეს, აღვივსები მამაკაცური ძალით, შევიმოსები აბჯრით, თავზე მუზარადს დავიხურავ, ხმალს შემოვირტყამ და ხელში შუბს ავიღებ, წინ გაგიძღვებით და ერთად ვიბრძოლოთ". ასე მიმართვდა დიდი თამარ მეფე ქართულ სპას, ასე იცავდა ქართველი თავის სარწმუნოებას, ენას, მამულს.

მე არ მინდა ჩვენ გვეხებოდეს, ჩვენსკენ იყოს მიმართული გამონათქვამი: **„რა მნიშვნელობა აქვს კარგი ბატონი გყავს თუ ავი. ორივე შემთხვევაში მონა ხარ".** ჩვენი საქციელი სტადიონზე კი ამ ზემოთქმულ გამონათქვამს ჩვენსკენ აძლევს გეზს, რაც ძალზე, ძალზე საწყენია. ეს არ არის ქართული საქციელი. ჩვენ ბრძენი, ცივილიზებული ერის ამბიცია გვაქვს. არ გვეკადრება მსგავსი უზნეობა, რომელიც მართული იყო (როგორც ყველა სამარცხვინო აქცია) ნაცმოძრაობის მიერ, რაც საქართველოსთვის დამღუპველია.

რა ვქნა, თუ ასე გაგრძელდა და იძულებული შევიქმენი, ამერიკაში წავიდე? იქ კი რა ვასწავლო ჩემს შვილს, ჩემს შვილიშვილს, სადაც სკოლის კანონები რადიკალურად განსხვავდება ჩვენისგან? მოგიყვანთ რამდენიმე ეპიზოდს:

– ტეხასის სკოლაში 12 წლის სარა ბასტამანდესი დააპატიმრეს სუნამოს შესხმის გამო.

– 13 წლის მოსწავლე ნიუ-მექსიკაში, ალბეკერკეს სკოლაში დააპატიმრეს დაბოყინების გამო.

– კალიფორნიის სკოლის დაცვამ ხელი მოტეხა 16 წლის გოგონას, ტორტის ნამცეცების ჩამობერტყვის გამო.

– 2010 წლის დასაწყისში 12 წლის გოგონა ნიუ-იორკის ფორესტ ჰილსის სკოლაში დააპატიმრეს და ხელბორკილები დაადეს იმის გამო, რომ მან მერხზე დაწერა: „მე მიყვარს ჩემი მეგობრები, – უები და ფეიტი" (?!)

– ტეხასის სკოლაში მოსწავლე დააპატიმრეს იმის გამო, რომ ის კლასში უშვებდა ქაღალდის თვითმფრინავებს.

– ჩრდილოეთ კაროლინაში 17 წლის ფრიადოსან გოგო, – ეშლი სმიუტი, რომელსაც უპოვეს შემთხვევით წამოღებული მამის ხილის სათლელი დანა, გააგდეს სკოლიდან სასწავლო წლის ბოლომდე და მას წაუყენეს ბრალი სამართალდარღვევაში.

– ფლორიდაში 11 წლის მოსწავლე ციხეში ჩასვეს იმის გამო, რომ მან სკოლაში კარაქის წასასმელი პლასტმასის დანა მოიტანა.

– მასაჩუსეტში 8 წლის ბიჭი სკოლიდან გაუშვეს სახლში, აიძულეს გაევლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა, იმის გამო, რომ დახატა ჯვარზე გაკრული იესო.

– პოლიცია იქნა გამოძახებული იმის გამო, რომ 7 წლის გოგონამ თანატოლ ბიჭს სპორტდარბაზში აკოცა.

– სტოკტონელ მოსწავლეს დაადეს ხელბორკილები, რომელიც ამხანაგებს უქნევდა ხელებს და ფეხებს. იგი აიძულეს წასულიყო ფსიქოლოგიურ ექსპერტიზაზე. მანამდე კი პოლიციელებმა ხელბორკილებით რადიატორს მიაბეს. ბავშვი ამ დროისთვის 5 წლის იყო.

მე ასეთ სკოლაში შვილიშვილს არ გავუშვებდი.

ბოლოს და ბოლოს რა გაუკეთა რუსეთმა ისეთი ავი საქართველოს, რაც ნაცმოძრაობამ და მისმა წინამორბედმა მთავრობამ დამართა ჩვენს ქვეყანას?

ამ ბანდიტებმა დიდად დააზარალეს ქვეყანა მორალური, სულიერი, არაკაცური ზიანის მიყენებით, 22-23 პროცენტი ტერიტორიების დაკარგვით (გამიზნულად), ერის გათახსირებით, გარყვნით, ქვეყნის დაქცევით, გაპარტახებით, გაუპატიურებით, ძარცვით და გლეჯვით, გეებისა და ლესბოსელების წახალისებით, უამრავი არაქრისტიანული სექტების მომრავლებით, უწმინდესისა და უნეტარესის ლანძღვით, ეკლესიის ნგრევით თუ შეურაცხყოფით, უცხო ტომებზე კაპიკებში ქართული მიწების მიყიდვით, პიარკომპანიებში და ცუღლუტობაში ჩვენი მილიონების ხარჯვით, **ჩარეცხილების** ასაკს კაი ხნით გადაცილებულ მომღერლებზე მილიონების ხარჯვით, საროსკიპოებითა და ე.წ. არასამთავრობოებით, ერის ტვინის გამორეცხვა – გამოტვინებით, თვითმკვლელობამდე მიყვანით...

რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ამჯერად კი უსინდისოდ წამოსკუპებულან ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს თბილ სკამებზე და ჰყოფნით ნამუსი, ისევ გვმოძღვრონ ძველებურად.

ნუთუ უფრო მეტ სიმაღლეზე არ დგას ქართველი, ერი, რომ ყველა დანაშაულზე მოითხოვოს სათანადო პასუხისგება?

– **Кот леопольд**-ის ნათვამისა არ იყოს, **Россияне и Грузини, давайте жить дружно!**

ომარ ნანავა,
გალი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

მილიონად შეფასებული ქართველი მეკარე და მისი ორი სალომე

დაახლოებით რვა წლის იყო, როცა ქუჩაში მამასთან ერთად სეირნობდა, ბურთით მოთამაშე ბიჭები დაინახა და ფეხბურთით დაინტერესდა. მამამ თხოვნა შეუსრულა – ფეხბურთზე შეიყვანა... პირველი თამაში კრახით დასრულდა: ბურთი პირდაპირ კარში შევარდა. ტანმორჩილი იყო და მის მიმართ სკეპტიკურად განეწყვნენ; გიორგი ლორიაზე დიდ იმედს არ ამყარებდნენ და ამის გამო გული სწყდებოდა... მაგრამ გარდატეხის ასაკში ტანი აიყარა და იმედიც გაჩნდა. თუმცა, პირადად მას ყოველთვის სჯეროდა საკუთარი თავის. ამბობს: მთავარი მონდომება და შრომისმოყვარეობაა, მაგრამ ცოტაოდენი გამართლებაც საჭიროა. ჰოდა, მონდომებულს და შრომისმოყვარეს გაუმართლა კიდეც!

– როგორც ამბობენ, ეს არის სპორტის სახეობა, სადაც 90 წუთის განმავლობაში შეიძლება, გმირი გახდე. ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. თამაშზე, როცა მე გავხდი ე.წ. გმირი, ქართველი გულშემატკივარი იყო ყველაფრის განმსაზღვრელი; დიდი როლი ითამაშა იმ ფაქტმაც, რომ ჩვენს ქვეყანაში სტუმრად საუკეთესო გუნდი იმყოფებოდა და ხალხის პროგნოზმა არ გაამართლა: ყველას ეგონა, 5:0-ს მაინც წავაგებდით და შედეგით გაკვირვებულები დარჩნენ. არ ვიცი, მოედანზე ბოლომდე რომ დავრჩენილიყავი, თამაში როგორი ანგარიშით დამთავრდებოდა. გული მწყდება, რომ ამ ყველაფერს ნაადრევად გამოვეთიშე. ისე კი, ძალიან ვეცადე, თამაში გამეგრძელებინა: არ ვიცი, რა ძალამ გადამადგმევინა ორი-სამი ნაბიჯი. ამ დროს ყურებში მხოლოდ ის მესმოდა, თუ როგორც იძახდა ხალხი ჩემს გვარს – ალბათ ეს იყო ყველაზე დიდი სტიმული იმისა, რომ გაუსაძლის ტკივილს წამების განმავლობაში მაინც შევჭიდებოდი! სამწუხაროდ, უდიდესი სურვილის მიუხედავად, თამაშის გაგრძელება ვერ შევძელი...

თბილისის "დინამო" მისი სახლია. ეს არის ადგილი, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებს და თავს კომფორტულად გრძნობს. მისი საოცნებო გუნდი კი **"მანჩესტერი"** გახლავთ... გიორგიმ ახლახან კონტრაქტი გააფორმა, სადაც წერია, რომ გუნდი, რომელიც არც მეტი, არც – ნაკლები, მილიონ დოლარს გადაიხდის, მის **"ყიდვას"** შეძლებს.

გიორგი რეჟისორების ოჯახში გაიზარდა. ასე რომ, ხელოვნება მისთვის უცხო ხილი არ არის. ერთხანს თეატრალურ უნივერსიტეტშიც სწავლობდა, სამსახიობო ფაკულტეტზე, მაგრამ მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც, ფეხბურთი აღმოჩნდა... მიუხედავად ამისა, მსახიობობა მაინც დასჭირდა: 13 ივნისს თბილისის კინოთეატრებში ახალი ფილმის – **"რა მოხდა კიევში"** პრემიერა შედგა, რომელშიც გიორგი მონაწილეობს...

– ეს არის ჩემი პირველი და ალბათ – უკანასკნელი როლი (იცინის). ფილმი არის ოთხ მეგობარზე, რომლებიც უიკენდის გასატარებლად ერთ-ერთ კურორტზე წავლენ, მაგრამ მეორე დილით სულ სხვაგან,– ანუ კიევში იღვიძებენ. ბიჭები ვერაფრით იხსენებენ, რა მოხდა წინადღეს. შეიძლება ითქვას, რომ ფილმში საკუთარ თავს ვასახიერებ – ჩემი გმირი საქართველოს ნაკრების მეკარე გახლავთ... გადაღებები ძალიან მომეწონა და მასში ბოლომდე ჩავერთე. მიმაჩნია, რომ ხალხი ამ ფილმის ნახვით სიამოვნებას მიიღებს. კომედიაა, რომლის ყურებისას ბევრს იცინებ და დარბაზიდან გასულს კარგი განწყობილება გაგყვება. მიუხედავად ყველაფრისა, ვფიქრობ, მსახიობობა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ადამიანმა ცხოვრებაში ერთხელ ყველაფერი უნდა გამოცადოს.

პოპულარობა მოსწონს, მაგრამ ეს იდეფიქსად არასდროს ჰქონია. არ უყვარს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი. პრინციპულია და პუნქტუალურიც; პირობას ყოველთვის ასრულებს და სხვებისგანაც იმავეს მოითხოვს. პირად ცხოვრებაზე კითხვებს თავს ზრდილობიანად არიდებს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ მის ცხოვრებაში არის ორი სალომე: მეუღლე და შვილი – სამი წლის არაჩვეულებრივი გოგონა...

– არ მიყვარს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი. **"პირადი"** იმიტომ ჰქვია, რომ შენია... როგორი შვილი, ძმა და მეუღლე ვარ – ამაზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ კარგი მამა ვარ! შვილი მთელ ქვეყანას მირჩევნია და თავისუფალი დრო გამომიჩნდება თუ არა, მაშინვე მასთან გავრბივარ. სალომე 3 წლის არის. უყვარს ჩემთან ერთად ყოფნა. ხშირად დავდივართ მთაწმინდის პარკში, ზოოპარკში. მისმა დაბადებამ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა. როგორც ყველა ქალიშვილი, ისიც გიჟდება მამაზე, მაგრამ ხანდახან მაინც ვეჭვიანობ – მგონია, მამაჩემი უფრო მეტად უყვარს – ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით... ოჯახს ჩემთვის არასდროს არაფერი დაუძალებია. გამიმართლა, რომ დიდი, თბილი და მოსიყვარულე ოჯახი მყავს.

ჟურნალისტების მიმართ კეთილგანწყობილია, თუმცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა ცოტა არ იყოს, აღიზიანებს. ამიტომ ცდილობს, იშვიათად გამოჩნდეს ტელეეკრანზე და დიდად არც ჟურნალ-გაზეთებს სწყალობს...

– მხოლოდ იმის გამო, რომ ჟურნალის გარეკანზე მოვხვდე, ყველა თემაზე ვერ ვილაპარაკებ. თან, ბევრი სწორადაც ვერ იგებს ნათქვამს. **"სვეტსკაობა"**, მოდაზე საუბარი და ა.შ. ჩემი სტილი არ არის. აი, ფეხბურთზე რამდენსაც გინდა, ვილაპარაკებ... პოპულარობა ცუდი არ არის, მაგრამ ყველაფერს აქვს ზღვარი. ვფიქრობ, ადამიანმა ყველაფერში ოქროს შუალედი უნდა ეძებო...



გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე: „ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით, როგორც ძმები!"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, რომელიც ამას წინათ მოსკოვში გაემგზავრა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილთან შეხვედრისას მას რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლისთავი მიულოცა და რუს ხალხსა და ქვეყანას აყვავება უსურვა.

„ჩვენ წინ დიდი შრომა გველის. როდესაც სიტყვა „ჩვენ" ვამბობ, იგულისხმება ერთიანი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც განუყოფელია. ჩვენი საზღვრები ისტორიამ ჩამოაყალიბა და არა იდეოლოგიამ. ამიტომ ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით, როგორც ძმები, რომლებიც ვემსახურებით ერთიან მართლმადიდებელ ეკლესიას", – განაცხადა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა.

„ამ წლების განმავლობაში ეკლესიამ გაიარა ურთულესი გზა, გზა განახლების. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როდესაც გლობალიზაციის ფონზე გვგონია, რომ სულიერი სიმშვიდე კარგავს ძალას, მაგრამ რეალურად ის ჩვენ გადაგვარჩენს. რწმენა, იმედი, კულტურა და ლიტერატურა – ეს ყველაფერი უნდა შევინარჩუნოთ, რომ ჩვენმა ერებმა შეძლონ განვითარება", – ბრძანა, თავის მხრივ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია მეორემ.

საქართველოსა და რუსეთის პატრიარქებმა მოსკოვის მაცხოვრის სახელობის ტაძარში ერთობლივი წირვა აღავლინეს. ილია მეორე მოსკოვში რამდენიმე დღეს დარჩება და ასტრახანიდან ქართველი მეფეების – თეიმურაზ მეორისა და ვახტანგ მეექვსის გადმოსვენების თაობაზე მოლაპარაკებას გამართავს.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, ასევე უკრაინისა და ბელორუსის პრეზიდენტებსაც შეხვდება.

იუმორი

– ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი კბილები?

– მე ბებია კი არა, ექიმი-ნარკოლოგი ვარ.

* * *

პოლიციელს მიჰყავს თხა. შეხვდა ჭიჭიკია.

– სად მიგყავს მაი ძაღლი?

– ეს ძაღლი კი არა, თხაა.

– მე თხას ვეკითხები...

* * *

ორი ზღარბი ხვდება ერთმანეთს, ერთს თათი აქვს დაზიანებული.

– რა მოგივიდა? – ეკითხება მეგობარი.

– ისეთი არაფერი, უბრალოდ, თავის მოფხანა მინდოდა.

* * *

ორი შინაბერა ეზოში ზის და ყურადღებით უყურებს მამალს, რომელიც დედალს მისდევს, მაგრამ ვერ დაუჭერია.

უცებ, დედალი ქუჩაში გადახტა, მანქანამ გადაუარა და მოკლა.

– აი, ქალი, მან სექსს სიკვდილი ამჯობინა! – პათოსით წამოიძახა ერთმა შინაბერამ.

* * *

– ო, გრიშა, საყვარელო, რა საოცარი თმები გაქვთ, იშვიათი თმები... მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან იშვიათი თმა გაქვთ, აი, ნახეთ, სულ ორი ცალიღა დაგრჩათ...

ISSN 1987-8966 ilori
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge